

სტუდენტური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

## ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი

- ისტორია
- კულტურა და ცივილიზაცია
- ლიტერატურა
- რელიგია
- პოლიტიკა



# სარჩევი

## ისტორია

ოთარ ჭილაძე. უკანასკნელი სასანიანები ჩინეთში.....	6
გიორგი ჭილაძე. დასავლეთ თურქთა სახაკანოს დაპყრობა ჩინეთის მიერ.....	10
ევგენი ჭანიშვილი. მარვან II ბ. მუჰამადის სამონეტო ემისიები.....	16
გიორგი ახალკაციშვილი. ვალიდე-ი მუაზუნამა მაჰფეიქერ ქოსემ სულთანი (1623-1651 წწ.) "ოსმალეთში ქალთა სასულთნოს დიდების მწვერვალი".....	19
სალომე მაჭარაშვილი. ალავერდი-ხან უნდილადის წარმომავლობა და მოღვაწეობა ირანში.....	26
თამთა მახათაძე. მიდჰათ ფაშას რეფორმატორული საქმიანობა სირიაში.....	30
ნიკოლოზ სარაჯიშვილი. „თურქი მესხები“ და ფერღანის ანუ მარწყვის კონფლიქტის ისტორია.....	34

## კულტურა და ცივილიზაცია

თათია შეყრილაძე. სულთან აჰმედ I-ის „ცისფერი მეჩეთი“.....	40
ანა ჩაჩიბაია. აღმოსავლეთი ეყენ დელაკრუას შემოქმედებაში.....	43

## ლიტერატურა

ნიზარ კაბანი. უსაზღვრო ტრფობა, არაბულიდან თარგმნა მათე ქარდავამ.....	49
გიორგი ხულორდავა. ბაბა თაჰერის დუბეითების ქართულ თარგმანთა მიმოხილვა	53
საით ფაიკ აბასიანიკი. იანი უსთა. თურქულიდან თარგმნა ნინო დარასელიამ.....	60
გიგა გიგაური. ცხოველთა როლი იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანებში: „ოქროს ქვიშასა“ და „ქვიდან ნაჟური სისხლში“ .....	63
ალისა არჩვაძე. აქადურ-არაბული ლექსიკური პარალელები გილგამეშის ეპოსის ასურული ვერსიის მიხედვით.....	68

## რელიგია

- ბაჩანა რუხაია, ბექარ ბაინდურაშვილი. საიქიოს მარადიული გააზრება ოსირისისა და ისიდას სიყვარულის მიხედვით..... 76
- ნინი სულხანიშვილი. ბაალიზმი ქანაანურ რელიგიაში და მისი კავშირი ძველ აღთქმასთან ..... 80

## პოლიტიკა

- ომიკო ეჯიბია. სამხედროთა დათხოვნა და მათი დაუსაქმებლობა, როგორც ერთ-ერთი შემავსებელი ფაქტორი ISIS-ის ტერორისტთა რიგებისა ერაყში..... 84
- მიხეილ მარკელია. ქურთისტანის სახელმწიფოს ჩამოყალიბების მცდელობები..... 87
- ფუად მუსაევი, ლაშა მგელაძე. სულეიმან დემირელის თბილისში ვიზიტის მნიშვნელობა 1992 წელს..... 90
- ლია დეკანაძე. მითები და რეალობა „ყარსის ხელშეკრულების“ შესახებ..... 95



## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სარედაქციო კოლეგია:

მათე ქარდავა (რედაქტორი)

გიორგი ახალკაციშვილი (რედაქტორი)


რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #36, თსუ, V კორპუსი.

ტელ: 591 94 32 19; 599 87 24 31

ე. ფოსტა: Axloagmosavleti632@yahoo.com

2020



სტორია

# უკანასკნელი სასანიანები ჩინეთში

ისტორიიდან ჩვენთვის ცნობილია სასანიანების დინასტია, მაგრამ ნაკლებადაა ცნობილი, რომ ამ დიდი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლები, საკუთარი იმპერიის დამხობის შემდეგ, შორეულ ჩინეთში გადაიხვეწნენ.

სასანიანები ირანის სამეფო გვარი იყო ახ.წ. III-VII საუკუნეებში. მათი და ბიზანტიის დაპირისპირება ქმნიდა პოლიტიკურ ამინდს ამ პერიოდის ახლო აღმოსავლეთში. თუმცა, VII საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულიდან ახალი ძალა გამოჩნდა – ისლამის იდეოლოგიით გაერთიანებული არაბული ტომები. არაბები ორივე იმპერიისათვის კრიტიკულ მომენტში გამოჩნდნენ დიდ პოლიტიკურ ასპარეზზე. 604-628 წლებში გამუდმებული ომები მიმდინარეობდა ბიზანტიასა და ირანს შორის. კონფლიქტი საბოლოოდ ბიზანტიის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ხანგრძლივმა სამხედრო ოპერაციებმა, ორივე სახელმწიფოს რესურსები გამოფიტა. განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში იყო ირანი. ხანგრძლივი ომის გამო, გაზრდილი გადასახადები, აჩანაგებდა მეურნეობასა და საქალაქო ცხოვრებას. სოციალური სიტუაციაც არ იყო სახარბიელო ქვეყნის შიგნით. მსხვილი მიწათმფლობელები გლეხებთან, ხოლო სამხედრო არისტოკრატია – ქურუმებთან ძლიერ კონფლიქტში იყო. ცენტრალური მმართველობის აპარატი ლამის მოიშალა. 628-632 წლებში 8 შაჰი შეიცვალა ირანში, რამდენჯერმე ქალიც კი დასვეს ტახტზე. რეგიონების მმართველები მხოლოდ სიტყვიერად

ემორჩილებოდნენ შაჰს, რეალურად კი თავის ოლქში ერთპიროვნული მმართველები იყვნენ. სასანიანთა ირანის უკანასკნელი შაჰი იეზდიგერდ III (632-651) წყაროების მიხედვით, დიდი გონების პატრონი არ იყო. ასეთ სიტუაციაში დახვდა სასანიანთა ირანი ძლიერ დამპყრობელს.

არაბების სამხედრო წარმატებები VII საუკუნეში მართლაც თავბრუდამხვევია. მრავალრიცხოვანი, სწრაფი, მსუბუქი კავალერია რთული დასამარცხებელი აღმოჩნდა. ამას დაერთო კრიზისი ბიზანტიასა და ირანში. 635 წელს არაბებმა აიღეს დამასკო, 637 წელს იერუსალიმი, მომდევნო წელს კი ანტიოქია. ბიზანტიელებმა სცადეს სირიაში მათი შეკავება, მაგრამ 636 წელს იარმუქის ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ და სირია არაბების ხელში გადავიდა.



სასანიდური ირანი VII ს-ის 30-იან წლებში

პირველი დაპირისპირება მუსლიმ არაბებსა და ირანელებს შორის ჯერ კიდევ 633 წელს მოხდა. თუმცა, ეს მხოლოდ საწყისი, მარბიელი ლაშქრობა იყო მოწინააღმდეგის შესაფასებლად. ამ ეტაპზე, არაბები არ აპირებდნენ მთელი ძალებით შეეციათ ირანისათვის და ძირითადი ყურადღება სირიაზე გადაიტანეს. სირიის დაპყრობის შემდეგ კი ჯერი ირანზე მიდგა. მარბიელი ლაშქრობები 633 წლის

შემდეგაც გრძელდებოდა და წარმატებით მარცვავდნენ ირანის ტერიტორიებს. მაგრამ, როგორც კი ორგანიზებულ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ, არაბებს უკან დახევა უხდებოდათ. 636 წლიდან არაბების მთავარი ძალები ირანის წინააღმდეგ იყო მიმართული. 636/637 წელს ქადისიასთან გაიმართა დიდი ბრძოლა არაბებსა და ირანლებს შორის. სამხედრო მოქმედებები ოთხ დღეს გაგრძელდა და საბოლოოდ ირანელების მარცხით დასრულდა. მომდევნო წელს არაბებმა ირანის დედაქალაქი ქტესიფონი აიღეს.

მიუხედავად მარცხისა, იეზდიგერდი გაექცა არაბებს და დაიწყო ახალი არმიის მობილიზება. 642 წელს სახელდახელოდ შეკრებილი არმიით გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა არაბებს ნეჰავენდთან. ირანელები კვლავ დამარცხდნენ. ნეჰავენდთან გამარჯვების შემდეგ, არაბებს მსგავსი დიდი ბრძოლის გამართვა აღარ დასჭირვებიათ ირანის დასაპყრობად. მათ ნაწილ-ნაწილ დაიწყეს პროვინციების დაპყრობა. შაჰი ერთი პროვინციიდან მეორეში გადადიოდა, რათა მუსლიმებს გაქცეოდა. როდესაც მერვს მიაღწია, (თანამედროვე თურქმენეთის ტერიტორია) ადგილობრივი მმართველისა და თურქული ტომების დახმარებით, მოახერხა არაბების უკუგდება მცირე ხნით. მაგრამ, მერვის მმართველის წაქეზებით, თურქები იეზდიგერდს აუშხედრდნენ და გააქციეს. იეზდიგერდმა მიატოვა ქალაქი. საბოლოოდ, სასანური ირანის უკანასკნელი შაჰი წისქვილში მოკლეს ტანსაცმლის გამო.

იეზდიგერდს ლტოლვილობისას თან ახლდა 4 000 კაციანი ამალა, რომელიც შედგებოდა მისი მცველების, ოჯახის

წევრებისა და მოსამსახურეებისაგან. იეზდიგერდის გარდაცვალების შემდეგ, დინასტიის სათავეში, უფლისწული პეროზი ( 636-? ) მოვიდა. IX საუკუნის არაბი ისტორიკოსის, ბალაზორის ცნობების მიხედვით, პეროზი თოხარისტანში (ისტორიული რეგიონი უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და ავღანეთის ტერიტორიებზე) დამკვიდრდა და წარჩინებული თურქული საგვარეულოდან შეირთო ცოლი. პეროზმა თოხარელების დახმარებით შეძლო არაბების დროებით შეკავება და 655 წელს ირანის მეფედ გამოაცხადა თავი. არაბების გეგმები ცენტრალურ აზიასთან დაკავშირებით შეიცვალა შიდაპოლიტიკური სიტუაციის დაძაბულობის გამო და დაპყრობები მცირე ხნით გადადეს.



თანგის დინასტია (618-907)

ამ პერიოდში საინტერესო მოვლენები მიმდინარეობდა აღმოსავლეთითაც. 618 წელს ჩინეთში თანგის დინასტია მოვიდა (618-907), რომელმაც ჩინეთი სამხედრო ძლიერების ზენიტში აიყვანა. ჩინეთმა საბოლოოდ მოახერხა მთავარ მოწინააღმდეგესთან, თურქთა სახაკანოსთან ანგარიშის გასწორება. თურქთა სახაკანო ცენტრალური აზიისა და რუსეთის სტეპების ტერიტორიაზე VI საუკუნის 70-იან წლებში დაარსდა. 30-იოდე წელში

ორად გაიყო: დასავლეთ და აღმოსავლეთ თურქთა სახაკანოებად. მათი მარბიელი ლაშქრობები მუდმივი თავის ტკივილი იყო ჩინეთის სასაზღვრო ოლქებისათვის. თუმცა, იმპერატორმა თაიწონგმა (626-649) და შემდეგში კაოწონგმა (649-683) მაოხერხეს მათ წინააღმდეგ გამარჯვების მიღწევა და მეტიც, შეტევაზე გადავიდნენ. 657 წელს მდინარე ირტიშთან დაამარცხეს დასავლეთ თურქების ხაკანი და ამით დასავლეთ თურქთა სახაკანომ შეწყვიტა არსებობა. ჩინეთმა კი ძლიერების პიკს მიაღწია.

ურთიერთობები ჩინეთსა და ირანს შორის გაცილებით ადრე დაიწყო. აბრეშუმის გზამ სავაჭრო ურთიერთობები ახალ დონეზე აიყვანა. სავაჭრო აბრეშუმის გზის დაარსების შემდეგ, სპარსულ და ჩინურ პორტებს შორის გაცხოველდა ვაჭრობა. შესაბამისად, ჩინეთს ირანთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ეს გამოჩნდა მაშინაც, როცა ქადისიას ბრძოლაში მარცხის შემდეგ, 638 წელს იეზდიგერდ მესამემ დახმარება სთხოვა თანგის დინასტიის საიმპერიო კარს. დახმარებით მიმართა ჩინელებს იეზდიგერდის შვილმა პეროზმაც 661 წელს, როდესაც არაბების შეტევის ახალი ტალღა წამოვიდა. ცნობები უკანასკნელ სასანიანებსა და ჩინეთის საიმპერატორო კარის ურთიერთობების შესახებ დაცულია, როგორც არაბულ წყაროებში, ისე ჩინურში. განსაკუთრებით ამ მხრივ საინტერესოა „ძველი თანგის წიგნი“ (X ს.) და „ახალი თანგის წიგნი“ (XI ს.).

დასავლეთ თურქების დამარცხებამ, ცენტრალურ აზიაში პირველობისთვის მებრძოლ ჩინეთის თანგის დინასტიას, ფართო ასპარეზი გაუხსნა. მათ ცენტრალურ აზიაში დაარსეს

რამდენიმე პროტექტორატი, ტერიტორია, რომელსაც მათი მოკავშირე ან წარმომადგენელი მართავდა. თუმცა კი ჩინური სამხედრო ძალები ანსის რეგიონში (თანამედროვე სინძიანგი, ჩინეთი) იდგა. იმპერატორმა კაოწონგმა ჰინდიკუშიდან არაბების საზღვრამდე ტერიტორია გამოაცხადა „ირანელთა სამართავ ტერიტორიად“, ცენტრით ზარანჯში (ავღანეთი, ირანის საზღვართან ახლოს) და მის მმართველად პეროზი დანიშნა.

მიუხედავად ამ წარმატებისა, აშკარა იყო, რომ შექმნილი სიტუაცია დიდხანს არ გაგრძელდებოდა. არაბებმა კვლავ დაიწყეს შეტევები, ჩინეთის საზღვრები კი დასავლეთით ზედმეტად გაწელილი იყო, იმისთვის, რომ არმიას კარგად დაეცვა. 665 წელს თურქები აუჯანყდნენ ჩინელებს და დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ორი წლის შემდეგ, პეროზი არაბებთან დამარცხდა და იძულებული გახდა ჩინეთისაკენ დაეხია. 670-674 წლებს შორის პერიოდში პეროზი პირადად ესტუმრა თანგის საიმპერიო კარს. იმპერატორმა კაოწონგმა მას „მარჯვენა მცველთა ფლანგის სამხედრო სარდლის“ ტიტული უბოძა.

ამის შემდეგ, განვითარებულ მოვლენებს, სხვაგვარად აღწერენ ძველი და ახალი თანგის წიგნები. კერძოდ, ძველი თანგის წიგნის 198-ე ტომის მიხედვით, კვლავ პეროზი არის სასანიანთა წარმომადგენელი. მაგრამ ძველი თანგის წიგნის 84-ეტომში და ახალი თანგის წიგნის 108-ე ტომში წერია, რომ პეროზი 677 წლამდე გარდაიცვალა და სასანიანთა საავგარეულოს მეთაური უკვე მისი შვილი ნერსეა. რადგანაც ახალი თანგის წიგნი უფრო სანდო წყაროდ მიიჩნევა და თან საკუთრივ, ძველი თანგის წიგნის ორი მონაკვეთი ეწინააღმდეგება



ერთმანეთს, ამიტომ ქვემოთ განვითარებული მოვლენების მოქმედ პირად მივიჩნევთ ნერსეს და არა პეროზს.

676/677 წელს ტიბეტის სამეფომ შეუტია თანგის დინასტიის ანსის პრივილეგიას. მომდევნო წელს მათ შეუერთდათ დასავლეთ თურქების ხანი აშინა ტუ ჭ'. 677-678 წელს ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის მოხელემ თანგის საიმპერიო კარზე ფეი სინგძიენმა იმპერატორ კაოწონგს შესთავაზა, ნერსე აღედგინათ ირანის ტახტზე. გზად კი მოეგვარებინათ ტიბეტელებისა და თურქების შემოსევის პრობლემა. რეალურად, ამ წინადადების მთავარი მიზანი იყო ჩინეთის სასაზღვრო რეგიონის დაცვა და არა სასანიანების აღდგენა ირანის ტახტზე. თანაც, არაბების ელჩობები 651 წლიდან ფიქსირდება თანგის საიმპერიო კარზე. ახალ, ძლიერ მეზობელთან ურთიერთობას თანგის დინასტია ავანტიურისტული გეგმის გამო არ გაიფუჭებდა. 679 წელს თანგის არმია, ნერსეს თანხლებით, დაიძრა დასავლეთით. თუმცა, როგორც კი ფეი სინგძიენმა დაამარცხა თურქები და შეიპყრო მათი ხანი, უარი განაცხადა ლაშქრობის გაგრძელებაზე, გზის სიშორის მოტივით. ნერსე იძულებული გახდა თვითონ გაეგრძელებინა კამპანია. მან მიაღწია თოხარისტანს და 20-ზე მეტი წელი იბრძოლა აქ არაბების წინააღმდეგ, თუმცა უშედეგოდ. მას შემდეგ, რაც ნერსეს თანხმლები ამაღლა შემოეფანტა, კვლავ ჩინეთში დაბრუნდა. ახალმა იმპერატორმა ჭონგ წონგმა (684; 705-710) მას „მარცხენა ფლანგის მცველთა ძლევამოსილი სარდლის“ ტიტული უბოძა. ნერსე თანგის დინასტიის დედაქალაქ ჩანგანში დასახლდა სასანიანთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

წყაროების მიხედვით, ის ავადმყოფობით გარდაიცვალა.

ჩინურ წყაროებში ნერსეს შესახებ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი ფიქსირდება. 677 წელს მან იმპერატორ კაოწონგს სთხოვა „სპარსული ტაძრის“ აგება და ნებართვა მიიღო. ისტორიკოსების აზრი გაყოფილია „სპარსული ტაძრის“ განმარტების შესახებ. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს ზოროასტრული ტაძარია, ისტორიკოსთა მეორე ნაწილის აზრით კი, ნესტორიანული ტაძარი უნდა ყოფილიყო. ამ უკანასკნელ თეორიას რამდენიმე არგუმენტი ამყარებს. როგორც ცნობილია, იეზუდიგერდ მესამეს დაკრძალვის ცერემონიას მერვის ქრისტიანი ეპისკოპოსი უძღვებოდა. იეზუდიგერდის ცოლი ქრისტიანი იყო და ამას გავლენა ექნებოდა მის შვილებზეც. გარდა ამისა, ნესტორიანობა ჩინეთში ამ დროს უკვე შესული და გავრცელებული იყო. ჯერ კიდევ 638 წელს იმპერატორ თაიწონგის ბრძანებით ნესტორიანელობა ჩინეთში ერთ-ერთ ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა და ტაძრების აგების უფლებაც ჰქონდათ.

მცირე ცნობებია დაცულ წყაროებში, ჩინეთში დასახლებული სასანიანების შემდგომ ცხოვრებაზე. ახალი თანგის წიგნის მიხედვით, იმპერატორმა ნერსესა და მის საგვარეულოს უბოძა გვარი\_ლი, თანგის საიმპერიო გვარი. ეს უდიდესი პატივი იყო. ცნობები პეროზის მეორე შვილზე ხოსროზე დაცულია არაბულ წყაროებში. 728-729 წლებში ის თან ახლდა ტურგეშების (თურქული მომთაბარე ტომები) არმიას არაბების წინააღმდეგ. რთული სათქმელია იყო თუ არა ხოსრო ჩინელების მიერ გაგზავნილ არმიაში არაბების წინააღმდეგ, რათა მის გამოჩენას ირანში აჯანყება გამოეწვია.

ჩინური წყაროები ამ ფაქტზე ვერაფერს ვერ ვპოულობთ.

სასანიანთა საგვარეულოს წევრი იყო ვინმე ლი სუ (751-817). მისი სახელი მოხსენიებულია 781 წელს შედგენილ ნესტორიანულ სტელაში. ლი სუ

ნესტორიანი ქრისტიანი ყოფილა, ეკავა ასტრონომის თანამდებობა თანგის საიმპერიო კარზე. დროთა განმავლობაში სასანიანები მთლიანად გაითქვიფნენ ჩინურ სივრცეში და ცნობები მათზე აღარ გვხვდება.

## ავტორი - ოთარ ჭილაძე

# დასავლეთ თურქთა სახაკანოს დაპყრობა ჩინეთის მიერ

ჩინური ცივილიზაციისთვის მუდამ დიდ პრობლემას წარმოადგენდნენ ჩრდილოელი მომთაბარეები, როგორებიც იყვნენ სიონგნუს ტომები, თურქთა სახაკანო, მონღოლური ტომები და სხვა. ამ ხალხების მომთაბარეობრივი ყოფა-ცხოვრების გამო, ჩინელებს უმთავრესად მათგან თავდაცვა უწევდათ. ამ მარბიელი ლაშქრობების პრევენციისთვის აიგო „ჩინეთის დიდი კედელი“. თუმცა, ისტორიაში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ჩინეთი თვითონ უტევდა ამ ხალხებს და დიდ წარმატებასაც აღწევდა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის ნათელი მაგალითია თანგის დინასტია (618-907). ამ პერიოდს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩინეთის ისტორიაში. თანგის დინასტიის მმართველები პერიოდულად აწყობდნენ ლაშქრობებს დასავლეთით, ამ რეგიონში განსაკუთრებით გაძლიერებული თურქების წინააღმდეგ. მათ შორის ყველაზე გამოსარჩევია 657 წლის ლაშქრობა დასავლეთ თურქთა სახაკანოს წინააღმდეგ, როდესაც თანგის დინასტიამ იმპერიის

საზღვრები კასპიის ზღვამდე გააფართოვა.

უშუალოდ დასავლეთ თურქთა სახაკანოს დაპყრობის განხილვამდე ვისაუბრებთ, თუ როგორი კავშირი ჰქონდათ თურქულ ტომთა გაერთიანებებს ჩინურ დინასტიებთან. გასათვალისწინებელია, რომ სუისა (581-617) და თანგის დინასტიები, იმპერიის მმართველობის ხელში აღებამდე ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის არისტოკრატიულ სახლს წარმოადგენდნენ. ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილს მჭირდო კავშირი ჰქონდა მომთაბარეებთან, ეს კავშირი კიდევ უფრო გაძლიერდა IV-V საუკუნეებში, ამ უკანასკნელთა გაძლიერების შემდეგ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ის ფაქტი, რომ ამ საგვარეულოებს ხშირი კავშირი ჰქონდათ თურქული მოდგმის ტომებთან და მათ კულტურულ გავლენასაც განიცდიდნენ. ეს იმიტაც გამოიხატებოდა, რომ მათ სახლში თურქული ენისა თუ სხვა კულტურული ელემენტების გამოყენება ძალზედ გავრცელებული იყო.

თურქულმა ტომებმა ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე ფეხის მოკიდება დაახლოებით VI საუკუნიდან დაიწყეს, ხოლო 552 წელს აზიის ვრცელ ტერიტორიაზე მათ თავიანთი სახაკანო შექმნეს. 581 წელს იგი დაიყო დასავლეთ და აღმოსავლეთ თურქთა სახაკანოებად. იანგ ძიენი (582-605), ასევე ცნობილი, როგორც იმპერატორი ვენ ტის (582-605) დროს, სუის დინასტია ახერხებდა თურქების შემოტევების მოგერიებას. ამას ხელს უწყობდა 580 წელს თურქთა ხაკანისთვის ქალიშვილის - პრინცესა ციანძინის მითხოვება. მსგავსი დანიშნულება ჰქონდა 597 წელს იმპერატორ ვენ ტის მიერ აღმოსავლეთ თურქების ხაკანის ტულანისთვის საკუთარი ასულის მითხოვებას. სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო ააგო იმპერატორმა ვენ ტიმ 585 წელს 350 კილომეტრიანი კედელი თანამედროვე ჩინეთის ჩრდილოეთით ორდოსიდან თანამედროვე ინ ჩუანამდე. მისი გარდაცვალების შემდეგ კი თურქების წინააღმდეგ მოწყობილი კამპანიები კრახით სრულდებოდა, რაც გახდა კიდევაც სუის დინასტიის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი.

თურქებთან ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა თანგის დინასტიის მეორე იმპერატორის თანგ თაიწონგის დროს (626-649). მმართველობის დასაწყისში მას მოუწია აღმოსავლეთ თურქების მოგერიება, რომელთა ლაშქრობამ იმპერიის დედაქალაქის - ჩანგანის კედლებამდეც კი მიაღწია. თაიწონგმა შეძლო დიდი ბრძოლისა და საჩუქრების წყალობით თურქების მოგერიება, მაგრამ აღნიშნულმა ლაშქრობამ კარგად აჩვენა, თუ რა საფრთხეს წამოადგენდა ძლიერი მომთაბარე ხალხთა გაერთიანების მეზობლად ყოფნა და რომ მხოლოდ

თავდაცვითი ბრძოლა მათთან ურთიერთობაში საკმარისი ვერ იქნებოდა. სწორედ აღნიშნული საფრთხისგან გამომდინარე, პირველი სამიზნედ თაიწონგისთვის აღმოსავლეთ თურქთა სახაკანო იქცა.

აღმოსავლეთის თურქები ძალიან გაძლიერდნენ იშიზ ხაკანის (609-619) დროს. მან უეცარი თავდასხმით მოახერხა 615 წელს სუის იმპერატორის იანგ ტისთვის (605-618) იანგმენში ალყის შემორტყმა, რითაც იმპერიას დიდი პრობლემა შეუქმნა. იშიზ ხაკანი ხელს უწყობდა დინასტიის წინააღმდეგ აჯანყებულებსაც, მათ შორის თანგის არისტოკრატიულ სახლს. მის წარმატებულ პოლიტიკას აგრძელებდა ილიგ (ჰსიენლი) ხაკანიც (620-630). სწორედ მისი ინიციატივით, ტოლის ხაკანთან ერთად, 626 წელს მოეწყო ლაშქრობა ჩანგანის კედლამდე 100000 კაციანი ჯარით.

627 წლიდან სახაკანო აშკარა დასუსტების გზას დაადგა. ამის მიზეზი იყო მძიმე ზამთარი, რის გამოც ცხვრის ფარების დიდი ნაწილი გაუწყდათ. ასევე ეპიდემია, რამაც დიდი რაოდენობით მოსახლეობა შეიწირა. ეს ყველაფერი საბოლოოდ სხვადასხვა ტომის აჯანყებაში გადაიზარდა, რომლებმაც მოახერხეს სახაკანოსგან დამოუკიდებლობის მოპოვება. ამას თან დაერთო ილიგ ხაკანსა და ტოლის შორის ბრძოლის დაწყება.

აღნიშნული დამაბული ვითარებით ისარგებლა თანგ თაიწონგმა და 630 წელს გენერალი ლი ძინგის მეთაურობით აღმოსავლეთ თურქების წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა, რომლებმაც არა მარტო დაამარცხეს თურქები, არამედ ილიგ ხაკანიც ტყვედ ჩაიგდეს. ლაშქრობითა და თურქთა დამორჩილებით იმპერიამ მოახერხა ტიბეტისა და ლიესის პლატოებს შორის

მდებარე კანსუს დერეფანისა და ცენტრალური აზიის დიდი ტერიტორიის დაკავება, რაც დასავლეთისკენ გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გაკონტროლების შესაძლებლობას აძლევდა დინასტიას. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ იმპერატორმა მიიღო ტიტული „ზეციური ხაკანი“. ეს იყო მცდელობა თურქებზე მისი მმართველობის ლეგიტიმაციისა. ამით მან თურქებზე უფრო მეტი გავლენა მოიპოვა. თაიწონგმა დაიწყო ასიმილაციის პოლიტიკა, რისთვისაც თურქთა ტომები სხვადასხვა პროვინციაში ჩაასახლა და ასევე დაიწყო სამხედრო საქმეებში მათი აქტიურად ჩართვა. ამ მზადების შემდეგ იმპერატორმა თაიწონგმა დაიწყო დასავლეთ თურქთა სახაკანოს დაპყრობა.

დასავლეთის თურქების მიმართ აქტიურ პოლიტიკას ჯერ კიდევ იმპერატორი იანგტი ატარებდა (605-617). მიუხედავად იმისა, რომ მისი ლაშქრობები აღმოსავლეთ სახაკანოს წინააღმდეგ მარცხით დასრულდა, დასავლეთ თურქთა სახაკანოს შემთხვევაში მოვლენები მის სასარგებლოდ განვითარდა. მან მოახერხა დასავლეთ თურქთა სახაკანოსთან 609-611 წლებში არსებული დაპირისპირების მოგვარება და სახაკანო თავის ვასალად აქცია.

VII საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც აღმოსავლეთის სახაკანო დაკნინების გზას დაადგა, დასავლეთში სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იყო. დასავლეთ თურქთა სახაკანომ ალიანსი შეკრა ბიაზანტიასთან. სახაკანოს სურდა ამ უკანასკნელისა და ირანს შორის მიმდინარე ომით სარგებელი ენახა. მისი მთავარი მიზანი ირანის აღმოსავლეთ ტერიტორიების დაკავება

იყო. სწორედ დასავლეთ თურქთა სახაკანოს აღნიშნული გამლიერების გამო იყო, რომ აღმოსავლეთ სახაკანოს დამარცხებიდან მალევე - 631 წელს სამარყანდმა თაიწონგს მორჩილება გამოუცხადა და მის მფარველობაში შეყვანა სთხოვა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმ პერიოდში უარი განაცხადა. ჩანს, მას არ მიაჩნდა, რომ იმ პერიოდში ჩინეთს ასეთ შორ მანძილზე გალაშქრება შეეძლო. თუმცაღა, რა თქმა უნდა, მას დასავლეთ თურქების საფრთხე გათვალისწინებული ჰქონდა და მათ დიდხანს უყურადღებოდ დატოვებას არც გეგმავდა. მისი „ზეციური ხანის“ ტიტულის იდეა მხოლოდ აღმოსავლეთის თურქების დამორჩილებით არ შემოიფარგლებოდა.

თანგ თაიწონგმა თანდათან დაიწყო დასავლეთ თურქების შევიწროება. უპირველეს ყოვლისა, მისი სამიზნე გახდა ჩრდილოეთით მდებარე სახაკანოსთან ალიანსში მყოფი ტუიუჰუნის დამარცხება. ეს მან 634-35 წლებში მოახერხა. დასავლეთ თურქთა სახაკანოს წინააღმდეგ ლაშქრობის შესამზადებლად 640 წელს ქორწინების საშუალებით ალიანსი დაამყარა ტიბეტთან. ამავე წელს, მან მოაწყო ლაშქრობა თაკლამაკანის უდაბნოში კაოჩანგის წინააღმდეგ, რომელსაც ალიანსი ჰქონდა შეკრული დასავლეთ თურქთა ხაკანთან თანგის დინასტიის გამლიერების გამო. აქ თაიწონგმა დააარსა ანსის (დასავლეთის) პროტექტორატი, რომელსაც ევალებოდა სინძიანის პროვინციის ტერიტორიაზე მდებარე ტარიმის ქვაბულის ოაზისის გაკონტროლება. ამის საპასუხოდ, 642 წელს დასავლელმა თურქებმა იჭოუს შეუტყეს, რომელიც ანსის პროტექტორატის გავლენის ქვეს იყო. მაგრამ ჩინელებმა მოახერხეს

თურქების დამარცხება და მათი უკან გაბრუნება.

644 წლიდან იმპერიამ დაიწყო აქტიური დაპყრობითი ბრძოლები. ამ წელს, იმპერატორის მითითებით, ანსის მთავარმა ზედამხედველმა კუო სიაოქემ დასავლეთით დაიპყრო კარაშაჰრი. იმპერატორმა საბაზად გამოიყენა ის, რომ მაშინ როდესაც თანგის არმია კორეაში ლაშქრობდა, ხაკანი ბაჟუო იმპერიაში შეიჭრა. თუმცაღა, იგი სასტიკად დამარცხდა და შემდეგ აჯანყებულებმა მოკლეს. კარაშაჰრის დაპყრობით თანგის დინასტიამ გობის უდაბნოს ჩრდილოეთ ტერიტორია დაიკავა და აშკარად მძლავრი პლაცდარმი შექმნა დასავლეთ თურქთა სახაკანოს წინააღმდეგ საბრძოლველად.

*იმპერატორი თანგ თაიწონგი (626-649)*



646 წელს დასავლეთ თურქთა ხაკანს - ირბის შეკუსის (642-651) ქორწინების საშუალებით კავშირის შეკვრა სურდა თაიწონგთან, რაზეც იმპერატორმა თავისი პირობები წაუყენა. თაიწონგმა 5 ოაზისი მოსთხოვა: კუჩა, ხოტანი, შულე (კაშგარი), ჭუძუბო და ტაშკურგანი. საბოლოოდ მოლაპარაკება ჩაიშალა.

დასავლეთის თურქების წინააღმდეგ გადადგმულ შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენდა კუჩას დაპყრობა. ეს უკანასკნელი დასავლეთ თურქთა

სახაკანოს ვასალი ჯერ კიდევ 630 წელს გახდა და თანგის დინასტიის გაძლიერებასთან ერთად მისი კავშირი სახაკანოსთან კიდევ უფრო გაძლიერდა. იმპერიის ლაშქრობა 648 წელს დაიწყო და საბოლოოდ 649 წლის 19 იანვარს დასრულდა. ლაშქრობას აშინაშერი ხელმძღვანელობდა. მეფე ჰელი ბუშიბი (646-649) მორჩილებას შეჰპირდა თაიწონგს, მაგრამ იმპერიას მისი საფრთხის გათვალისწინებიდან გამომდინარე მისი დაპყრობა ჰქონდა განზრახული. აშინამ შეძლო 50000-იანი კუჩას არმიის დამარცხება და საბოლოოდ მეფის შეპყრობაც კი. კუჩა ანსის პროტექტორატში შეიყვანეს. მაგრამ, სამეფომ დამხმარება დასავლეთ თურქებს სთხოვა. კუჩანელებმა მოახერხეს კუოსიაოქეს მოკვლა და თურქების საშუალებით ჩინელების განდევნა. აღნიშნული შემთხვევის გამო, აშინა მალევე დაბრუნდა, აიღო სამეფოს 5 ქალაქი, დაამარცხა თურქებისა და კუჩას გაერთიანებული ძალები, ამასთანავე, ტყვედ ჩაიგდო ხაკანი. თანგმა დასავლეთის ტერიტორიების დასაცავად 4 გარნიზონი ჩაყენა ანსის პროტექტორატის გავლენის ქვეშ.

აღნიშნული გამარჯვების შემდეგ, თანგს კვლავ მოუწია კარაშაჰრის დალაშქვრა, მალევე მორჩილება გამოუცხადა ხოტანმა. ამასთანავე, არეული ვითარებით ისარგებლა აშინა ჰელუმ და დასავლეთ თურქთა ხაკანი გახდა, იშბარა ხაკანის სახელით.

დაპირისპირება ორ ძლიერ ძალას შორის ბუნებრივია მხოლოდ ზემოთ ნახსენები ლაშქრობებით არ დამთავრებულა, არამედ ყველაფერი უფრო და უფრო მწვავედებოდა. იმპერატორ თანგ თაიწონგს არ დასცალდა საბოლოო დარტყმის მიყენება თურქებისათვის, რადგან იგი

კუჩას დაპყრობიდან მალევე გარდაიცვალა. მის შემდეგ კი ტახტზე ავიდა კაოწონგი(649-683). კუჩას დაპყრობის შემდეგ დასავლეთ თურქთა სახაკანომ აღიარა იმპერიის უზენაესობა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა მათ საბოლოო დამორჩილებას.

თაიწონგის გარდაცვალების შემდეგ აშინა ჰელუმ უარყო თანგის დიანასტიასთან ვასალური მდგომარეობა და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო. მან მოახერხა სხვადასხვა ტომებისა თუ ოაზისების თავისი გავლენის ქვეშ შეყვანა. ამასთანავე, შეიჭრა თინგჰოლში, რითაც იგი პირდაპირ დაუპირისპირდა კაოწონგს. მან მოახერხა მთელ ტარიმის ქვაბულზე უპირატესობის მოპოვება. 651 წელს კი აიძულა ჩინელები ოთხი გარნიზონი მიეტოვებინათ და სიჭოუში გადაენაცვლათ.



იმპერატორი კაოწონგი (649-683)

კაოწონგმა რამდენიმე ლაშქრობა მოაწყო დასავლეთით, მაგრამ გადამწყვეტი მხოლოდ მესამე შეტევა გამოდგა, რომელიც 657-659 წლებში მიმდინარეობდა. 657 წელს გაგზავნილი ჯარი სამ ნაწილად გაიყო, სიეტინგ

ფანგის სარდლობით. არმიას ნაწილს გზად შეუერთდა 10000 უიღური, პორუნის - უიღურთა მმართველის, ტუმიდუს ვაჟის მეთაურობით. იმპერიის არმია 657 წლის მარტში გავიდა ორდოსიდან, ნოემბერში ყირგიზეთს მიაღწიეს. საერთო ჯამში ლაშქარს დაახლოებით 4800 კილომეტრის გავლა მოუწია. კამპანია გრძელდებოდა ზამთარშიც. სარდალი სუ კარგად იყენებდა მომთაბარე ტომების უარყოფით დამოკიდებულებას დასავლეთ თურქთა სახაკანოს წინააღმდეგ და მათთან ალიანსს ქმნიდა.


საბოლოოდ, მხარეებს შორის ბრძოლა ისიკ-ყულთან ახლოს მდინარე ირტიშთან გაიმართა. თავდაპირველად, გენერალმა სიეტინგმა ჯარის გარკვეული ნაწილი გაგზავნა აშინა ჰელუს წინააღმდეგ, რომელმაც 100000 კაციანი არმიით დაამარცხა იგი და გაქცეულებს უკან დაედევნა. როგორც ჩანს გეგმაც ეს იყო, მტერი რომ ხაფანგში შეეტყუებინა. იმპერიის არმიამ უეცარი შეტევა განახორციელა თურქებზე, რის გამოც ჰელუმ ჯარის უდიდესი ნაწილი დაკარგა, თვითონ კი უზბეკეთში გაიქცა. მალევე, თურქული ტომები დანებდნენ, ჰელუ შეიპყრეს და ტაშკენტის რეზიდენციაში გადასცეს ჩინელებს.

დასავლეთ თურქთა სახაკანოს დაპყრობის შემდეგ კაოწონგმა იგი ორ-დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად გაყო და სათავეში სხვადასხვა ხაკანები ჩაუყენა. ამასთანავე ისიკ-ყულსა და ილის დაბლობზე ორი ჩინური პროტექტორატი შეიქმნა, რითაც იმპერიამ თავისი გავლენა ამ ორ სახაკანოზე გააძლიერა. თანგის იმპერიის საზღვრები ჩინეთის ზღვიდან ირანამდე აღწევდა. სწორედ ამის აღსანიშნავად იმპერატორმა

დასავლეთით დაკავებულ ვრცელ ტერიტორიებს „სპარსეთი“ უწოდა.

იმპერიის აღნიშნული წარმატება რიგმა მიზეზებმა განაპირობა. რა თქმა უნდა, უდიდესი წვლილი მიუძღვის იმპერატორ თაიწონგს, რომელიც იყო რეალურად თანგის დინასტიის შემქმნელი. მისი დიპლომატიური სვლები ხშირად იწვევდა თურქულ ტომებს შორის დაპირისპირებას, რაც მას დასავლეთით ტერიტორიების დაპყრობას უადვილებდა. იდეურად ძალიან მნიშვნელოვანი იყო თაიწონგის მიერ „ზეციური ხაკანის“ ტიტულის მიღება. ამით, იგი თურქების წინააღმდეგ გამოდიოდა არა როგორც მტერი, ჩინეთის სხვა იმპერატორთა მსგავსად, არამედ მათი ლიდერი, რომელიც იბრძოდა ერთიანი სახაკანოს შექმნისთვის. ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ის, რომ თურქული მომთაბარე ტომების არისტოკრატიული წრე იმპერიის სხვადასხვა მმართველობის

სფეროებში, უმთავრესად კი სამხედრო საქმეში, ჩართეს, რითაც მათგან აშკარად დიდი მხარდაჭერა მიიღო იმპერიამ დასავლეთის დაპყრობით ომებში.



## ავტორი - გიორგი ჭილაძე

## მარვან II ბ. მუჰამადის სამონეტო ემისიები

მარვან II ბ. მუჰამადი ომაიანთა დინასტიის უკანასკნელი ხალიფა (744-750 წწ.), რომელიც სახალიფოს მმართველი გახდა მისი ბიძაშვილის ტახტიდან ჩამოგდებისა და ქვეყნიდან გაძევების შემდეგ. იგი იყო ხალიფა მარვან პირველის შვილიშვილი, გახალიფების პერიოდში სახალიფო დაშლის პირას იყო მისული. ჯერ კიდევ ხალიფა ჰიშამ ბ. აბდ ალ-მალიქის (724-743 წწ.) დროს პროვინციები არეულობამ მოიცვა განსაკუთრებით ხორასანსა და ერაყში. ხალიფა ჰიშამის გარდაცვალების შემდგომ ვითარება სახალიფოში უკიდურესად დამძიმდა, ნახევარ წელში შეიცვალა სამი ხალიფა, ხოლო ალიდები და აბბასიდები უკვე ღიად მოქმედებდნენ და მათი მოძრაობა დღითიდღე ძლიერდებოდა. აღნიშნული მოვლენების გამო მარვან ბ. მუჰამადი იძულებული გახდა საკუთარ სამხედრო ექსპედიციებზე უარი ეთქვა და დაბრუნებულიყო დამასკოში, სადაც მან ხალიფას ტიტული მიიღო და ისტორიაში შევიდა, როგორც მარვან II ომაიანთა დინასტიის უკანასკნელი მმართველი. ხალიფა მარვანი იყო განთქმული მხედართმთავარი, რომლის ექსპედიციებმა და ლაშქრობებმა დიდი კვალი დატოვა სახალიფოს და აგრეთვე

სხვა სახელმწიფოების ისტორიაში. აღნიშნულის გარდა მის სახელს უკავშირდება საკუთარი სამონეტო ემისიების გამოშვებაც, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგეს იმ კონკრეტული

სამმართველო ერთეულების კვლევაში, სადაც მათი ემისია ხორციელდებოდა, რადგან მონეტები იჭრებოდა

სახალიფოს პროვინციებში, სადაც მარვან ბ. მუჰამადი წარგზავნილი იყო სამხედრო ექსპედიციით.

ჩვენი მიზანია, აღვწეროთ მარვან ბ. მუჰამადის სახელით, გახალიფებამდე მოჭრილი საფასეების ძირითადი სამონეტო ტიპები, დავადგინოთ მათი ქრონოლოგია და აღვნიშნოთ მათი, როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობა. თავდაპირველად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ომაიანთა სახალიფოს პერიოდში მონეტებზე ხალიფას სახელის მოთავსება არ ხდებოდა, ეს პრაქტიკა მოგვიანებით დამკვიდრდა აბასიანთა დინასტიის მმართველობის დროს (750-1258 წწ.). თუმცა, სახალიფოს პროვინციებში წარგზავნილი მმართველების (ამირების) მიერ ადგილობრივ მონეტებზე საკუთარი სახელების დატანება არ წარმოადგენდა ნოვაციას მურვან ბ. მუჰამადის კავკასიაში მმართველად წარგზავნის პერიოდში. გახალიფებამდე იგი, როგორც მხედართმთავარი გაგზავნილ იქნა კავკასიაში მდგომარეობის სტაბილიზაციის და არაბული ელემენტის განმტკიცების მიზნით. კავკასიის კერძოდ კი არმინიის ოლქის სამართავად 744 წელს (126/7 ჰიჯრით) გამოიგზავნა.

პირველი მონეტა, რომელიც მურვან ბ. მუჰამადმა საკუთარი სახელით მოჭრა 115 წლის ჰიჯრით (732/33) თარიღდება და მოჭრილია ქალაქ ალ-ბაბში, რომელიც იმ დროს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პლაცდარმს წარმოადგენდა კავკასიისთვის. საფასის ნომინალი - ფელსია. აღნიშნული პერიოდის ომაიანთა სახალიფოში



პროვინციის სპილენძის მონეტებზე განსხვავებით მაღალი ნომინალის საფასეებისა, როგორცაა დინარი და დირჰამი, გამეგებლები ზოგჯერ საკუთარი სახელით ჭრიდნენ მონეტებს, რაც მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი, სპილენძის ნომინალის დაბალი მსყიდველობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, იგი ადგილობრივ ბაზარს ხმარდებოდა.

ქალაქ ალ-ბაბში მოჭრილი ფელსის აღწერილობა შემდეგნაირია:



*Av. ცენტრალური ისლამური ლეგენდა: არ არის ღმერთი, გარდა ალლაჰისა*

*ირგვლივ: იჭედა ალ-ბაბში წელს 115 (732-733)*

*Rv. ცენტრში ისლამური ლეგენდის გაგრძელება: მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა*

*ირგვლივ: ბრძანებით ამირა მარვან ბ. მუჰამადისა*

ფელსი სტილისტიკით, კალიგრაფიით და ფორმულების შინაარსით, მეტწილად წარმოადგანს სტანდარტული ომაიანთა ხანის ფელსის ანალოგს, განსხვავებით სხვა ანონიმური ფელსებისა აღნიშნულ მონეტაზე დატანილია თარიღი, რითაც ჩვენ ზუსტად შეგვიძლია დავათარილოთ მონეტა. აღნიშნული ტიპის მონეტები ალ-ბაბში 115 წლის ჰიჯრის გარდა იჭრებოდა 119 და 125 წლებში. ამავე ზარაფხანაში 121, 123(?) წლებშიც იჭრებოდა მსგავსი ფელსები, ოღონდ ზემოდ აღნიშნულებისაგან განსხვავებით, მათზე არ იყო

დატანილი მარვან ბ. მუჰამადის სახელი.

შემდეგი საფასე, რომელიც ასევე მარვან ბ. მუჰამადის სახელით არის მოჭრილი ძალზედ იშვიათ ტიპს წარმოადგენს, იგი დღეისათვის სულ ოთხ ცალად არის ცნობილი. მონეტა მოჭრილია ქალაქ თბილისში, მისი ნომინალური ერთეული ისევე როგორც, ალ-ბაბის - ფელსია. აღნიშნული ფელსი პირველად 1998 წელს იქნა გამოქვეყნებული, როგორც თბილისის ომაიანური ფელსი და იგი მიწერილ იქნა ხალიფა მარვან II ბ. მუჰამადის სახელს, რომელიც დღეს თიუბინგენში ინახება. თიუბინგენის მონეტის აღწერილობა შემდეგნაირია:



*Av. لا اله الا الله არ არს ღმერთი*

*الله* გარდა ალლაჰისა

*ირგვლივ: خاز بتقليد الفلاس هذا ضرب الله بسم*

*სახელითა ალლაჰისა იჭედა ეს ფელსი თფილისს.*

*Rv. محمد مუჰამადი*

*رسول* მოციქულია

*الله* ალლაჰისა


*ირგვლივ: محمد بن مروان الامير به امر مما الفلاس هذا*

*ეს ფელსი ბრძანებითა ამირა მარვან იბნ მუჰამადისა*

ალ-ბაბში მოჭრილი ფელსისგან განსხვავებით თბილისურ ფელსზე არ არის დატანილი წელი, რის გამოც ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ მონეტა მოჭრილია 735-744 წლების შუალედში, რადგან მარვან ბ. მუჰამადი შემდგომში ომაიანთა დინასტიის ბოლო ხალიფა მარვან II, სამხრეთ კავკასიაში 732/33 წლებში გამოიგზავნა

სალაშქროდ და სამართავად, ხოლო საქართველოში 735/36 წლებში ილაშქრა, ხოლო ხალიფას ტიტული მან 744 წელს მიიღო. ამ ტიპის შემდგომი ეგზემპლარი აღმოჩენილ იქნა 2006 წელს მტკვრის კალაპოტში ხოლო მოგვიანებით კი გამოქვეყნებულ იქნა ქართულ ენაზე .

ვიძლევიტ მონეტის რეკონსტრუქციას :



მარვენ ბ. მუჰამმადის მიერ თბილისში მოჭრილი მონეტა, მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი პირველი ომაიანური სტილის ფელსია, რომელიც თბილისის ზარაფხანაში მოიჭრა, აგრეთვე იგი პირველი თბილური მონეტაა, რომელზეც არაბი მმართველის სახელია გამოსახული, ხოლო უშუალოდ მურვან ბ. მუჰამმადის ლაშქრობების შემდგომ იქმნება თბილისის საამირო. მარვან ბ. მუჰამმადის სახელით სხვა ზარაფხანებში მოჭრილი მონეტები აღარ ფიქსირდება ან ჯერ არ არის აღმოჩენილი.

**ავტორი - ევგენი ჭანიშვილი**

ვალიდე-ი მუაზზამა მაჰფეიქერ ქოსემ სულთანნი (1623-1651 წწ.)

## "ოსმალეთში ქალთა სასულთნოს დიდების მწვერვალი"

ოსმალეთის მე-14 სულთნის აჰმედ I-ის (ოსმ. *أحمد اول* - *Âhmed-i evvel*, თურქ. *Birinci Ahmet*;) გარდაცვალების შემდეგ, 22 ნოემბრიდან სახელმწიფოში დაიწყო მმართველობის ახალი ფორმა, რომელიც იმ დროისთვის ახალმა პოლიტიკურად მნიშვნელოვანმა ფიგურამ, რეგენტმა - ვალიდე-ი მუაზამმა მაჰფეიქერ ქოსემ სულთანმა დაამყარა. ოფიციალურად, ქოსემმა რეგენტის ტიტული 1623 წელს მიიღო, როდესაც თავისი შვილი მურად IV (ოსმ. *مراد اربعا* - *Murâd-ı râbi'*, თურქ. *Dördüncü Murat*; 1623-1640) — სამეფო ტახტზე ავიდა. რადგანაც ახალგაზრდა მურადი მაშინ თავისი მცირეწლოვნების გამო სახელმწიფოს მართვისთვის მზად არ იყო, ეს ტვირთი სწორედ ვალიდე ქოსემ სულთანმა იკისრა და სახელმწიფოს 10 წლის განმავლობაში უძღვებოდა.

ქოსემი პირველად "დიდი ვალიდე" საფიე სულთნის (*Safiye Valide Sultan*) ბრძანებით მოიტაცეს საბერძნეთიდან, კერძოდ სალონიკიდან და სულთან აჰმედს, საფიეს - შვილიშვილსა და მეჰმედ III-ის (1595-1603) ვაჟს, თოფქაფის სასახლეში საჩუქრად მიუყვანეს. ის დაბადების სახელით ცნობილია როგორც ანასტასია, ხოლო, როცა თოფქაფის სასახლეში მიიყვანეს, სახელი შეუცვალეს და ჰათიჯე დაარქვეს. მოგვიანებით, მისი სახელი კიდევ შეიცვალა, ამჯერად, ის საფიე სულთანმა შეურჩია და მისი სილამაზის მიხედვით მაჰფეიქერი (მამაცი, მთვარის მსგავსად ლამაზი და

ნათელსახიანი) დაარქვა, რომელიც მომავალში კიდევ ახალმა სახელმა, ქოსემმა (*kösem* - გზის მაჩვენებელი) შეცვალა.



ქოსემ სულთანნი

სულთან აჰმედს საკმაოდ მძიმე დაავადება, ოსპა შეეყარა. სამწუხარო ინფორმაციამ მალე გამოაღწია სასახლის გარეთ და გამოიწვია სტამბულის მშვიდობიანი მოსახლეობის აჯანყება (1604). მაშინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქოსემმა მოახერხა აჯანყებულების დარწმუნება, რომ მათ სულთანს არაფერი სჭირდა და სახელმწიფო უპატრონოდ არ დარჩენილა. მაჰფეიქერს სიკვდილამდე

შერჩა სახელი „ქოსემი“ და მას ოსმალურ წყაროებში მაჰფეიქერ-ქოსემ სულთნის სახელით ვიცნობთ. მეუღლის, სულთან აჰმედ I-ის გარდაცვალების შემდეგ, ქოსემს უზარმაზარი იმპერიის ტახტი, წესით, აჰმედის უფროსი ვაჟისთვის – უფლისწულ ოსმანისთვის (1618–1622 წლებში) უნდა დაეთმო, მაგრამ მან ტახტზე ასვლის ნება აჰმედის ძმას – უფლისწულ მუსტაფას მისცა, რომელიც ჯერ-კიდევ ახალგაზრდობაში კაფეზეში (ოთახი, სადაც სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების შემდეგ სულთნები თავიანთ ძმა-უფლისწულებს აპატიმრებდნენ) ტყვეობისგან ფსიქიურად იყო დაავადებული. მუსტაფას მმართველობამ ორ წელს გასტანა. ის და მისი ოჯახი (დედა – ჰალიმე სულთანი, მისი და – დილრუბა სულთანი და სიძე – ქარა დავუდ ფაშა (დილრუბას ქმარი)) აქტიურად ესხმოდნენ თავს ქოსემსა და მის შვილებს, რაც მათივე კრახით მთავრდებოდა. სახელმწიფო, ფაქტობრივად, ჰალიმე სულთნის ხელში აღმოჩნდა, რადგან მუსტაფას მისი მართვის უნარი არ გააჩნდა, ამიტომაც ქოსემმა მუსტაფა იანიჩართა აჯანყებით ტახტიდან ჩამოაგდო და უკვე ოფიციალურად ოსმანი გამოაცხადა სახელმწიფოს მმართველად.

ოსმანი ქოსემის შვილი არ იყო. მისი დედა, მაჰფირუზ ჰათიჯე სულთანი (1590-1620/21 წ.წ), აჰმედის პირველი ფავორიტი მხევალი იყო, რომელიც გაურკვეველი დაავადებით გარდაიცვალა 1620 წელს. მაჰფირუზ სულთანი, შესაძლოა, უფრო ადრე, 1615 წელსაც მომკვდარიყო, რადგან ამ წელს საფიე სულთანმა მოაწყო სტამბოლში დიდი აჯანყება და ჰარამხანის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ამოწყვიტა. მათ შორის, დაღუპულთა სახელებში

მოიხსენიება "უფროსი შეჰზადეს დედა". არსებობს მეორე წყაროც, რომლის მიხედვითაც მაჰფირუზ სულთნის გარდაცვალება მძიმე დაავადებამ გამოიწვია, ამიტომაც რთულია მისი ზუსტი გარდაცვალების თარიღის დადგენა.

მუსტაფა I-ის მმართველობის მსგავსად, ხანმოკლე და ქაოტური იყო ოსმანის მოღვაწეობა სამეფო ტახტზე: ხოტინის ბრძოლიდან (1621) ერთი წლის შემდეგ, 1622 წელს სულთანი შეთქმულთა ორგანიზებულ აჯანყებას ემსხვერპლა, რომელიც, სავარაუდოდ, მუსტაფა I-ის დედის, ჰალიმე სულთნისა (1570-1623წ.წ. წარმოშობით აფხაზი) და ქარა დავუდ ფაშას (თურქ. Kara Davut Paşa;) მოწყობილი იყო. აჯანყებაში დიდი როლი ითამაშეს: იანიჩარებმა, სიფაჰებმა და მშვიდობიანმა მოსახლეობამ, რომლებმაც ოსმანზე ფიზიკური თავდასხმა განახორციელეს და პირველად ოსმალთა იმპერიაში დაამხეს სულთანი. მათ სულთანი ოსმანი გამოათრიეს თოფქაფის სასახლიდან და სტამბოლის ბაზარი ვირზე უკუღმა ამხედრებულს შემოატარეს. წყაროების თანახმად, სიწმინდის ნიშნად მას თავზე სუფთა ჩაღმა დაახურეს. ფადიშაჰის ტიტული ქარა დავუდ ფაშამ კვლავ მუსტაფას (მუსტაფა I) უბოძა.

მოსახლეობის უმრავლესობას ახალი ხელისუფლების დამყარება აღარ მოეწონა, რადგან ხმა გავარდა, რომ მუსტაფა გონებაშეზღუდული იყო და სახელმწიფოს სადავეები ხელში ისევ ჰალიმე სულთანს ეჭირა. 1622 წლის 20 მაისს იედიყულეს ციხესიმაგრეში (Yedikule Zindanları ;Yedikule Hisarı/ "შვიდკოშკიანი ციხესიმაგრე") დავუდ ფაშამ ოსმანი აწამა და სქელი თოკით მოახრჩო, ამან ქოსემ სულთნის გაღიზიანება გამოიწვია: მან შეკრიბა

ულემები, ვეზირები, მისი მომხრე იანიჩრები, სიფაჰები, ყადიები და სხვა სახელმწიფო მოხელეები. ქოსემმა სახელმწიფო მმართველობა მთლიანად თავის თავზე აიღო. 1622 წლის 13 ივნისს ქარა დავუდ ფაშა შეიპყრეს და იედიყულეს ციხესიმაგრეში, სადაც თავისი შვილობილი სულთანი აწამეს, მოაკვლევინა. გადმოცემის თანახმად, ოსმანისთვის ქარა დავუდს ყური მოუჭრია და ამით შეულახავს მისი ტიტული. 1623 წელს განხორციელდა სასიკვდილო თავდასხმები ვალიდე ჰანდან სულთანსა და მის ქალიშვილზე, დილრუბა სულთანზე, რომელიც ქარა დავუდის მეუღლე იყო. იმავე წლის 10 სექტემბერს ახალგაზრდა ვალიდე სულთანმა სახელმწიფო მოხელეებსა და ჯარს წარუდგინა ახალი, 11 წლის სულთანი მურადი (მურად IV/ 1623-1640) და თავი რეგენტად გამოაცხადა. 1623 წლიდან - 1632 წლამდე მიმდინარეობდა მისი პირველი რეგენტობა იმპერიაში მანამ, სანამ მურადმა არ გააუქმა ორ-მმართველობა იმპერიაში და ერთპიროვნული მმართველობა შემოიღო. აქედან დაიწყო დედა-შვილს შორის დაპირისპირება.



მუსტაფა I (1617-1618)



ოსმან II (1618-1622)



აჰმედ I (1603-1617)

ქოსემი ვერ ეგუებოდა თანამდებობის დაკარგვას და სახელმწიფოს საქმეებში ჩუმად ერეოდა. მას ოსმალეთის მართვაში მისივე დაარსებული ვაკფიც ეხმარებოდა და მალულად აქ ხვდებოდა სახელმწიფო მოხელეებს. არც მურადი თმობდა ტიტულს, თანაც, ეს პერიოდი დაემთხვა იეზუიტთა ორდენის დაფინანსებით შიდაოსმალურ აჯანყებებს, რომლებიც

მურადის წინააღმდეგ რამდენჯერმე მოეწყო. ერთ-ერთი იეზუიტი მოღალატე ფადიშაჰის დივანის სხდომაზეც კი იყო შემოპარული. მოღალატეობაში ამხილეს დიდი ვეზირი და მურად IV-ის სიძე, გევერჰან სულთნის ქმარი, თოფალ ფაშა.



*სულთან ოსმანის ჩამოგდება ტახტიდან და დიდი ბაზრის ვირით შემოვლა*

1632 წელს სტამბოლში იფეთქა იანიჩარების აჯანყებამ, რომელსაც შეეწირა დიდი ვეზირი ჰაფიზ აჰმედ-ფაშა (თურქ. Müezzinzade Hafız Ahmed Paşa; 1564-1632 10/II). სულთანმა ჰაფიზ აჰმედის ნაცვლად ვეზირის თანამდებობა უბოძა თავის სიძეს, თოფალ რეჯეფ-ფაშას, თუმცა რამდენიმე თვეში ამხილა იეზუიტთა ორდენის წარმომადგენლად, ბრალი დასდო იმპერიის წინაშე ღალატში და სიკვდილით დასაჯა. მურადმა იმპერიაში შემოიღო ახალი, მკაცრი კანონები, რომლის მიხედვითაც, აიკრძალა ალკოჰოლი, ოპიუმი და სიგარა. დაიკეტა ტავერნები და ღვინის სავაჭრო ცენტრები. ამან გამოიწვია ხალხის უკმაყოფილება. ქოსემმა ახალი კანონები მიიჩნია იმპერიის დაკნინების დასაწყისად და სულთნის ნებართვის გარეშე, თოფაფის სასახლის დივანის სხდომაზე შეკრიბა ვეზირები და მკაცრი ბრძანება გასცა გაუუქმებინათ დედაქალაქში სულთნის ფირმანით მიღებული კანონები. მურადმა ეს შეიტყო და ქოსემი ძველ სასახლეში (Eski saray) გააძევა.



*მურად IV (1623-1640)*

1634 წელს მურადმა განაახლა ომი სეფიანთა ირანთან. ის გაემართა ირანისკენ და ბაღდადიც დაიკავა. ირან-ოსმალეთს შორის 1639 წლის 17 მაისს დაიდო „ქასრ-ი შირინ“-ის, ანუ ზოკაბის ზავი, რომლის ქვეპუნქტებშიც განხილული იყო ამასიის ზავის (1555 წლის) პირობები, კერძოდ, ქართლთან დამოკიდებულებაში. დასავლეთ საქართველო და სამცხე საათაბაგო ოსმალეთის იმპერიის ხელში აღმოჩნდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო - სეფიანთა ირანის ხელში. მურადს ირანში ყოფნისას ღვიძლის დაავადება (ციროზი) აღმოაჩნდა, რომელიც საკუთარი აკრძალვებისდა მიუხედავად ღვინისგან იყო გამოწვეული.

გამარჯვებული ფადიშაჰი იმპერიაში ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობით დაბრუნდა. ის ჯოხის გარეშე ველარ გადაადგილდებოდა და 1640 წელს ლოგინად ჩავარდა. როდესაც სტამბულის მოსახლეებმა ფადიშაჰის ავადმყოფობის ამბავი გაიგეს, სასახლისკენ დაიძრნენ, რადგან სახელმწიფოს უპატრონოდ დარჩენის

შეეშინდათ. ისინი მიიჭრნენ თოფქაფის სასახლის მთავარ კარიბჭესთან. მათ წინაშე ვალიდე მაჰმუდი ქოსემ სულთანის წარსდგა. ისარგებლა რა თავისი შვილის მძიმე მდგომარეობით, უკვე მეორედ თავი იმპერიის დამცველად და რეგენტად გამოაცხადა, რამაც მოსახლეობა დაამშვიდა, მაგრამ მთავარი პრობლემა სულთან მურადის გადაწყვეტილება გახდა: მას აღარ დარჩა შვილი/უფლისწული, რომელიც დინასტიას სათავეში ჩაუდგებოდა. მისი ძმაც, ქასიმიც, მისივე ბრძანებით 1638 წელის 17 თებერვალს სიკვდილით დასაჯეს ჯალათებმა. დარჩა მხოლოდ ერთი ძმა - იბრაჰიმი, რომელიც ქოსემის ხალხმა გადამალა და იმპერიის გადარჩენის ბოლო იმედად შემოინახა. მურადს მისი სიკვდილით დასჯა ჰქონდა ნაბრძანები და სიცოცხლის ბოლომდე მკვდარი ეგონა. შესაბამისად, სჯეროდა, რომ აღარავინ იყო ოსმანთა წარმომადგენელი და ტახტის მემკვიდრედ ყირიმელი უფლისწული დაასახელა გირეის გვარიდან. (გირეის წარმომადგენელი ქალთა სასულთნოს დასაწყისამდე იყო სულეიმან I-ის (1520-1566) — დედა აიშე ჰაფსა ვალიდე სულთანი (1479-1534). ქოსემმა ყირიმელი უფლისწულის მოკვლის ბრძანება თავის ქეთხუდებს (მარჯვენა ხელს/გამყოლს/ერთგულებს) ქემანქემ მუსტაფა ფაშას (თურქ. Kemankeş Kara Mustafa Paşa. 1592-1644) და დელი ჰუსეინ ფაშას დაავალა (თურქ. Gazi Hüseyin Paşa; 1610 -1659), რომლებმაც წარმატებით შეასრულეს დაკისრებული მისია. ჯერ კიდევ, მურადის გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე, ქოსემმა უკვე მეორე გადატრიალება მოაწყო სტამბულში და 1640 წლის 8 თებერვალს მან სულთანად თავისი უმცროსი ვაჟი იბრაჰიმ I გამოაცხადა, თვითონ კი დივანის სხდომაზე ვეზირების ხელმოწერა

მიიღო მეორე რეგენტობის დასადასტურებლად (1640-1648).

იბრაჰიმის ტახტზე ასვლამდე, 1639 წელს დივანის ვეზირად (დიდი ვეზირი/სადრაზამი-Osmanlı Türkçesi: صدراعظم; sadr-ı âzam(ya da vezîr-i âzam وزيراعظم) დაინიშნა ქემანქემ მუსტაფა ფაშა, რომელიც ქოსემ სულთანის ქეთხუდა და უკვე, ფადიშაჰის გამეფების წლებში, მისი თანამოაზრეც იყო იმპერიის მართვის საკითხებში. სულთან იბრაჰიმს ბავშვობიდანვე სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა. ისტორიკოსები მას ხშირად ბიძამისს, მუსტაფა I-ს ადარებენ, რადგან ფსიქიური აშლილობებით ისიც ხასიათდებოდა.

ახალი სასულთნოს ეპოქის დასაწყისში ჰარამხანაში გამოჩნდა თურჰან ჰატიჯე სულთანი, რომელიც იბრაჰიმს ქოსემ სულთანმა შეურჩია ხარჭად. იგი შემდგომში მისი მეუღლე, უფლისწულ მეჰმედის დედა და მთავარი ჰასეკი (ცოლი/ ჰარამხანაში იერარქიულად მესამე წოდება) სულთანი გახდა. ქოსემს ის ძალიან უყვარდა, შეიძლება ითქვას, მისი აღზრდილიც კი იყო. ვალიდე სულთანი თურჰანსაც ანდობდა ჰარამხანისა და სახელმწიფო საქმეებს. მან იმდენად შეისწავლა სახელმწიფოს საქმეები, რომ ქოსემ სულთანის ზურგს უკან დაიწყო მოქმედებები. ეს პერიოდი ვალიდე ქოსემის ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი აღმოჩნდა, რადგან მას მოუწია მეორე შვილთან დაპირისპირება, მიზეზად კი ის სახელდება, რომ იბრაჰიმმა დიდი ვეზირი აზამი ქემანქემ მუსტაფა ფაშა, ქოსემის მეგობარი და მრჩეველი სიკვდილით დასაჯა. მის სულელურ მმართველობას უკვე საზღვარი აღარ ჰქონდა. ბოლო პერიოდში ის მარტო ჰარამხანითა და მვირფასი ბეწვეულით

იყო დაინტერესებული. ქოსემმა მისი შვილის უგუნურობის გამო, 1648 წლის 12 აგვისტოს გასცა ბრძანება, რათა სატამბოლის იანიჩართა ორტის შენაერთები სასახლეში შემოიჭრილიყვნენ, რასაც საბოლოოდ იბრაჰიმის ტახტიდან ჩამოგდება მოჰყვა. გადაყენებული სულთანი კაფეზეში ჩაკეტეს. ხოლო იმავე წლის 18 აგვისტოს, იანიჩრებმა დედამისის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. სულთანად თურჰან ჰატიჯე სულთნისა და იბრაჰიმ I-ის ვაჟი მეჰმედ IV აირჩიეს. ეს მოხდებოდა იმ პირობით, თუ ვალიდე ქოსემი განაგრძობდა თავის რეგენტობას იმპერიაში. ვეზირთა სხდომამ ეს წინადადება მიიღო და ვექსილსაც (მეორედ) მოაწერეს ხელი, სადაც სახელმწიფო მოხელეებმა წერილობით დაადასტურეს „დიდი ვალიდე“ ქოსემ სულთნის სამუდამოდ რეგენტის ტიტულის გაგრძელება („დიდი ვალიდე“ და რეგენტი 1648-1651 წლებში / მე-3 რეგენტობა). ხოლო, ახალგაზრდა თურჰანს, ვინაიდან ის სულთნის დედა იყო უმცროსი ვალიდე სულთნის ტიტული მიენიჭა. თურჰანმა რამდენჯერმე სცადა ქოსემის რეგენტობის გაუქმება თავისი შვილისა და დიდი ვეზირის ქუფრიულ მეჰმედ ფაშას დახმარებით. ერთხელ, როდესაც ფადიშაჰის დივანზე სხდომა მოიწვიეს, რათა ქოსემის ძალაუფლებისთვის ბოლო მოეღოთ, ეს სხდომა ვალიდე-ი მუაზზამა (ყველაზე მაღალი ტიტული იმპერიაში, ეს ტიტული მან მესამე რეგენტობისას მიიღო) ქოსემ სულთანმა ჩაშალა და ვეზირები გააფრთხილა იმის შესახებ, რომ კიდევ თუ ეცდებოდნენ იგივეს, სახელმწიფო უმცროსი ვალიდე სულთნისა და ფადიშაჰის გარეშე დარჩებოდა. ეს, რა თქმა უნდა, მმართველი დინასტიის სიცოცხლეზე თავდასხმის მუქარა იყო.

1651 წელს ქოსემმა გადაწყვიტა თავისი შვილიშვილი ჩამოეცილებინა ოსმალთა სახელმწიფოს ტახტისგან და მის ნაცვლად მეორე შვილიშვილი – სულეიმანი (ისტორიაში ის მართლაც გახდა სულთანი სულეიმან II-ის სახელით) აიყვანა ტახტზე. ამავე წლის 2 სექტემბერს ქოსემის ბრძანებით მეოთხე გადატრიალების მცდელობა დაიგეგმა. იანიჩრები უნდა შემოსულიყვნენ სასახლეში, მათ უნდა მოეკლათ სულთან მეჰმედ IV და მისი დედა თურჰან ვალიდე სულთანი, მაგრამ თურჰან სულთანმა ეს ჩანაფიქრი შეიტყო და სახელმწიფო მოხელეები, ვეზირები, ყადიები, ულემები და სხვა რელიგიური პირები გააფრთხილა და მათაც იანიჩრებს წინააღმდეგობა გაუწიეს. თოფქაფის სასახლეში სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. ვალიდე-იმუაზზამა ქოსემ სულთანი უკვე მე-4 რეგენტობისთვის ემზადებოდა, მაგრამ თურჰანის ხალხმა გაიმარჯვა და 1651 წლის 2 სექტემბერს დედა სულთანი საკუთარ ოთახში სულეიმან ადამ, ვალიდე თურჰანის მსახურმა, თოკით მოახრჩო (ქოსემი ის ერთადერთი ვალიდე სულთანია ოსმალეთის იმპერიაში, ვისზეც ხელი აღმართეს და სასტიკად მოკლეს). მისი ნეშტი ძველ სასახლეში წაიდეს, ხოლო იქიდან თავისი ქმრის სულთან აჰმედის მეჩეთში (Sultan Ahmet Camii-ლურჯ მეჩეთში) გადაასვენეს. მის გარდაცვალებას ოსმალეთის იმპერია 3 დღე გლოვობდა. ქოსემ სულთანს ოსმალეთის იმპერიაში მოიხსენიებენ როგორც „ბრწყინვალე დედას“ ("valide-i Muazzama"), „მოკლულ დედას“ ("valide-i Mahtüle") და „წამებული დედას“ ("valide-i Şehide").





*ვალიდე-ი მუაზზამა ქოსემის სიკვდილით დასჯა (1651 წლის 2/IX)*

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვალიდე ქოსემის მმართველობა ოსმალეთის იმპერიაში ერთ-ერთი უძლიერესი ეტაპია, რომლის დროსაც "ქალთა სასულთნომ" თავის დიდების მწვერვალს მიაღწია.

**ავტორი-გიორგი ახალკაციშვილი**

# ალავერდი-ხან უნდილაძის წარმომავლობა და მოღვაწეობა ირანში

„სპარსეთის ლომის“ სახელით ცნობილ-შაჰ აბას I-ის ზეობის დროს, სეფიანთა ირანის კარზე მოღვაწე კავკასიელი ხალხის რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. XVII საუკუნის იტალიელი მოგზაური ჯუსტო პრატო აღნიშნავდა: “დღეს მთელი სპარსეთი სავსეა ქართველებით, რომლებმაც შეიცვალეს სჯული, მათ ხელშია ყველა დიდი თანამდებობა”. შაჰ-აბასის კარზე მოღვაწე ქართველებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ალავერდი-ხან უნდილაძე.



*ნადიმი შაჰ-აბას I-ის სასახლეში, მის მარცხნივ ალავერდი-ხან უნდილაძე*

ირანში ალავერდი-ხან უნდილაძის მოღვაწეობის შესახებ ვრცელ ინფორმაციებს გვაწვდის სპარსული, სომხური, ევროპული და ქართული წყაროები. თუმცა, სამწუხაროდ, მცირე ცნობები გვაქვს ალავერდი-ხან უნდილაძის საქართველოში ცხოვრების პერიოდის შესახებ. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ალავერდი-ხან უნდილაძის წარმოშობის საკითხი.

უნდილაძეთა გვარის ცნობილი წარმომადგენლის ალავერდი-ხანის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ისქანდერ მუნშის საისტორიო თხზულება „თარიხ-ი ალემარა-ი აბასი“. ამ წყაროს მიხედვით, ალავერდი-ხანი ქართველი იყო, შაჰ-აბასის ერთ-ერთი სამხედრო კამპანიის დროს ირანში ტყვედ წაყვანილი და გამაჰმადიანებული.

დონ ხუანი - გაკათოლიკებული ირანელი აღნიშნავდა, რომ „შაჰმა ალავერდი-ხანი 12000 ქართველის (მეომრის) სათავეში დააყენა, რადგან თვითონ იგი ქართველი რენეგატი იყო“. შესაბამისად, ამით ხაზი ესმება ალავერდი-ხან უნდილაძის ქართულ წარმომავლობას. წმინდა ავგუსტინეს ორდენის ბერი ამბროზიო დუმ ანჟუში 1614 წლის 16 იანვარს მადრიდში გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ ალავერდი-ხანი გამაჰმადიანებული ქართველი იყო. რომის პაპთან ელჩად წარგზავნილი ანტონი შერლეს თანმხლები პირის ჩანაწერების თანახმად, ალავერდი-ხან უნდილაძე იყო ქართველი ქრისტიანი. ასე მოიხსენებიდნენ მას ამ დელეგაციის სხვა წევრებიც.

არსებობს მეორე მოსაზრება, რომლის თანახმადაც ალავერდი-ხანი განიხილება ქრისტიან სომეხად. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ დ. ლენგი, ვ. მინორსკი. ი. პეტრუშევსკი, მ. ივანოვი. ეს მოსაზრება მომდინარეობდა იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს ჩანაწერებიდან. იგი წერდა, რომ

„იმამყული ხანის მამა ალავერდი იყო. იგი იყო საქართველოში მცხოვრები სომეხი.“ მკვლევერთა აზრით, შესაძლებელია დელა ვალემ „სომხითი“ „სომხეთად“ თარგმნა და სწორედ ამან გამოიწვია ამგვარი აზრის არსებობა.

ისტორიული წყაროებით დგინდება, რომ საქართველოში ცხოვრებისას ალავერდი-ხანს სხვა სახელი ჰქონდა. ფაზლის ცნობით, 1603 წელს ალავერდი-ხანი შეხვდა ებრაჰიმ ხანს, რომელიც დაინტერესდა მისი საქართველოში მშობლებისგან მიღებული სახელით. ალავერდი გააოცა ამ შეკითხვამ. მან უპასუხა, რომ მისი პირვანდელი სახელი ხოსროვი იყო. სეფიანთა პერიოდის ქართულ საბუთებში ძალაინ ხშირად ვხვდებით სახელ ხოსროვს, ზოგჯერ ქაიხოსროს ფორმითაც. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ალავერდი-ხანის ქართულ წარმომავლობას.

ისტორიკოს ჯუანშერ ვათეიშვილის თქმით, შაჰის ტახტზე აბას I-ის ასვლას ხელი შეუწყო გამუსლიმებულმა ქართველმა გიორგი უნდილაძემ, შემდეგში შაჰის სიძემ (დის ქმარმა), რომელიც ირანში ალავერდი-ხანად იწოდებოდა. ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება ის მოსაზრება, რომ ალავერდი-ხან უნდილაძე ქართველი იყო.

1625 წელს აჯანყებულმა ქართველებმა იმამყული ხანის ქალიშვილი დ სიძე (ანდუყაფარ ამილახვარი) დაატყვევეს. მათ გადასარჩენად შაჰ აბასმა დიდი ჯარი გამოგზავნა. ქართველებმა შეიტყვეს თუ არა ეს ფაქტი, მაშინვე გაუგზავნეს იმამყული-ხანის ქალიშვილი და სიძე „აბდ ალ-გაფარ ბეგის [=ანდუყაფარის] ნათესავეებსა და ალავერდი-ხანის ოჯახს ბარათილიდან“. ეს უკანასკნელი ტერმინი კი აღნიშნავს საბარათიანოს. ამ ცნობის

თანახმად, ალავერდისა და მისი მემკვიდრეების წარმომავლობა ქვემო ქართლის დიდებულებს უკავშირდებოდა. ეს გვარი ქართულ ისტორიოგრაფიაში 1260 წლიდან იხსენიება. XIII-XV საუკუნეებში დიდ გავლენით სარგებლობდნენ, თუმცა XV საუკუნის შუა ხანებიდან მათი ძალაუფლება სუსტდება და მათი კვალი მალევე უჩინარდება საისტორიო ფურცლებიდან.

ამ ფაქტს უკავშირდება ალავერდი-ხანისა და მისი ოჯახის ირანში გადასახლების მიზეზიც. უნდილაძეთა გვარის დაკნინების პროცესი მათ საბოლოო გაქრობამდე მივიდა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილ ალავერდსა და მის სახლეულებს სხვა გზა არ დარჩათ, გარდა უცხო ქვეყანაში გადახვეწისა. საუკეთესო ვარიანტი ირანი აღმოჩნდა, რადგან უნდილაძეებს მანამდეც ჰქონდათ შაჰის კართან კავშირები. მეორე ვერსიით, ალავერდი-ხანი ბავშვობაში ტყვედ წაიყვანეს. ძნელია სეფიანთა კარზე მისი ჩასვლის ზუსტი თარიღის განსაზღვრა.

ალავერდი-ხანი პირველად 1588 წელს იხსენიება, ეს არის მეორე წელი შაჰ-აბასის ტახტზე ასვლიდან. ამ წელს აბასმა თავიდან მოიშორა დიდი მოხელე – მურშიდ ყული-ხანი, რომელიც მას ხელს უშლიდა. ამ საქმეში, შაჰის გვერდით მოქმედებდა ალავერდი-ხანიც. თავდაპირველად, ალავერდი-ხან უნდილაძეს საკმაოდ დაბალი თანამდებობა ეკავა, კერძოდ, იყო ოქრომჭედელთა უფროსი, ანუ ზარგარბაში. აქედან მოყოლებული, მისი კარიერა ისე წარიმართა, რომ 1595 წელს ცენტრალური ირანის პროვინციის – ფარსის ბეგლარბეგი გახდა. 1556 წელს კი ქუჰ გილუე მიუმატა თავის სამფლობელოს. 1601 წელს დაიკავა ლარის ვილაიეთი ომანის

ზღვის სანაპირო ზოლთან და ბაჰრეინის კუნძულებთან ერთად. მოგვიანებით კი, ყულის ჯარის უფროსი, ანუ, ყულარაღასი გახდა. მან თავი გამოიჩინა პორტუგალიელებთან ბრძოლის დროს. სწორედ მისი დახმარებით აიღო შაჰ-აბასმა კ. ორმუზი. გაწეული სამსახურისთვის შაჰმა იგი ფარსისტანისა და უმდიდრესი შირაზის პროვინციების მფლობელად დანიშნა.

1603-1612 წლებში ირან-ოსმალეთის ბრძოლის დროს ალავერდი-ხანმა გამოავლინა მხედართმთავრული ნიჭი. მან რამდენიმე დიდი გამარჯვება მოიპოვა ოსმალეთის არმიაზე. იგი იყო სეფიანთა ირანის პირველი მთავარსარდალი.


ალავერდი-ხანმა თავი გამოიჩინა ვანის ტბასთან გამართულ ბრძოლაში, 1605 წელს. ეს ბრძოლა იმდენად მძიმე იყო, რომ შაჰი უკან დახევაზეც კი ფიქრობდა. ამ დროს ჯარის მეთაურობა ხელში აიღო ალავერდი-ხანმა და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა. 1598 წელს ალავერდი-ხანმა, როგორც სარდალმა, გადამწყვეტი როლი ითამაშა უზბეკი ტომებისაგან ჰერათის გათავისუფლებაში. ამ გამარჯვების შემდეგ შაჰის ბრძანებით ყიზილბაში ემირი ფარჰად-ხან ყარამანლი სიკვდილით დასაჯეს. ამის შემდეგ, ალავერდი-ხანი ირანის იმპერიის მეორე ადამიანი გახდა შაჰის შემდეგ.

თანდათან იზრდებოდა ალავერდი-ხან უნდილადის ავტორიტეტი შაჰის კარზე. ევროპელი მოგზაურები და დიპლომატები მას „ირანის ვიცე-მეფეს“ უწოდებდნენ. პორტუგალიელი ანტონიო გოვეას გადმოცემით, მისთვის ერთხელ შაჰს უთქვამს: “მთელი სპარსეთი მე მემორჩილება, მე კი ალავერდი-ხანს ვემორჩილები”. ნასროლა ფალსაფი წერს: „შაჰ-აბასი

ალავერდი-ხანს ყველა სხვა დიდ სარდლებზე უფრო მეტად აფასებდა და დიდ პატივს სცემდა, რადგან ის ხანდაზმული კაცი იყო, შაჰი მას მამას ეძახდა“.

აღნიშვნის ღირსია ალავერდი-ხან უნდილადის რეფორმატორული მოღვაწეობა სეფიანთა ირანში. მისი ხელმძღვანელობით გატარდა სამხედრო რეფორმა, ქართველი და სომეხი ახალგაზრდებისგან რეორგანიზდა არმია, შემცირდა ყიზილბაშთაგან გამოსული ჯარის რაოდენობა. ალავერდი-ხანის მოღვაწეობა მარტო სამხედრო საქმეებით არ შემოიფარგლებოდა. უნდილადეებს ირანში აშენებული ჰქონდათ ბაზრები, ქარვასლები, სასახლეები, ხიდები, არხები, გზები. მისი დამსახურებაა ისპაჰანში – მაშინდელ დედაქალაქში მდინარე ზაიანდე-რუდზე, რომელიც ქართულად „დედა მდინარეს“ ნიშნავს, ოცდაცამეტალიანი ხიდის აშენება. იგი ამჟამადაც ფუნქციონირებს და ალავერდი ხანის სახელს ატარებს. უნდილადის მიერ აშენებული ხიდის 33 თალი შესაბამება ქართული ანზანის 33 ასოს და თითოეულ თაღზე თითო ქართული ასოა გამოსახული. ალავერდი-ხან უნდილადის სახელთანაა დაკავშირებული ქალაქ შირაზში გრანდიოზული სკოლისა და ქარვასლის მშენებლობა. ცენტრალურ ირანში ძალიან ცუდი გადასავლელი გზები ყოფილა და ალავერდი-ხანის მეუღლის თაოსნობით მოუფვარებიათ ეს პრობლემა. გადმოცემის მიხედვით, უნდილადეთა მიერაა აშენებული ჩეჰერ სუთუნის სასახლე. იგი ფრესკებით იყო მოხატული, აქვე ყოფილა ქართული წარწერები, რომელიც შემდეგ მოუშლიათ, რადგან ირანისთვის მიუღებელი ყოფილა.

1613 წლის 3 ივნისს მოულოდნელად გარდაიცვალა ალავერდი-ხან უნდილაძე. ამ ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება არსებობს. გავრცელებული ვერსიის თანახმად, იგი შაჰ-აბასმა მოაწამვლინა. როგორც ვიცით, შაჰ-აბასმა 1613 წლის ოქტომბერში განიზრახა საქართველოზე გალაშქრება, რაზეც უარი მიიღო ალავერდი-ხან უნდილაძისგან (ნათელია, რომ ყულარაღას არ უნდა თავისი სამშობლოს აწიოკება. ანუ, კიდევ ერთხელ ესმება ხაზი მის ქართულ წარმომავლობას). ამაზე განრისხებულმა შაჰმა მისი დასჯა გადაწყვიტა და ვერაგულად მოაწამვლინა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ი.ტაბაღუას მიერ საფრაგეთიდან ჩამოტანილი თარგმანები. შაჰ აბას I-ის ბრძანებით, პირველი ყულარაღასი, ალავერდი-ხანი დიდი პატივით დაკრძალეს მეშჰედში.



„სი ო სე ფოლი“ 33 მალიანი ხიდი ისფაჰანში



ალავერდი-ხანის ძეგლი ისფაჰანში

ავტორი - სალომე მაჭარაშვილი

# მიდჰათ ფაშას რეფორმატორული საქმიანობა სირიაში (1878-1881)



XIX საუკუნეში ნათელი გახდა, რომ ოსმალეთის იმპერიაში გარდაქმნები იყო საჭირო. ეს გამოჩნდა რუსეთთან ომების დროს. ამას დაემატა ეგვიპტის მმართველის მუჰამად ალის (1805-1848) მოღვაწეობა. მუჰამად ალიმ მრავალი რეფორმა გაატარა ეგვიპტეში და მალევე განუდგა ოსმალეთის სულთანს. 1832 წელს მისმა სარდალმა და შვილმა იბრაჰიმ ფაშამ დაამარცხა ოსმალები კონიასთან, გამარჯვებულ მხარეს სირია გადაეცა და ეგვიპტე მხოლოდ ფორმალურად დაექვემდებარა სულთანს. 1838 წელს ოსმალები ისევ დამარცხდნენ მუჰამად ალისთან და ამ უკანასკნელსაც გზა გაუხსნა სტამბულისკენ, მაგრამ სულთანი ევროპის სახელმწიფოებმა იხსნეს.

როგორც აღვნიშნე, ოსმალეთი რუსეთთან ომებში დამარცხდა. საფრანგეთმა და ინგლისმა ძლიერების

ზენიტს მიაღწიეს და ნელ-ნელა აღმოსავლეთისკენ დაიწყეს სვლა, მაგრამ სწორედ მუჰამად ალიმ შეუქმნა სულთანს ყველაზე დიდი პრობლემები. ცხადი გახდა, რომ ბრწყინვალე პორტაში (ოსმალეთის იმპერია) გარდაქმნები უნდა დაწყებულიყო.

1839 წლის 3 ნოემბერს სულთანმა გამოსცა „ჰატი შერიფი“. მანიფესტი გულისხმობდა ძველი სისტემის ძირფესვიანად შეცვლას, სამხედრო სავალდებულო ვადის შემცირებას, იმპერიაში მცხოვრებთა უფლებების გათანაწილებას, რაც, თავის მხრივ, საგადასახადო სისტემასაც ცვლიდა. ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე ეს პროცესი ცნობილია „თანზიმათის“ სახელით.

1878 წელს აჰმედ შეფიქ მიდჰათ ფაშა (1822-1884) სირიის გამგებლად

დაინიშნა. 1869-1872 წწ-ში მიდჰათ ფაშა ერასს განაგებდა და ოსმალეთის ამ რეგიონში მრავალი რეფორმა გაატარა, იყო პირველი თურქული კონსტიტუციის (1876) ერთ-ერთი ავტორი, 1872 წელს გახდა დიდი ვეზირი. ამ პერიოდის განმავლობაში, მან საკმაოდ დიდი გამოცდილება შეიძინა.

1878 წლის ნოემბერში მიდჰათ ფაშა გახდა სირიის ვილაიეთის მმართველი. აღსანიშნავია, რომ სირიაში საკმაოდ მძიმე ვითარება სუფევდა ადმინისტრაციული სისტემის ყველა დაწესებულებაში. სოციალური და პოლიტიკური ნიშნით არსებობდა მძაფრი დაპირისპირება პროვინციის სხვადასხვა ეთნოკონფესიურ ჯგუფებს შორისაც. აუცილებელი იყო საფინანსო რეფორმების გატარება. ამასთანავე, დაბალი იყო განათლების დონე.

მიდჰათ ფაშას გამგებლობის პერიოდში აღნიშნული ვილაიეთი მოიცავდა დღევანდელი სირიის არაბული რესპუბლიკის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილს, ლიბანს, პალესტინის დიდ ნაწილსა და იორდანias. ერთი თვის განმავლობაში მიდჰათ ფაშა ეცნობოდა იქ არსებულ მდგომარეობას. მან სტამბოლში გაგზავნა პირადი მდივანი, ვილაიეთის შესახებ მთავრობისადმი სრული ინფორმაციის მისაღებად გადაუდებელი რეფორმების გატარების აუცილებლობის შესახებ. ეს რეფორმები უნდა შეხებოდა, საგადასახადო სისტემას, სასამართლოსა და ჟანდარმერიას.

რთული სიტუაციის მიუხედავად, მიდჰათ ფაშამ მიზნად დაისახა თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულება და მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება სირიის ვილაიეთში.

„მე რეფორმები ჩავატარე ტუნას (დუნაის) და ბაღდადის პროვინციაში, მაგრამ დავბერდი და დავსუსტდი. მიუხედავად ამისა, მე გადაწყვეტილი მაქვს გარდავემნა სირიის პროვინცია, რადგან რეფორმის სიყვარული ჩემს პროვინციასთან შესისლხორცებულა და სირია გამოირჩევა თავისი ხალხის ნიჭიერებითა და თავისი მიწის ნაყოფიერებით“ - წერდა იგი ერთ-ერთ თავის წერილში.

1878 წელს მიდჰათ ფაშამ შეიმუშავა რეფორმების პროგრამა, რომელიც სულთანს წარუდგინა. 1879 წლის თებერვალში მიდჰათის პირადმა მდივანმა სტამბოლიდან ჩამოიტანა წერილი, რომელიც სირიის მმართველს გარკვეულწილად ანიჭებდა თავისუფლად მოქმედების უფლებას. ამრიგად, მიდჰათ ფაშამ დაიწყო ზემოთ ხსენებული რეფორმების გატარება. პირველ რიგში, მან გაატარა ადმინისტრაციულ-საფინანსო რეფორმები და მიზნად დაისახა სამოქალაქო სამსახურის განვითარება. მას სურდა მოქმედების სრული თავისუფლება მიენიჭებინა სამთავრობო დეპარტამენტებისათვის და აღმოეფხვრა კორუფცია. მიდჰათის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფას, რეგიონში ქურდობისა და ყაჩაღობის აღკვეთას, მიმართული იყო ჟანდარმერიის აპარატის სრული კონტროლისა და რეორგანიზაციისაკენ. მან რეგულარული არმიის ნაწილების სრული კონტროლის უფლება ვერ მიიღო, მაგრამ პოლიციის აპარატის რეორგანიზაციის ნება დართეს. მიდჰათმა ჩამოაყალიბა ჟანდარმერიის სახელმწიფო და სპეციალური ჯგუფები, სადაც სამსახურის ვადა ოთხი წლით განისაზღვრებოდა. მან გაზარდა მომსახურე კონტიგენტის რიცხვი, რითაც დანაშაულის

რაოდენობა შემცირდა და გუბერნიაში ცხოვრება უსაფრთხო გახდა.

ასევე, აღსანიშნავია, მიდჰათის მიერ გატარებული სასამართლო რეფორმა. გუბერნიის მმართველს არ გააჩნდა ძალაუფლება სასამართლო სისტემაზე ზემოქმედებისთვის, მხოლოდ შეეძლო მათი გადაწყვეტილებების გასაჩივრება, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო ვილაიეთში სამართლიანობის პრინციპის დასაცავად. ამიტომ მიდჰათმა გუბერნატორის ძალაუფლება გაზარდა და ვალს დაუქვემდებარა სასამართლო სისტემა. ამის შემდეგ, უზენაესი სასამართლო ორ ნაწილად გაყო: სამოქალაქო, რომელსაც განაგებდა ყადი და სასამართლო, რომელსაც ხელმძღვანელობდა გუბერნატორის ან სულთნის მიერ დანიშნული მოხელე. შეიცვალა მოსამართლის დანიშვნის წესი. მექრთამეობის აღკვეთის მიზნით მათ გაეზარდათ ხელფასები.

ადინისტრაციული რეფორმების გარდა, მნიშვნელოვანია მის მიერ გატარებული საფინანსო რეფორმა. მას სურდა ვილაიეთის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. სირიის დიდი ხარჯებისა და მცირე შემოსავლების შესწავლის შემდეგ, დატოვა სულადობრივი გადასახადი და ფულის დაზოგვის მიზნით შეამცირა გადასახადის ამკრეფთა რაოდენობა. როგორც ვიცით, საუკუნეების მანძილზე დამასკოზე გადიოდა საპილიგრიმო გზა, რის შედეგადაც ჰაჯის ჩასატარებლად პროვინციის ხაზინიდან იხარჯებოდა 120,000 ლირამდე თანხა, რაც ვილაიეთის ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. ამ თანხის დაზოგვის მიზნით, მიდჰათმა სულთანს შესთავაზა სახმელეთო გზის საზღვაო გზით ჩანაცვლება, მაგრამ მისი შეთავაზება უარყვეს. მიდჰათი ერთ-

ერთ თავის წერილში ამბობს: „ისინი მხოლოდ საკუთარ ინტერესების დაკმაყოფილებას ესწრაფვიან და არ ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობაზე“.

1880 წელს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებს გამო, მიდჰათ ფაშა იძულებული გახდა, დაეტოვებინა დამასკო. იანვრამდე მან განახორციელა „ადმინისტრაციული წმენდა“, რომლის საშუალებითაც აღკვეთა კორუფციისა და მექრთამეობის ფაქტები.


მიდჰათ ფაშას საზოგადოებრივ-კულტურულ რეფორმებში აღსანიშნავია საკომუნიკაციო გზების მშენებლობა, რომლითაც უფრო მოსახერხებელი გახდა გუბერნიის შიდა რაიონებიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანა. ამასთანავე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ განათლების რეფორამაზე. მუსლიმი მოსახლეობის განათლების დონის ასამაღლებლად დამასკოში დაარსდა „საზოგადოება სკოლების დაარსების ხელშეწყობით“ და „საზოგადოება კეთილი ზრახვებისთვის“ (საქველმოქმედო საზოგადოება). სწორედ ამ უკანასკნელის გამოყენებით მიდჰათ ფაშამ სირიაში დააარსა დაწყებითი სკოლები. დამასკოში მეჩეთებთან დაარსდა 8 ვაჟთა და 2 ქალთა დაწყებითი სასწავლებელი.

აღსანიშნავია, მიდჰათ ფაშას ხელშეწყობით სირიული პრესაც განახლდა. 1878 წელს მისი ინიციატივით დაარსდა გაზეთი „დამასკო“, რომელიც სირიაში მიმდინარე მოვლენებს მიმოიხილავდა. ასევე, მიდჰათ ფაშას სახელს უკავშირდება სირიაში ბიბლიოთეკის, თეატრისა და ობოლ ბავშვთა თავშესაფრის დაარსება.



მიდჰათ ფაშას სირიაში მოღვაწეობას (1878-1880) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვილაიეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლებისა და აღმავლობის საქმეში. მისმა განხორციელებულმა რეფორმებმა სირიის ვილაიეთის

მოსახლეობის ცხოვრების დონე აამაღლა. მცირე დროის, ამ კონკრეტულ ვილაიეთში არსებული ვითარებისა და თოფქაფის სასახლესთან არსებული გარკვეული დაპირისპირების მიუხედავად, მიდჰათ ფაშამ საკუთარ მოვალეობას თავი კარგად გაართვა.



სირიის ვილაიეთი

ავტორი : თამთა მახათაძე

# „თურქი მესხები“ და ფერღანის ანუ მარწყვის კონფლიქტის ისტორია

მსოფლიო ისტორიას მრავალი გადასახლებული ერი და ეთნიკური ჯგუფი ახსოვს. მათი საცხოვრისიდან აყრა და გადასახლება იმ პოლიტიკური მიზნებითა და დემოგრაფიული პოლიტიკით იყო განპირობებული, რომელსაც დამპყრობელი, დომინანტი ქვეყანა აწარმოებდა. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევად გვევლინება ე.წ. „თურქი მესხების“ გადასახლება, რომელიც საბჭოთა კავშირში, იოსებ სტალინის მმართველობის დროს განხორციელდა. ვიდრე უშუალოდ განსახილველ საკითხზე ვისაუბრებდეთ, მცირედი ისტორიოგრაფიული შესავლის სახით, მიმოვიხილოთ თუ ვინ არიან ეს „თურქი მესხები“ და როგორ მივიდნენ ისინი ფერღანაში, სადაც დიდი ტრაგედია დატრიალდა.

ისტორიული მესხეთი XVI საუკუნემდე ქრისტიანული მოსახლეობით იყო დასახლებული და იგი ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყო. ამასთან ერთად, ეკონომიკურად და სოციალურ-პოლიტიკურად დიდი მნიშვნელობისა და დატვირთვის მქონე მხარეს წარმოადგენდა. აღნიშნული საუკუნიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ოსმალეთის იმპერია იპყრობს მესხეთის ნაწილს, იწყება მკვიდრი მოსახლეობის ეტაპობრივი ისლამიზაცია. ვახუშტი ბატონიშვილი სამცხის აღწერაში, რომელიც მე-18 საუკუნის პირველ ნახევარშია შესრულებული, კარგად გვიჩვენებს იმ განსხვავებულ სარწმუნოებრივ, ენობრივ და

„მენტალურ“ მდგომარეობას, რომელიც სამცხის სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებობდა. ჩრდილოეთ ნაწილში,

როგორც ვახუშტი წერს: „აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი და გლეხნი ქრისტიანნი“. რაც შეეხება სამხრეთ ტერიტორიებს, „გლეხნიცა უმეტესნი მოჰმადიანნი“. ენის შესახებ ვახუშტი წერს - „ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. განა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი არიან წარჩინებულნი და მოჰმადიანნი ვითარცა ოსმალნი.“ იმის გათვალისწინებით, რომ სარწმუნოების ცვლილება უმთავრესად განპირობებული იყო იმ მძიმე გადასახადით, რაც ეკისრა ქრისტიან მოსახლეობას, იმ პერიოდის შესახებ არ შეიძლება ვთქვათ, რომ აღნიშნულ ჯგუფს ქართველური ჯგუფისადმი მიკუთვნების გრძნობა დაკარგული ჰქონდა. ამასთან ერთად, რელიგიის ცვლილება მესხებს აძლევდა საშუალებას, დაეკავებინათ რიგი თანამდებობები სულთნის კარზე.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის იმპერია საქართველოს სამეფო-სამთავროებს იერთებს. თავისი ბატონობის განსამტკიცებლად კი იწყებს დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას და საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ერებისა თუ რელიგიური მიმდინარეობის ხალხების ჩამოსახლებას.

1829 წლის ადრიანოპოლის ზავის შემდეგ, სამცხეში სიტუაცია იცვლება. მაჰმადიანი ქართველები ტოვებენ სამოსახლოს, გადადიან თურქეთის ტერიტორიაზე და მათ ნაცვლად ამ

ტერიტორიებს იკავებენ სომხები. საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილ მკვიდრ მოსახლეობას, რომლებიც მუსლიმური მრწამსის მიმდევრები იყვნენ, თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად გაორკეცებულად უწევდათ საკუთარ რელიგიაზე ზრუნვა, რამაც მეტწილად მათი გაუცხოება გამოიწვია. ამას დაემატა ისიც, რომ სარწმუნოებით ქრისტიანი ქართველები ამ ჯგუფის აღმნიშვნელად იყენებდნენ ტერმინს - „თათრები“, რაც უმთავრესად განპირობებული იყო მათი რელიგიით და არა წარმომავლობით. სწორედ ამ პროცესების გამოძახილი იყო 1919 წლის ამბები საქართველოში, როდესაც სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ე.წ. „სამხრეთ დასავლეთ კავკასიის დროებითი მთავრობა“. ამ უკანასკნელმა კი ომი გამოუცხადა საქართველოს.

## 1944 წელი

1944 წელს მეორე მსოფლიო ომი თავის დასასრულს უახლოვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის მიმართულებით თურქეთის შემოტევა ნაკლებად სავარაუდო იყო, იოსებ სტალინმა ხალხთა დეპორტაციის კამპანია წამოიწყო. დეპორტაცია შეეხოთ ყირიმელ თათრებს, ინგუშებს, ჩეჩნებს. საქართველოს ტერიტორიიდან, გადასახლებულთა სიაში მესხეთისა და აჭარის მუსლიმი მოსახლეობა მოხვდა, გადასახლების ადგილად კი ყირგიზეთი, ყაზახეთი და უზბეკეთი შეირჩა. უნდა ითქვას, რომ გადასახლებულ პირებს მოიხსენიებდნენ როგორც თურქული წარმოშობისა და ორიენტაციის მქონე პირებს. თავად ტერმინი „თურქი მესხები“ 70-80-იან წლებში დამკვიდრდა საბჭოთა ოფიციალური მეცადინეობით.

გადასახლებულთა რაოდენობამ დაახლოებით 100 000 ადამიანს მიაღწია და ისინი სამგზავრო ვაგონებით გაუყენეს შუა აზიის გზას. გზა დაახლოებით ერთ თვეს გაგრძელდა და მას დაახლოებით 3 000 ადამიანი შეეწირა, ახალ სამოსახლოსთან ადაპტაციას კი დაახლ. 4 000 ადამიანი. გადასახლებულთათვის სპეციალური ზონები შეიქმნა, რომლის დატოვებაც კომისრის სპეციალური ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო. მართალია, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მისი მემკვიდრე ნიკიტა ხრუშჩოვი გამოხსნა სტალინის კურსს და ზოგადად მის პიროვნებას, მაგრამ თურქ მესხებს (განსხვავებით სხვა ეთნიკური ჯგუფებისა), სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მიეცათ.

## ფერღანის ტრაგედია

1980-იანი წლების დასასრული საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების გაძლიერების პერიოდია. საბჭოთა ხელისუფლება ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში ვედარ აკონტროლებს მიმდინარე მოვლენებს. ეს ის დროა, როდესაც საქართველოს სსრ-ში 9 აპრილის ტრაგედია მომხდარი. ახლა კი, მათის ბოლოს უზბეკეთში, ხალხი ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას შეუდგა.

უზბეკეთის სსრ ცკ კომპარტიის მაშინდელმა პირველმა მდივანმა, რაფიკ ნიშანოვიჩ ნიშანოვმა, ფერღანის ტრაგედია მარწყვის გამო დაწყებულ კონფლიქტად მონათლა. მისი თქმით, თურქ მესხებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის დაპირისპირება დაიწყო იმის გამო, რომ მყიდველმა მამაკაცმა - თურქმა მესხმა, გამოლანძღა გამყიდველი ქალბატონი - უზბეკი,

გაფუჭებული მარწყვის ძვირად შეფასების გამო.

იყო მოსაზრება, რომ აღნიშნული კონფლიქტი საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების იმ ერთი ნაწილის მიერ იყო ორგანიზებული, რომელიც დაინტერესებული იყო ქვეყნის დაშლით. დროთა განმავლობაში ეს მოსაზრება დაიხვეწა და დღეს რუსული ოფიციაში აქტიურად ნერგავს მოსაზრებას, რომ ფერლანის ტრაგედიის ინსპირატორი ამერიკის შეერთებული შტატები იყო, რომელიც თავის მხრივ ყველანაირად ცდილობდა, რომ საბჭოთა კავშირი დაშლილიყო.

არსებობს სხვა მრავალი ვერსიაც, თუმცა მე მხოლოდ რეალობასთან ახლოს მდგომ შემთხვევებზე გავამახვილებ ყურადღებას. ხოცვა-ჟლეტვის პარალელურად, აქტიურად ვრცელდებოდა ხმა, რომ ერთ-ერთმა თურქმა მესხმა უზბეკი გოგონა გააუპატიურა და სწორედ ამას მოჰყვა უზბეკთაგან მკვეთრი პასუხი. ცხადია ამის გადამოწმება ვერ მოხერხდა, თუმცა ამ ქორმა მოსახლეობის განწყობაზე დიდი ზემოქმედება იქონია. აგრეთვე გავრცელებული მოსაზრებაა, რომ ამ ყველაფრის უკან უზბეკი ნაციონალისტები იდგნენ, რომლებიც ხვდებოდნენ რა, რომ მალე საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, ცდილობდნენ უზბეკეთის ტერიტორიიდან განედევნათ უცხოელები. აღნიშნულ პერიოდში მართლაც შეინიშნება ნაციონალისტური გრძნობების გააქტიურება უზბეკეთში და ჩამოყალიბდა მოძრაობა „ბირლიკი“ (ერთიანობა). იმის გათვალისწინებით, რომ რუსების განდევნა იმხანად შეუძლებელი იყო, ისინი მიადგნენ ისეთ ეთნიკურ ჯგუფს, რომელთა დასაცავად არავინ თავს არ

გამოიღებდა, ანუ თურქ მესხებს და სწორედ მათ გაავრცელეს ზემოხსენებული ჭორი.

თითქმის ყველა თვითმხილველი აღნიშნავს, რომ იმდროინდელ პერიოდში ავტობუსებით აქტიურად ჩამოჰყავდათ სხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგში მონაწილეობდნენ ამ „ბრძოლაში“. „ჩვენ ვხედავდით, თავდაპირველად კუვასაიში, ხოლო შემდეგ ფერლანში ავტობუსებითა და მატარებლებით შემოჰყავდათ სხვაქალაქელი უზბეკები. ისინი ძალიან ბევრნი და კარგად შეიარაღებულნი იყვნენ. ადგილობრივმა უზბეკებმაც არ იცოდნენ, თუ ვინ იყვნენ ეს ახალგაზრდები. მათ ჩვენთან, მესხებთან ერთად გადაწყვიტეს წინააღმდეგობა გაეწიათ მოსული უზბეკებისათვის.“

თუმცა ფაქტია, რომ მშრომელი ხასიათით, მესხებმა მოიპოვეს შედარებით უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მოგონებებიდან ჩანს, რომ მკვიდრ და მოსულ მოსახლეობას შორის მაინც მეგობრული ურთიერთობა სუფევდა. ალბათ, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო სხვა, „უცხო“ ხალხის ჩარევა ამ კონფლიქტის დასაწყებად.

ასეა თუ ისე, 1989 წლის მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში, ფერლანში საშინელი მოვლენები დატრიალდა. ამ ყველაფრის თვითმხილველი ჯავიდ ალიევი იხსენებს - „შეტაკებებმა მოულოდნელად იფეთქა. სახლების გადაწვა, მესხების გალაზვა, მოკვლა - კომმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი რამ ოდესმე მოხდებოდა. ბევრი მეგობარი უზბეკი მყავდა და არანაირი კონფლიქტი ჩვენს შორის არ მომხდარა. მაშინაც კი, როდესაც ქუჩაში

სისხლი დაიღვარა, ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ცხადში ხდებოდა.“ სხვა ქალაქებიდან მოყვანილი „მეომრები“ მთელი ქალაქის ქუჩებში ნადირობდნენ მესხებზე. ამ ამბების შედეგად დაიღუპა დაახლოებით 100 ადამიანი, აქედან 30 უზბეკი. მსხვერპლს ვერც მილიცია გადაურჩა, ათეულობით პოლიციელი დაშავდა, ერთი კი გარდაიცვალა. 4 და 5 ივნისს მილიციის ნაწილებმა ფერღანი დატოვეს. ქალაქი განუკითხაობამ მოიცვა. შეიარაღებული უზბეკები მთელი ღამის განმავლობაში დასდევდნენ და ნადირობდნენ თურქ მესხებზე. მათი გამოვლენა კი პირადი დამოკიდებულებით ხდებოდა, მაგალითად თუ ადამიანს საექვო აქცენტი ექნებოდა, ის თურქ მესხად აღიქმებოდა და ფიზიკურად უსწორდებოდნენ. მთელი ქალაქი ცეცხლის ალში იყო გახვეული და ყვირილის ხმები ისმოდა.

სიტუაციის განსამუხტად რეგიონში შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები შეიყვანეს. გამოცხადდა კომენდანტის საათი. შეიარაღებული ჯარისკაცები თურქი მესხების ოჯახებს იცავდნენ. თუმცა „თვით შინაგანი ჯარები დიდი ხნის განმავლობაში ვერ აწყნარებდნენ ამბოხებულებს. საბოლოოდ გადაწყდა ფერღანის რაიონიდან თურქი მესხების ევაკუირება რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში.“ ერთი კვირის განმავლობაში თურქი მესხები სახელდახელოდ აწყობილ კარვებში ცხოვრობდნენ, მათ უსაფრთხოებაზე კი საბჭოთა ჯარი ზრუნავდა. ერთი კვირის შემდეგ მოხდა მათი გადანაწილება რუსეთის სხვადასხვა მხარეში. გარდა ამისა, თურქი მესხები უკრაინის, თურქეთისა და აშშ-ის ტერიტორიაზეც გადასახლდნენ.

„მარწყვის გამო“ მომხდარი ამ მოვლენების შემდეგ თურქმა მესხებმა

აქტიურად დაიწყეს საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრი, რის გამოც მრავალი საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა, საქართველოში დაიგზავნა წერილები, გაიმართა შეხვედრები. ამასთან ერთად, ამ საკითხის წინ წამოწევა განაპირობა იმან, რომ 1989 წლიდან ყირიმში დაბრუნებას იწყებენ ყირიმელი თათრები, რაც ერთგვარი პრეცედენტი იყო თურქი მესხებისთვის.

ისეთი პროცედურის ჩატარება, როგორც უკვე „უცხო“ ელემენტის მიღებაა, ცხადია, დამხვედრ მოსახლეობაში სპეციალურ შემზადებას საჭიროებდა. ინფორმაციული ვაკუუმის გამო, თურქი მესხების რაობის, ვინაობისა და მათი ჯგუფის შესახებ სხვა ზოგადი არარსებული ინფორმაციის მიწოდება და შემდეგ მათზე სწორი დამოკიდებულების შექმნა ეროვნული მოძრაობის „ლიდიერთა დასს“ ევალებოდა. ეს უკანასკნელნი კი იწყებენ ამსაკითხის განხილვას. ხანგრძლივი საუბრების, დავა-კამათების, შეხვედრების შემდეგ, 1989 წლის შემოდგომაზე გადაწყდა, რომ ქართულ მხარეს შეუძლებლად მიაჩნია გასახლებული თურქების საქართველოში ჩამოსახლება.

ამის მიუხედავად, თურქი მესხები კვლავ აგზავნიან ტელეგრამა-დეპეშებს, რომელიც პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პრესაში: „დღეს, როგორც მცირე ხნის წინ ფერღანში, უზბეკეთის ტაშკენტის რაიონის უდანაშაულო თურქი-მესხები კვლავ ტრაგიკულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ექსტრემისტები წვავენ მათ სახლებს, იპარავენ კუთვნილებას, ყრიან დასახლებული ადგილებიდან სხვა რაიონებში ბედის ანაბარად, სადაც მათ არ აქვთ გარანტირებული ნორმალური ყოფა და უსაფრთხოება. ერის

გაქრობისგან გადარჩენის ერთადერთ გამოსავალს მათი ისტორიულ სამშობლოში ჩასახლება წარმოადგენს. ფერღანის ტრაგედიის პერიოდში ქართველი ერი, უფრთხოდა რა თავის ტერიტორიაზე ეროვნულ კონფლიქტებს, არ დაიცვა განმორებული თურქი მესხები და არ გაუხსნა მათ გზა სამშობლოში დაბრუნებისკენ...“. ხელს აწერს ორგანიზაცია „ვათანის“ თავჯდომარე იური სარვაროვი.

თურქი მესხების რეპატრაციის საკითხის განხილვა შემდეგ წლებშიც აქტიურად მიმდინარეობდა და აქტუალურობას არ კარგავდა, თუმცა ამისდა მიუხედავად მათი ვინაობა დღემდე არ არის დადგენილი, თუ ვინ არიან ისინი - თურქები, მესხი ქართველები თუ მუსლიმი ქართველები?!



ავტორი : ნიკოლოზ სარაჯიშვილი

# კულტურა და ცივილიზაცია



# სულთან აჰმედ I-ის მეჩეთი „ცისფერი მეჩეთი“



სულთან აჰმედის მეჩეთი (თურქ. Sultan Ahmet Cami) XVII საუკუნის ნაგებობაა და მდებარეობს ქალაქ სტამბოლში. მისი მშენებლობა 1609 წელს, სულთან აჰმედ I-ის (1606-1617) ბრძანებით დაიწყო და გაგრძელდა 1620 წლამდე. (მშენებლობა განახლდა სულთან აჰმედის გარდაცვალების შემდეგ, 1617 წელს.) სულთან აჰმედის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ისეთი მეჩეთის აგება, რომელიც იქნებოდა სიმბოლო მისი ალაჰისადმი სიყვარულისა. სულთანის სურვილი იყო, რომ აღნიშნული სასახლის დიდებულებას აია-სოფიაც კი უკან ჩამოეტოვებინა. კომპლექსის არქიტექტორი იყო სედეფქარ მეჰმედ ალა, რომელიც თავისი მასწავლებლისა და ცნობილი არქიტექტორის, სინანის იდეებით ხელმძღვანელობდა.

ეს დიდებული მეჩეთი, რომელიც ოსმალთა იმპერიის ძლიერების სიმბოლოა, იმავე მოედანზე მდებარეობს, სადაც ბიზანტიის იმპერიის მთავარი მართლმადიდებლური ტაძარი - აია-სოფია. ეს უკანასკნელი ოსმალთა ბატონობის ჟამს მეჩეთად გადაკეთდა. მოედანი, რომელიც ბიზანტიის იმპერიის პერიოდში იპოდრომი იყო, ხოლო ოსმალთა დროს მას ცხენის მოედანს უწოდებდნენ, ახლა სულთან აჰმედის სახელს ატარებს.

როდესაც ოსმალებმა მეჩეთი ააგეს, სურდათ, რომ იგი ყოფილიყო არა მხოლოდ თაყვანისცემის ადგილი, არამედ დიდებული კომპლექსი. ამიტომ სულთან აჰმედის მეჩეთი მოიცავდა საავადმყოფოს, სასულიერო



სასწავლებელს, სკოლას, მცირე ბაზარსა და აკლდამას სამეფო ოჯახისთვის. კომპლექსში ასევე შედიოდა ოთახი ასტრონომისთვის, რომელსაც უნდა გამოეთვალა დრო ლოცვებისა და მნიშვნელოვანი თარიღებისთვის. დღეს ბევრ მათგანს სხვადასხვა ფუნქცია აქვს, უფრო მეტად კი ისინი ტურისტებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად გამოიყენება.

ლურჯი მეჩეთი - ასე უწოდებენ ევროპელები ამ დიდებულ ნაგებობას. ამის მიზეზი კი ის ცნობილი ლურჯი ფილებია, რომლებიც ამშვენებენ მეჩეთის კედლებს. 21 000 ხელნაკეთი ფილა მოხატულია ლურჯი, წითელი, თეთრი და მწვანე ფერებით, თუმცა მათ შორის ლურჯი დომინანტურია, ამიტომაც შორიდან მეჩეთს ლურჯი შეფერილობა აქვს. სწორედ აქედან მოდის მისი მეორე სახელი - ლურჯი მეჩეთი. ფილებზე გამოსახული ყვავილები არის გაზაფხულის და ასევე სამოთხის ბაღის სიმბოლო. თითქმის ყველა ფილა განსხვავებულია და სწორედ ეს სძენს მათ უნიკალურობას.

მეჩეთის ინტერიერი ისეთივე შთამბეჭდავია, როგორც ექსტერიერი. იატაკი დაფარულია ხალიჩით, რადგან ისლამური წესის თანახმად, მეჩეთში ფეხსაცმლით შესვლა დაუშვებელია. კედლების ზედა ნაწილზე დომინირებს ლურჯი ფერი. ფანჯრებიდან შემოსული სხივები, რომელთა რიცხვი ორასს აჭარბებს, მეჩეთის ულამაზეს მოხატულობას მეტად თვალსაჩინოს ხდის. კედლებზე ოქროსფერი ასოებით არის ამოტვიფრული აიები ყურანიდან. ოქროსფრად არის წარწერები ოთხ მთავარ ბოძზე, რომლებიც იჭერს მეჩეთის ცენტრალურ გუმბათს. ეს გუმბათი მოციქული მუჰამადის

სიმბოლოა. დანარჩენი ოთხი მთავარი გუმბათი კი ოთხ მართლმორწმუნე ხალიფას განასახიერებს.



მეჩეთის უმნიშვნელოვანესი ელემენტია მიჰრაბი. ის მთლიანად მოპირკეთებულია მარმარილოთი და მიუთითებს მიმართულებას მექისკენ, ქაბას ტაძრისკენ. მიჰრაბის თავზე ყურანის მესამე სურადან ორი აია წერია.

32(37). „და შეიწყნარა ის მისმა უფალმა კეთილი შეწყნარებით და აღმოაცენა იგი მშვენიერ მცენარედ. და მიაბარა აღსაზრდელად ის ზაქარიას. როცა კი ზაქარია შევიდოდა მიჰრაბში, ხედავდა, რომ მის წინ იდო სარჩო და ჰკითხავდა - მარიამ, საიდან გაქვს ეს შენ?! მიუგებდა - ეს ალაჰისგანაა, რადგან ალაჰი სარჩოს მისცემს, ვისაც ინებებს, უანგარიშოდ.“

(39). „და დაუძახეს ანგელოზებმა მაშინ, როცა ლოცვად იდგა მიჰრაბში:“

მას შემდეგ, რაც მუემინი დაასრულებს მოწოდებას მლოცველთათვის, ის მინარეთიდან გადაინაცვლებს მეჩეთში. მას თავისი ადგილის აქვს, საიდანაც კარგად ხედავს იმამს და უკეთ ისმის მისი ხმაც, რომ კიდევ ერთხელ ყველას ერთად ლოცვისაკენ მოუწოდოს. მეჩეთი იტევს ათი ათასამდე მლოცველს და მიუხედავად ტურისტების სიმრავლისა, აქ

პარასკევის ლოცვები ყოველკვირეულად აღესრულება.

წარსულში მრავალი ხალიფა მოუკლავთ მეჩეთში ლოცვის დროს, ამიტომ მათთვის გამოყოფილია ცალკე ადგილი. ხალიფებისა და მათი ვეზირებისთვის არსებობდა ცალკე შესასვლელი, რაც მათ უსაფრთხოებას განაპირობებდა.

განბანვისთვის მეჩეთის ეზოში არის ონკანები. ლოცვამდე მუსლიმები ფეხებს, ხელებსა და სახეს იბანენ, შემდეგ კი თმაზე გადაისვამენ სველ ხელს. განწმენდას აქვს რელიგიური დატვირთვა, თუმცა, უპირველეს ყოვლისა, მისი მიზანია მეჩეთის სისუფთავის დაცვა. მეჩეთის მთავარი შესასვლელი სწორედ სულთან აჰმედის მოედნის მხარესაა, მის თავზე არაბულად წერია შაჰადა: “არ არსებობს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამადია მოციქული მისი.”

სულთან აჰმედის მეჩეთი ოსმალური არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ულამაზესი მოხატულობისა და გრანდიოზულობის გამო ლურჯ მეჩეთს ყოველწლიურად უამრავი ტურისტი სტუმრობს. მათ შეუძლიათ დატკბნენ არა მხოლოდ ისლამური არქიტექტურით, არამედ აიასოფიასთან ერთად იმპერიათა საუკუნოვანი ჭიდილის მომსწრენიც გახდნენ.



**ავტორი: თათია შეყრილაძე**

# აღმოსავლეთი ეჟენ დელაკრუას შემოქმედებაში

ფერდინან ვიქტორ ეჟენ დელაკრუა (1798-1863) იყო ფრანგი ფერმწერი, გრაფიკოსი და რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისთვის, ძირითადად, დამახასიათებელი იყო სურათები, რომლებიც ბრძოლითა და ვნებათაღელვით სავსე სამყაროს ასახავდა. 1832 წლიდან კი მის შემოქმედებაში იწყება ახალი ეტაპი. დელაკრუა დიპლომატიური ვიზიტით გაემგზავრა მაროკოში. აფრიკაში მოგზაურობა აისახა მის სურათებში შუქრდილებისა და ფერების სავსებით ახლებური გააზრებით. ტანჟერში ყოფნისას მხატვარმა დღიურში ჩაწერა: „იმ წუთებში მე ვიყავი ადამიანი, რომელსაც სძინავს და სიზმრად ხედავს ისეთ საოცრებას, რაც ვერ დაუჯერებია და ეშინია, არ გაქრეს“. მან შექმნა აღმოსავლეთის მრავალი სახე, განსაკუთრებით კი ალჟირელების და მაროკოელების, რომელთაც აფრიკაში მოგზაურობისას ხვდებოდა.



ფერდინან ვიქტორ ეჟენ დელაკრუა

ფრანგების აღმოსავლეთით ნამდვილი დაინტერესება დაიწყო ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობით, რადგან ნაპოლეონმა გენერლებისა და ლაშქრის გარდა, თან წაიყვანა სწავლულები და

მხატვრები. ევროპაში აღმოსავლეთის შესწავლა ცალკე დისციპლინად ყალიბდებოდა სამეცნიერო წრეებში; დიდი, ხმაურიანი რედაქციები აქვეყნებდნენ ჟურნალებს აღმოსავლეთის შესახებ. აღმოსავლეთის ხალხი, აღმოსავლური სიბრძნე, აღმოსავლური ფერები, აღმოსავლეთის სილამაზე და, ამავე დროს, აღმოსავლური ამორალურობა ხდება ინტერესის და ფანტაზიის მთავარი საგანი. ყველა ცდილობდა ეპოვნა საკუთარი აღმოსავლეთი, მისი სულიერი გულახდილობით, ეროტიკული თავგადასავლებითა და ხელმისაწვდომი ეგზოტიკით.



დელაკრუას უკვე ჰქონდა აღმოსავლეთზე გარკვეული წარმოდგენა აღმოსავლეთის რეალურად ნახვამდე. 1827 წელს შექმნა „სარდანაპალის სიკვდილი“, რაც შთააგონა სხვა რომანტიკოსის - ლორდ ბაირონის ნაშრომმა. ლეგენდის თანახმად, სარდანაპალი იყო ასირიის მეფე ძვ. წ. VII საუკუნეში. მის ცუდ მმართველობას მოჰყვა ხალხის აჯანყება ხელისუფლების წინააღმდეგ. სარდანაპალმა ვერ შეძლო აჯანყების ჩახშობა და სიცოცხლის დასრულება

თვითმკვლელობით გადაწყვიტა. სურათზე სწორედ ეს სიუჟეტია ასახული. სარდნაპალი თითქოს მშვიდად წევს საძინებელში, როცა გარშემო მისი ბრძანების მიხედვით კლავენ მის ცოლებს, ცხენს და ანადგურებენ მთელ მის საგანძურს მანამ, სანამ თვითონ განახორციელებდა სუიციდს. ეს არის წითელის და ოქროსფერის კომბინაცია, რაც სურათს უფრო ქაოსურს ხდის. მთავარი აქცენტი კეთდება ცენტრალურ ნაწილზე ნათელი ფერების საშუალებით.

დიპლომატიური ვიზიტისას დელაკრუამ ასობით ნახატი შექმნა. სეირნობისას ყოველთვის თან დაჰქონდა უბის წიგნაკი, სადაც მუდმივად აკეთებდა ჩანახატებს. ჩრდილოეთ აფრიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს დელაკრუამ შვიდ რვეულში მოუყარა თავი. დღეს მათგან მხოლოდ ოთხია შემორჩენილი. თუკი თავდაპირველად ევროპელ მხატვრებთან აღმოსავლეთის ასახვისას წინ პლანზე იყო დეკორაცია, რომანტიკისებში აქცენტი გადაიტანეს აღმოსავლურ ფერებზე. ჩნდება უფრო ნათელი, მკვეთრი და ცოცხალი ფერები, კომპოზიციას ეტყობა დინამიკურობა. დელაკრუას სურათები კომპოზიციურადაც უფრო რთული და დატვირთულია. მისთვის, როგორც საშუალო ფენის ევროპელისთვის, აფრიკა უფრო დიდი ეგზოტიკა იყო, ვიდრე ავსტრალია. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში მან მხოლოდ ნახევარი წელი გაატარა, მოგზაურობამ დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. დელაკრუა დაატყვევა ფერებმა, არქიტექტურამ და ხალხმა. მას პირველად მიეცა საშუალება აღეწერა რეალური სცენები და დაეხატა რეალური ადამიანები. დელაკრუას თვალწინ გადაეშალა აღმოსავლეთი, განსხვავებული

სამყარო, რომელსაც ვერასოდეს წარმოიდგენდა. “ბერძნები აქ არიან, ჩემს კარებთან, არაბებში, რომლებიც ეხვევიან თეთრ ზეწრებში და გამოიყურებიან, როგორც კატონი ან ბრუტუსი“.



დელაკრუას მაროკოში მოგზაურობის მთავარი მიზეზი სულთანთან შეხვედრა იყო. ამის მოლოდინში ტანჟერში მან უამრავი ჩანახატი გააკეთა ადამიანებზე, ქალაქებსა და ცხოველებზე. ამ დროს ის კინალამ ადგილობრივებმა მოკლეს. დელაკრუა დიდ სირთულეებს წააწყდა მუსლიმი ნატურების ძებნისას. დიდ გამოწვევასთან მოუწია შეხვედრა: საუბარი მუსლიმ ქალებთან, ჩადრის მოხსნა, რათა დაეხატა ისინი. როგორც დიპლომატი, ის თავიდან დახატვის ნებართვას თავაზიანად სთხოვდა, შემდეგ მოსყიდვას მიმართა, ბოლოს კი, როცა ამანაც არ გაჭრა, ჯამშუმობდა კიდეც. ერთ დღესაც, როცა ქალაქგარეთ სეირნობდა, შეამჩნია ორი არაბი ქალი, რომლებიც თავიანთ ტანსაცმელს რეცხავდა. ერთმა მათგანმა (რომელიც უფრო ლამაზი იყო) გაიხადა ტანსაცმელი რათა ეხანავა. დელაკრუამ მისი დახატვა დაიწყო. ქალმა ეს შეამჩნია და ქმართან უჩივლა. ამ ამბავს კინალამ ემსხვერპლა ფრანგი ფერმწერი. თუმცა, ასევე ცნობილია, რომ ქალების

უმეტესობა, რომელიც ნახატებში ჩნდებიან იყვნენ არა მუსლიმები, არამედ ებრაელები, რომლებიც მაროკოს მოსახლეობის ნაწილს შეადგენდნენ.

დელაკრუას ძალიან უყვარდა ველური ცხოველები და ცხენები. მაროკოსა და ალჟირში მოგზაურობამ ეს გატაცება კიდევ უფრო გაუმძფრა და ამ თემატიკაზე უამრავი სურათი შექმნა. „ლომებზე ნადირობა“ ფორმებისა და ფერების კომბინაციებით ამბაფრებს ველური გარემოს ფანტასტიკურ ასპექტს. ადამიანები და მხეცები ერთმანეთში არიან გადახლართული და ქმნიან წრიულ ფორმას. ეს იწვევს მუდმივი მოძრაობის შეგრძნებას, რომელიც მწვერვალს აღწევს მაშინ, როცა შუბით განგმირული ლომი მტრების თვალწინ ღრიალებს.



თავისი ალჟირული და მაროკოული ტილოების ხატვისას დელაკრუა ეძებდა ეთნოგრაფიის არა პედანტურ სიზუსტეს, ტიპების, სამოსის, ჩვეულებების, პეიზაჟების წვრილმან მსგავსებას, არამედ ჭეშმარიტ მხატვრულ სიმართლეს, თავისუფლებისმოყვარეობის იმ ატმოსფეროს, რამაც გააოგნა ბურჟუაზიული საფრანგეთის შემდეგ-აღმოსავლეთის და მისი ხალხის გადმოსაცემად დელაკრუას არ სჭირდებოდა რთული ფერწერული ხერხები - უმნიშვნელო ეპიზოდსაც კი მაღალ აზრს სძენდა. სწორედ ასეთია „არაბი კაზმავეს ცხენს“. კონტრასტული ფერების ენერგიული ჟღერადობა, ხაზების რიტმულობა, სილუეტის ერთიანობა, პეიზაჟის მკაცრი უბრალოება ტილოზე რომანტიკულ ატმოსფეროს ქმნის.





მაროკოს სულთანთან შეხვედრის სცენა დელაკრუამ დაწვრილებით აღწერა თავის ჩანაწერებში, ხოლო ტილო სამშობლოში დაბრუნებიდან დაახლოებით 10 წლის შემდეგ დახატა: „სულთანი მოგვესალმა და ჩვენთან ჩვეულებრივზე მეტხანს დარჩა, მერე კი მუხტარს უბრძანა, საფრანგეთის მეფის წერილი მიეღო და გაუგონარი წყალობა გვიბოძა, თავისი ზოგიერთი აპარტამენტის დათვალიერების უფლება მოგვცა. შემდეგ ცხენს დეზი ჰკრა და მუსიკის თანხლებით ხალხში მიიშალა“. ფერები თანაბრადაა გადანაწილებული კომპოზიციასა და ცალკეულ დეტალებზე. პეიზაჟში ოქროსფერი სჭარბობს და ქმნის კონტრასტს ლურჯ ცასთან. სულთნის სამოსი თეთრ ფერებშია მაშინ, როცა ამაღლა წითელ-მწვანე ფერებშია მორთული. დელაკრუამ თავისი ოსტატობით მდიდარი პალიტრით სურათს შეუნარჩუნა სიმშვიდის ეფექტი.

მაროკოს შემდეგ დელაკრუა ალჟირში წავიდა, სადაც ოთხი დღე დაჰყო. აქ ის მოხვდა აფრიკელი მეკობრის ჰარემში, რაც წარმოუდგენელი იყო. პარიზში დაბრუნებისას შექმნა სურათი „ალჟირელი ქალები“, რომელიც გახდა ფერწერის ახალი სახელმძღვანელო, გაჯერებული ცოცხალი ფერებითა და სინათლით. დიდი ფორმატის ნახატები ყოფილი სიუჟეტით დელაკრუასთვის იშვიათია. და სწორედ ასეთ გამონაკლისს წარმოადგენ ეს ტილოც, ასევე ის გამოირჩევა უჩვეულო სიმშვიდით. სამი ალჟირელი ქალი, რომელთაც აცვიათ ნათელი ფერის ტანსაცმელი, სხედან იატაკზე მდიდრულად მორთულ ინტერიერში. მარცხნივ მყოფი ქალი წამოწოლილია ბალიშზე და თითქოს მხატვარს უყურებს, დანარჩენ ორს თავები გვერდით აქვთ მიბრუნებული და ერთმანეთს ესაუბრებიან. უკიდურესად მარჯვნივ ზურგით დგას შავკანიანი მონა ქალი, რომელიც უკან-მწოლიარე ქალებისკენ იყურება. მხატვარმა გადაწყვიტა უფრო მეტად


გამოყენებინა და გაემდიდრებინა თბილი ფერები, ყურადღება გადაეტანა წითელის და მწვანის კონტრასტზე. მან მიაღწია ფერების იმგვარ ვიბრაციას, რომ გამოჩნდა ტანსაცმლის ყველა დეტალი: გამჭვირვალე ზედატანი, მწვანე აღმოსავლური შარვალი, რომელზეც თითქოს ანათებს ყვითელი კოპლები. უკანა ფონზე ჩანს კარადა წითელ-მწვანე პანელებით. ფერების ინტენსივობა კონტრასტს ქმნის ქალების სიმშვიდესთან, ხოლო ტილოს იდუმალებას სძენს შუქრდილების თამაში. აღმოსავლეთის ტრადიციების გაცნობამ დელაკრუას საშუალება მისცა მრავალფეროვანი ელემენტების შერწყმის შედეგად სურათზე ჰარმონია შეენარჩუნებინა.

მხატვარი სამშობლოში უამრავი ჩანახატით, აკვარელით, ესკიზითა და ჩანაწერით დაბრუნდა. რაც ნახა, ყველაფერი ზედმიწევნით ჰქონდა აღნუსხული და აღწერილი. ის მოხიბლული იყო არა მარტო ახალი სამყაროთი, არამედ შუქის ახლებული აღქმითა და გააზრებითაც. ამ მოგზაურობამ დაარწმუნა მხატვარი, უარი ეთქვა თავისი შემოქმედების პირველი ეტაპისათვის და ხელახლა აღმოეჩინა ანტიკური სამყარო. მოგზაურობის შემდეგ დამაბული რიტმით ცხოვრებისა და მუდმივი შრომის მიუხედავად, დელაკრუა ინარჩუნებდა აღმოსავლეთში ნაპოვნ სიმშვიდეს და იქაურობის მონატრებით ქმნიდა ორიენტალიზმის შედეგებს.




ავტორი : ანა ჩაჩიბაია

# ლიტერატურა





## ნიზარ კაბანი



ნიზარ კაბანი დაიბადა სირიის დედაქალაქ დამასკოში 1923 წლის 21 მარტს. მან 1930-1941 წლებში განათლება მიიღო დამასკოს ეროვნულ სამეცნიერო კოლეჯში, შემდეგ კი ჩააბარა დამასკოს უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ იგი დიპლომატი იყო და მუშაობდა სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, იყო კონსული ბეირუთში, კაიროში, სტამბოლში, მადრიდსა და ლონდონში.

ნიზარ კაბანიმ ჯერ კიდევ სკოლაში ყოფნისას დაიწყო ლექსების წერა. ამ პერიოდშია გამოცემული მისი პირველი ლექსების კრებული „ქალმა მითხრა“ (قالتي السمراء). უნდა აღინიშნოს, რომ ლექსების წერისათვის ბიძგი მიეცა 15 წლის ასაკში, მას შემდეგ, რაც მისმა დამ თავი მოიკლა. მიზეზი კი იძულებითი ქორწინება იყო. მისი დასაფლავების შემდეგ გადაწყვიტა ნიზარ კაბანიმ, შებრძოლებოდა იმ ტრადიციებს, რომლებიც უარყოფითად აისახებოდა ადამიანებზე. როდესაც მას ჰკითხეს, იყო თუ არა რევოლუციონერი, პოეტმა უპასუხა: „არაბულ სამყაროში სიყვარული არის პატიმარივით და მე მინდა, გავათავისუფლო ის. მე მინდა, ვიხსნა არაბული სული და სხეული ჩემი პოეზიით. ურთიერთობა კაცებსა და

ქალებს შორის არაბულ სამყაროში არ არის ჯანმრთელი“.

ნიზარ კაბანის პოეზიაში მთავარი მუზა დამასკო იყო. მის პოეზიაზე გავლენა იქონია 1967 წლის ექვსდღიანმა ომმაც. თუკი აქამდე იგი სასიყვარულო ლექსებს წერდა, ამ მოვლენის შემდეგ მის პოეზიაში იგრძნობა ტკივილი და სევდა.

1998 წელს ნიზარ კაბანი 75 წლის ასაკში გარდაიცვალა ლონდონში. მის ანდერძში ეწერა, რომ სურდა, დაესაფლავებინათ დამასკოში. მისი უკანასკნელი სურვილი აასრულეს და დაასაფლავეს სირიის დედაქალაქში, დამასკოში, ბაბ ას-სალირში.

დღეს კი მინდა, წარმოგიდგინოთ ნიზარ კაბანის ლექსის, „უსაზღვრო სიყვარულის“ (حُبُّ بلا حُدُود) თარგმანი ქართულ ენაზე.

## უსაზღვრო ტრფობა

ჩემო ქალბატონო!

შენ იყავი ჩემ წარსულის ქალების ქალი  
გარდასულ ჟამთა დროში.

და უკვე, ახლა, წარმოადგენ ისევ იმავეს,  
რაც დაიბადა წელიწადი, რომელშიც  
ვცხოვრობთ.

შენ დაუთვლელი ხარ დღეებით და  
საათებით.

შენა ხარ ქალი!

შექმნილი პოეტური ხილით

საოცნებო ზმანებათაგან.

შენა ხარ ქალი, რომელიც დაბუდდა  
ჩემს სხეულში

მილიონობით წლის წინ.

ჩემო ქალბატონო!

შენ ხარ ნაშობი ღრუბლებისგან,  
აბრეშუმისგან.

შენა ხარ წვიმა საფირონის.

შენ ხარ მდინარე სიმღერიდან  
ნაჰავინდისა,

შენ ხარ ტყეები, მარმარილოს ქვებით  
შექმნილი.

თევზივით ცურავ გულის წყლებში,

მკვიდრობ თვალებში მტრედთ  
ჯგუფივით.

არარა შემიცვლის გრძნობას,

შეგრძნებას,

გულსა და რწმენას,

რადგან მუსლიმთ გზას არ გადავუხვევ.

ჩემო ქალბატონო!

ნუ იფიქრებ ჟამთა სვლაზე, წელთა  
სახელზე.

შენა ხარ ქალი, რომელიც იარსებებს  
სამარადჟამოდ!

მეყვარები,

როცა მოვა XXI საუკუნე,

როცა მოვა XXV საუკუნე,

როცა მოვა XXIX საუკუნე!

მეყვარები!

მაშინაც, როცა დაშრებიან ზღები,

ფერფლად იქცევიან ტყეები!

ჩემო ქალბატონო!

შენა ხარ თავად პოეზია,

თავისუფლების ვარდი.

შენი სახელის წარმოთქმაც კი  
საკმარისია,

რომ გავხდე პოეტთ მეფე,

სიტყვების ფარაონი.

საკმარისია, შემეყვარო,

რომ დავმკვიდრდე ისტორიის  
წიგნებში

და აღიმართოს დროშები ჩემთვის.

ჩემო ქალბატონო!

ნუ შეფრთხები ჩიტით ნადიმის  
დროს,

არაფერი შეიცვლება ჩემში,

სიყვარულის მდინარე არ დაშრება,

გული არ შეწყვეტს ფეთქვას,

პოეზიის კაკაბი არ შეწყვეტს ფრენას,  
როცა სიყვარული დიდებულია,  
სატრფო კი - მთვარე.  
ეს სიყვარული არ გახდება  
ცეცხლისაგან შექმული თივა.  
ჩემო ქალბატონო!  
ქვეყნად არაფერს შეუძლია ამივსოს  
მზერა,  
აღარც სინათლეს, არც ფერწერას, არც  
დღესასწაულს  
არც ახალი წლის საზეიმოდ მორთულ  
ნაძვის ხეს.  
დაჰკარგეს ხიბლი ქუჩებმა და მისმა  
დუქნებმა,  
დაჰკარგა აზრი მოსალოცმა ჩემთვის  
უსტრებმა.  
ჩემო ქალბატონო!  
ტაძრის ზართა ხმა მე მახსენებს შენს  
ხმიანობას,  
მწვანე ბალახში ჩემი ყოფნა აღძრავს  
შენს სურნელს,  
ჩემს ტანსაცმელზე დაბარდნილი  
თოვლის ფიფქები,  
არღარა არის შენი სახის ნაკვთების  
გარდა.  
როცა ჩამესმის მე ტოტების ქართაგან  
ლეწვა,  
უწინდებურად შემიძლია ვიოცნებო და  
ავიჭრა ცაში დამფრთხალ ჩიტად, რათა  
ვიხილო  
შენს წამწამთ ბალი მოფენილი ამ  
სამყაროზე.  
ეს ყოველივე მამლევს ძალას, რომ  
ხელში კალმით

დავწერო ჩვენზე: ჩაკონებულ-  
ჩახუტებულნი,  
როგორ ვიძინებთ ბავშვებივით  
ტკბილად და მშვიდად.  
ჩემო ქალბატონო!  
მე ვბედნიერობ მარტოობით და ვწმენდ  
ლექსთა წყალს,  
შემდეგ კი შევსვამ ღვინოს შექმნილს  
მღვდელთა ხელებით  
მე ვძლიერდები მაშინ, როცა  
ვემეგობრები  
თავისუფლებას და დღეს მცხოვრებ  
ადამის მოდგმას.  
ჩემო ქალბატონო!  
ჩემი შენდამი სიყვარული უნდა  
ქმნილიყო  
ოდეს  
განმანათლებელთ, პიონერთ და  
პირველ ფოტოგრაფთ  
ევლოთ ამ ქვეყნად,  
და ჩვენი ტრფობის მარცვალი კი უნდა  
ზრდილიყო  
ფლორენციაში ან ქუფაში,  
სადმე  
ალეპოს ან კორდობას დიად ველებზე,  
სულაც ლევანტის ნაპირებზე  
გადმომდგარ სახლში.  
ჩემო ქალბატონო!  
უნდა დაგვევლო გიტარების  
სამფლობელოში,  
სადაც სიყვარულს გააჩნია  
უსაზღვროობა,  
სადაც სიტყვებსაც გააჩნიათ  
უსაზღვროობა,

სადაც ოცნებებს გააჩნიათ  
უსაზღვროობა.

ჩემო ქალბატონო!

ნულარ იდარდებ მყოობადზე, რამეთუ  
ჩემი

შენდამი ტრფობა მუდმივ იზრდება.

და, ქალბატონო, გამოგყოფდი ვარდთა  
ნუსხიდან,

ტიტებისა და პოეზიის ჩამონათვალში...

ჩემო დედოფალო!

არ ვფიქრობ, გარდა მომავალზე ჩვენი  
ტრფობისა,

რამეთუ შენ ხარ ყველაფერზე  
უწინარესი:

ქალიც და დედაც, ლტოლვაც და  
ტრფობაც,

თავშესაფარი მოვარდნილი ნიაღვრის  
დროსაც.

ჩემო ქალბატონო!

პოეტთა დედავ!

გამომიწოდე შენი ხელი,

იქ რომ დავსახლდე,

მითხარი რამე სიყვარულზე

და დაჰბადე დღესასწაული.

ავტორი - მათე ქარდავა

# ბაბა თაჭერის დუბეითების ქართულ თარგმანთა მიმოხილვა

ამ წერილში ჩვენს მიზანს წარმოადგენს ბაბა თაჭერის პოეზიის ქართული თარგმანების მიმოხილვა. მათი კრიტიკული ანალიზი და დედანთან შეჯერების გზით ღირსება-ნაკლოვანებათა წარმოჩენა. ჩვენთვის ამოსავალი წერტილი იქნება რეალისტური თარგმანის კონცეფცია და მსჯელობა სწორედ ამ თეორიის პოზიციებიდან წარიმართება. ვინაიდან „მხატვრული თარგმანის რეალისტური მეთოდი დედანს წარმოადგენს ცოცხალი სინამდვილის ანალოგიურ მხატვრულ სინამდვილედ და ახდენს მის მხატვრულ ასახვას ახალ ენობრივ ქსოვილში. რეალისტურ თარგმანში ასახულია დედნის არსებითი, ტიპური და დამახასიათებელი მხარეები, ტიპური გარემოცვა, ეროვნული სპეციფიკა, ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართება“. [გაჩეჩილაძე 2014:418] ცხადია, ნებისმიერი მთარგმნელის მიზანს უნდა წარმოადგენდეს დედნის მხატვრულად ზუსტი ადეკვატის შექმნა, რომელიც მხატვრული ძალმოსილებით გარკვეულ დონეზე მაინც შეწვდება ორიგინალს.

ადეკვატური თარგმანის შექმნის გზაზე მთარგმნელი აწყდება არაერთ წინაღობას. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება რითმიანი ლექსის თარგმნას. რითმის არსებობა დედანში და მისი გადატანის მცდელობა თავისთავად იწვევს დანაკარგებს. ამ გადატანისას ლექსის ზოგიერთი ელემენტი ემორჩილება ფუნქციურ კომპენსაციას, ზოგიც-არა. დალი

ფანჯიკიძის აზრით „პოეზიის თარგმნისას, ისევე როგორც ყველა სხვა ჟანრის ნაწარმოების თარგმნისას, ფუნქციურ კომპენსაციას ემორჩილება სტილის აბსტრაქტირებული ნიშნები, როგორცაა სისადავე თუ მაღალფარდოვნება, ენობრივი სიმშრალე თუ სიუხვე, მწიგნობრული თუ სასაუბრო მეტყველება, განწყობილება, რიტმი და ინტონაცია, ემოცია თუ განსჯა, დამოკიდებულება ენის ცალკეულ შრეებთან (რის მიხედვითაც იქმნება არქაულობის, თანამედროვეობის, ლიტერატურული ან კუთხური მეტყველების შთაბეჭდილება), ამა თუ იმ ავტორის პოეტიკაში მკაფიოდ გამოკვეთილი ხერხები, ცალკეული პოეტური სახეები და სხვ. ქართული ენა და ლიტერატურული ტრადიციები განუსაზღვრელ საშუალებას იძლევა ყოველი ტიპის პოეზიისათვის გამოინახოს ადეკვატები, ან მშობლიური ენის გამომსახველობითი ერთეულების ბაზაზე შეიქმნას და დამკვიდრდეს ახალი პოეტური მეტყველება, როცა საქმე ქართული პოეტური ტრადიციებისგან განსხვავებული პოეზიის თარგმნას ეხება“. [ფანჯიკიძე 1988: 31].

ვნახოთ, რამდენად აისახა ეს ყოველივე ბაბა თაჭერის პოეზიის თარგმანებზე. მანამდე კი ორიოდ სიტყვით აუცილებლად უნდა შევეხოთ მის ქართველ მთარგმნელებს. ეს პოეტი ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში, ისევე როგორც არაერთი ირანელი ავტორი, ამბაკო ჭელიძემ შემოიყვანა. 1936 წელს მის მიერ თარგმნილ და გამოცემულ

კრებულში „ირანელი ლირიკოსები“ ბაბა თაჰერი წარმოდგენილია მოკრძალებულად, სულ ორი დუბითით. თავად ავტორი კი ასე იხსენიება: ბაბა თაჰირ ქურთი.

ამ პოეტის შემოქმედების თარგმნა და პოპულარიზება ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში ყველაზე მეტად მაინც ღია ასათიანის სახელს უკავშირდება. იგი წლების მანძილზე თარგმნიდა და „არმადანის“ ნომრებში აქვეყნებდა ბაბა თაჰერის დუბითებს. 1991 წელს კი მკითხველს ცალკე წიგნად მიაწოდა. (ბაბა თაჰერი, დუბითები) კრებულს ახლავს რამდენიმე გვერდიანი შესავალი წერილი და კომენტარები, სადაც არასპეციალისტი მკითხველისთვის განმარტებულია მთელი რიგი აღმოსავლური რეალიები. გარდა ღია ასათიანისა, ბაბა თაჰერის ქართველ მთარგმნელთა შორის უნდა დავასახელოთ ნომადი ბართაია, ალექსანდრე ელერდაშვილი, ნომრევან ჯიშკარიანი. პოეტის 32 დუბითი თარგმნილი აქვს ამ სტრიქონების ავტორსაც.

განვიხილოთ პირველივე ადრეული თარგმანი, შესრულებული ა. ჭელიძის მიერ. თავის დროზე მისმა თარგმანებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აღმოსავლური პოეზიით მკითხველის დაინტერესებაში. დღეს ამ თარგმანებს უფრო ისტორიული ღირებულება გააჩნია, ვიდრე-მხატვრული.

ჯერ გავეცნოთ ორიგინალს:

اگر دستم رسد بر چرخ گردون  
از او پرسم که این چین است و آن چون  
یکی را میدهی صد ناز و نعمت  
یکی را نان جو آلوده در خون

[თარანეჰა-იე ბაბა თაჰერ 1393: 200]

თუ ხელით მივწვდები ცის ჩარხს,  
ვკითხავ: ეს რა არის და ის რა (ეს ასე რატომ არის და ის ისე რატომ)

ერთს ათასგვარ მოწყალებას აძლევ,  
მეორეს კი სისხლში გასვრილ ქერის პურს.

„ეჰ, რომ შემემძლოს მივსწვდე ზეცას ხელებაწვდილი,

შევეკითხები: რისთვისაა ასე შექმნილი,  
ერთს მიანიჭა ყოველივე სიკეთე ქვეყნის,

ერთს ქერის პური-სისხლითა და ოფლით გასვრილი.

[ირანელი ლირიკოსები 1936:260]

როგორც ვხედავთ, თარგმანი სრულიად ადეკვატურად ასახავს ორიგინალის შინაარსს. შენარჩუნებულია გარითმვის წესი (aaba), მინიმუმამდეა დაყვანილი დანაკარგები. ავტორის სათქმელი, ლექსის ფორმა და შინაარსი ორიგინალურად უხამდება ქართულ პოეტურ ქსოვილს. მთარგმნელს კარგად აქვს მოძებნილი სტილისტური გასაღები. პოეტური ინტონაცია სადაა. ჩანს ბედისმიერი უსამართლობით მოგვრილი წუხილიც. ამ მხრივ თარგმანი თითქმის ტოლფარდია დედნისა. რაც შეეხება ლექსის მხატვრულ მხარეს, მას მეტ-ნაკლებად აკლია პოეტის ხელი. პოეტურ ეფექტს ასუსტებს სუსტი სარიტმოო წყვილი (ხელებდაწვდილი-შექმნილი-გასვრილი). მიუხედავად იმისა, რომ ამბაკო ჭელიძის თარგმანები დიდი მხატვრულობით არ გამოირჩევა, მან თავის დროზე მაინც კარგად შეასრულა საპატიო ფუნქცია, ქართველ მკითხველს გააცნო არაერთი ირანელი

ლირიკოსის შემოქმედება. ამბაკო ჭელიძე ფრიად დამაშვრალი მთარგმნელი გახლდათ, რომელმაც პირველმა გასწია სპარსული ლირიკის თარგმნის ჭაპანი. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მას არავითარი ფილოლოგიური განათლება არ მიუღია. როგორც ჩანს, ამის ანაზღაურებას პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით და საქმისადმი სიყვარულით ცდილობდა. ასეა თუ ისე, საქართველოში სპარსული ლირიკის თარგმნის ტრადიციები სწორედ მისით იწყება.

სანამ უშუალოდ ლია ასათიანის მიერ თარგმნილ ლექსებს განვიხილავდეთ, ორიოდ სიტყვით დავახასიათოთ მისი მთარგმნელობითი ესთეტიკა, რაც კარგად იგრძნობა დუბეითების ქართულ ორეულეებში. ლია ასათიანის ხელწერა ნატიფია. იგი გაურბის გარეგნული ეფექტების შექმნას. თარგმანები შესრულებულია დახვეწილი სალიტერატურო ენით. ცხადია, ამის გამო მთლიანად იკარგება ის დიალექტური ნიუანსები, რითაც გაჯერებულია ბაბა თაჰერის პოეზია. ქართულ ნიადაგზე ავტორის ენობრივი პორტრეტი ქრება. მისი ენა უნიფიცირდება და არასპეციალისტ მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ბაბა თაჰერიც ზუსტად იმ ენით წერს, რითაც, ვთქვათ ომარ ხაიამი ან აბუ საიდი. საინტერესოა, როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი? ცნობილია, რომ დიალექტით გამოწვეული სტილისტური ეფექტი ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება ფუნქციურ კომპენსაციას. ასე ხდება თვით პროზაული თარგმანის შემთხვევაში, რომ აღარაფერი ვთქვათ პოეზიაზე. ჩვენი აზრით, ლი ასათიანის, როგორც მთარგმნელის, ნაბიჯი ამ შემთხვევაში სავსებით გამართლებულია. მან უარი

თქვა ქართული ენის რომელიმე დიალექტის გამოყენებაზე (თუნდაც მცირე დოზით) რადგან ეს პაროდის ასოციაციას აღძრავდა მკითხველში. დაუშვებელია, რომ ბაბა თაჰერის პოეზია რომელიმე ქართული კუთხის ენის ამეტყველდეს.

ლია ასათიანის ღირსება ისიც არის, რომ მან თარგმანებში თავისი ნამდვილი სახე შეუნარჩუნა პოეტს. „ბაბა თაჰერის პოეზიის გამოჩენამდე ქართველი მკითხველის სმენა ხაიამის სისხლსავსე რობაიების ჰანგებს იყო მიპყრობილი და მიჩვეული. ბაბა თაჰერის რობაიებმა კი, მსგავსად აბუ საიდისა, ახალი, მისტიკური სურნელება შემოიტანეს ქართულ სინამდვილეში. ხაიამის ვნებიანი მიჯნურის ნაცვლად, ქართველ მკითხველს უდაბნოში ქურციკთა მწყემსი, გამვალტყავებული მაჯნუნი გამოეცხადა. ღვინით ბაგე სველი, ანთებული ლირიკული გმირის ნაცვლად, დერვიშის ფლასში გახვეული ასკეტი ბერი შემოვიდა ქართულ სამყაროში“. [ბართაია 2014:136]

განვიხილოთ ცალკეული ნიმუშები:

شوانم خواب در مرز گلان کرد

گلم و اچید و خوابم را زیان کرد

باغبان دید که مو گل دوست دیرم

هزاران خار بر گل پاسبان کرد

[თარანეჰა-იე ბაბა თაჰერ 1393: 127]

ლამით ძილმა ვარდნარის მიჯნასთან (სიახლოვეს) მიწია,

ჩემი ვარდი მოწყვიტა და ძილი დამიფრთხო,

მებაღემ ნახა, რომ მე ვარდი მიყვარს,

ათასი ეკალი შემოასხა მცველებად ვარდს.

„სიზმარს, სახიერს, მაზიარა ღამის მაგიამ,

მე იმ ბაღნარის სილამაზეს დავუდაგივარ,

მეზაღემ ვარდის სიყვარული რომ შემამჩნია,

ეკლების ჯარი ვარდს მცველებად შემოახვია“.

[ბაბა თაჰერი. დუბეითები 1991:18]

როგორც ვხედავთ, მთარგმნელს სწორად აქვს გაგებული ლექსის მთავარი აზრი, რომელიც ბოლო ორ სტრიქონშია გაჟღერებული. ეს ორი სტრიქონი კი ზუსტადაა თარგმნილი. ქართულისთვის მოხდენილი ფრაზაა: „მეზაღემ ვარდის სიყვარული რომ შემამჩნია“. მთარგმნელს რომ კალკირების არასწორი გზა აერჩია, მივიღებდით სიტყვასიტყვით, მაგრამ უემოციო და პოეტური მუხტისგან სრულიად დაცლილ თარგმანს. საინტერესოა, რომ აღნიშნული თარგმანი „არმაღანის“ მესამე ნომერში განსხვავებული სახით იკითხება:

„ღამემ ვარდნარში მაზიარა ხილვას ნაღვლიანს,

ვარდი წამართვეს და ეს დარდი დაღად მატყვია,

მეზაღემ ვარდის სიყვარული რომ შემამჩნია,

ეკლების ჯარი ვარდს მცველებად შემოახვია“.

[არმაღანი 1982: 154].

ეს ვერსია დედანთან უფრო ახლოსაა, განსაკუთრებით მეორე სტრიქონი. უცნობია, რამ უბიძგა მთარგმნელს მისი შეცვლა. უმჯობესი რითმის მიუხედავად არაა, უადრეს ვერსიაში სართიმო წყვილები უფრო მოწესრიგებულია.

ვნახოთ მორიგი ნიმუში:

تن محنت كشی دیرم خدایا

دل حسرت كشی دیرم خدایا

ز شوق مسکن و داد غریبی

به سینہ آتشی دیرم خدایا

[თარანეჰა-იე ბაბა თაჰერი 1393: 111]

სხეული სიმძიმის მტვრითველი მაქვს, უფალო (სიმძიმის, მწუხარებას ვატარებ)

გული ჭმუნვის მტვრითველი მაქვს, უფალო (გულით ჭმუნვას ვატარებ)

სამშობლოს წადილით და სიყარბის მოთქმით (ვაებით)

გულში ცეცხლი მაქვს, უფალო!

„ღმერთო, სამშობლოს სიყვარულით მე ვარ სნეული,

გულდამწვარი ვარ განშორების ცეცხლით წყეულით,

გადახვეწილი სამშობლოდან შორეულ მხარეს

შენ შეიბრაღე სული ჩემი მარად ეული“.

[ბაბა თაჰერი. დუბეითები 1991:11]

თარგმანში რედიფი მოხსნილია. ზოგადად, მისი შენარჩუნება სასურველია და არა სავალდებულო. მთარგმნელმა დუბეითის მესამე სტრიქონში გატარებული აზრი პირველშივე გააცხადა. ამით, თითქოს, აზრი დიდად არ შეცვლილა, მაგრამ ორიგინალისეული ჩანაფიქრი სხვა იყო. პოეტი სტრიქონ-სტრიქონ გვამზადებდა კულმინაციისთვის. პირველი ორი მისრა სწორედ ამას ემსახურებოდა. ხოლო მესამე მისრის აზრი გახლდათ სწორედ წინაპირობა ფინალისა. ვფიქრობთ, მთარგმნელის



მხრიდან მსგავსი რეციდივები უარყოფითად მოქმედებს პოეტურ თარგმანზე, ამუხრუჭებს აზრის ლოგიკურ მდინარებას და დედნით მოგვრილ ემოციას ასუსტებს.

მეოცე საუკუნის ცნობილი ფრანგი თეორეტიკოსი ჟორჟ მუნენი წერილში „თარგმანი ზუსტი, მაგრამ ზუსტი რით?“ ამბობს:

„ლექსის ტექსტის პოეტური თარგმანის სიზუსტე არ არის მექანიკური სიზუსტე სემანტიკის მხრივ, არც ავტომატურად ზუსტი წარმოქმნა გრამატიკული ფორმებისა, არც ასპროცენტინი ფრაზეოლოგიური სიზუსტე, -არა, აუცილებელია ზუსტად გადმოიცეს დედნის პოეზია. იმისათვის კი, რათა ის გადმოიცეს, საჭიროა არა მარტო ვთარგმნოთ იგი, არამედ ღრმად ჩავწვდეთ პოეტის განზრახვას და სავსებით დავუფვლოთ ყველა მის გამომსახველობით საშუალებას.“ [გაჩეჩილაძე 2014:416].

გავეცნოთ ერთ ნიმუშსაც:

دلی دیرم خریدار محبت  
کز او گرم است بازار محبت  
لباسی دوختم بر قامت دل  
زپود محنت و تار محبت

[თარანეჰა-იე ბაბა თაჰერ 1393: 113]

გული მაქვს სიყვარულის მყიდველი,  
მის გამო სიყვარულის ბაზარი ცხელია,  
გულის შესაფერისი სამოსი შევკერე,  
სიმძიმის (ჭმუნვის) ქსელითა და  
სიყვარულის მისაქსელით.

„გულს გაუმართავს სიყვარულის დიდი ბაზარი,

რომ შეისყიდოს ეს მიჯნური სახემწყაზარი,

მე მას მოვუქსოვ მისი ზომის ლამაზ სამოსელს

სევდის მაქოზე ტრფიალების ძაფის მასალით.“

[ბაბა თაჰერი. დუბეითები 1991: 14]

თარგმანი იშვიათი პოეტური ოსტატობითაა შესრულებული. ძალუმად იგრძნობა პოეტური ენერგია. მთარგმნელს კარგად მოუნახავს ცალკეულ სიტყვათა ქართული შესატყვისები. მაგ: „თარ ო ფუდ“ „ნიშნავს ქსელსა და მისაქსელს. მაგრამ ეს სრულიად არაპოეტური სიტყვები ლირიკულ ლექსში დიდ წინააღმდეგობას გააჩენდა. „ძაფი და მაქო“ კი აქ სრულიად ბუნებრივად გამოიყურება. მეორე სტრიქონი ქართულ თარგმანში, ცხადია, რითმამ მოიტანა, მაგრამ იგი აზრობრივად ლექსთან ახლოსაა და არსებითად, მისივე შინაგანი ლოგიკითაა ნაკარნახევი.

სამწუხაროდ, მთარგმნელი ყოველთვის ვერ ახერხებს პოეტური ნიჭის რეალიზებას და თარგმანში დაიძებნება ბუნდოვანი ადგილები. ზოგი ნიმუში ორიგინალს ძალიანაა დაშორებული.

شب تاریک و سنگستان و مو مست  
قدح از دست مو افتاد و نشکست  
نگهدارنده اش نیکو نگهداشت  
وگر نه صد قدح نفتاده بشکست

[თარანეჰა-იე ბაბა თაჰერ 1393: 15]

უკუნი ღამე, ქვიანი ადგილი და მე-  
მთვრალი (მთვრალი ვარ)

ჯამი ხელიდან გამივარდა და არ დამტვრეულა,

მისმა მფარველმა სიკეთით (წყალობით) მოჰხედა,

და (ის) რომ არა, ასი ჯამი დაუგდებლად გატეხილა.

„მას გაუფრთხილდი რაც გიყვარდეს, ასეა წესად,

თუ დაგემსხვრევა ქვაზე ბროლი–დაიწყებ კვნესას,

მე სიმთვრალეში დამივარდა რიყეზე სურა,

როგორ გადარჩა ნეტავ მთელი, რომ ხელთ მაქვს დღესაც.“

[ბაბა თაჰერი. დუბეითები 1991: 12]

როგორც ვხედავთ, თარგმანში მთლიანად დაკარგულია ავტორისეული სათქმელი. დედანში მხოლოდ ჯამის ხელიდან გავარდნაზე როდია ყურადღება გამახვილებული. ეს სტრიქონი გარკვეული წინაპირობაა, რომელიც დუბეითის მთავარი აზრის გამოხატვას ემსახურება. აზრი კი ისაა, რომ მიწაზე დაგდებული ჯამი არ გატეხილა ზეციური მფარველის მოწყალე მზერის მეოხებით. თარგმანში სასმისის გატეხვა კი აისახა („როგორ გადარჩა ნეტავ მთელი, რომ ხელთ მაქვს დღესაც“) ,მაგრამ მთავარი გამოტოვებულია.

ასეთი თვითნებური ჩარევის შედეგად კი ვღებულობთ არა თარგმანს, არამედ სრულიად სხვა ლექსს, რომელსაც ორიგინალთან ცალკეული პოეტური ხატები თუ დაკავშირებს.

მთლიანად არასწორად მიგვაჩნია ამ დუბეითის თარგმანიც:

ز عشقت آتشی در بوته دیرم

در آن آتش دل و جان سوته دیرم

سگت ار پا نهد بر چشمم ایدوست

بمژگان خاک پایش روته دیرم

[თარანეჰა-იე ბაბა თაჰერი 1393:168]

შენი სიყვარულისგან ბუჩქში ცეცხლი მაქვს (სხეულის საფარი ცეცხლმა გადამიწვა)

იმ ცეცხლში სული და სხეული დამეწვა,

შენმა ძაღლმა ფეხი რომ დამადგას თვალზე, სატრფოვ,

წამწამებით ფეხის მტვერს გავუფერთხავ.

„როგორ აავსო ოქროს გულმა ღუმელი ნამწვით,

შენ იმ ღუმელში, ჩემი მტერი ათასი დასწვი.

ჩემი ძარღვებით ნაქსოვ ფარდგას ფეხქვეში დაგიგებ,

შენს ჩემს სიყვარულს რომც არჩიო ფინია ძაღლი“.

[ბაბა თაჰერი. დუბეითები 1991: 39]

ცალკეულ ხარვეზთა მიუხედავად, ღია ასათიანის მთარგმნელობითი ესთეტიკა მაინც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მას მშვენივრად ემორჩილება ქართული სალიტერატურო ენა, მაგრამ არაიშვიათად ექცევა სპარსული რეალიების ტყვეობაში და უთარგმნელად ტოვებს ზოგიერთ სიტყვას და ანდაზას. მაგ, ერთ-ერთი დუბეითის თარგმანში ვკითხულობთ: „საყელოს ყელზე ვინც კი შენთვის არ

შემოიხვევს“. ეს სპარსული ანდაზა ნიშნავს მოთმინებას. ჩვენი აზრით, კომენტარის გარეშე ქართველი მკითხველი მას ვერ გაიგებს. ერთ ადგილას ქართულ ტექსტში გამოყენებულია სიატყვა „ქაფანი“ (სუდარა). „მეფეს და ღატაკს უკერავენ ერთნაირ ქაფანს“. [ბაბა თაჭერი. დუბეითები 1991:80] ვფიქრობთ, რომ მთარგმნელი უნდა ერიდოს სპარსული სიტყვის ხელოვნურად გადმოტანას ქართულში. აღმოსავლური ლექსიკა ჩვენს ენაში ისედაც ჭარბადაა.

ღია ასათიანისეულ თარგმანებში კეთილხმოვანი რითმების გვერდით, სამწუხაროდ, სუსტი რითმებიც გვხვდება. ჩვენი აზრით, ეს ცუდად მოქმედებს ლექსის გარეგნულ მხარეზე, ჩრდილს აყენებს მის არქიტექტონიკას. რაც არ უნდა მაღალი აზრი იყოს გატარებული ამა თუ იმ დუბეითში, სუსტი რითმის გამო ემოცია ქრება ან სუსტდება. ვირტუოზულ სარიტმო წყვილებზე გაზრდილი ქართველი მკითხველი ძნელად თუ იგუებს ასეთ რითმებს: ღამით-წყალის-სტუმარი, ან: ცეცხლი-ფერფლი-შენთვის, ან: ღერძი-ელის-წესი...

ქართული ლექსისთვის ასევე მიუღებლად მიგვაჩნია ემფატიკური „ა“-ს ხშირი გამოყენება და ამით სარიტმო წყვილის შექმნა. ჩვენი აზრით, ეს ეტაპი ქართულ პოეზიას კარგა ხნის წინ აქვს გავლილი. ამიტომ ამ ყველაფრის ფონზე პოეტური ტექნიკისგან დაცლილად გვეჩვენება ეს თარგმანი:

„რა უაზროა ძრწოლა ჩემი, დავეძებ რასა?

ან რად ვადგივარ მაძიებლად უგზაო გზასა?

ყველას სცოდნია, სატკივარი რით მოირჩინოს,

არ შეიძლება ჩემი შველა, რომც ვთხოვო ცასა“.

[ბაბა თაჭერი. დუბეითები 1991: 32]

აქვე უნდა შევეხოთ მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის საკითხს. ასეთ დროს, როგორც წესი პირწმინდად იშლება ამა თუ იმ ავტორისა და ეპოქისთვის დამახასიათებელი ნიუანსები. ერთ თარგზე იჭრება არაერთი განსხვავებული სტილის შემოქმედება. ვფიქრობთ, ღია ასათიანის შემთხვევაში მსგავსი საშიშროება მოხსნილია. მისი მთარგმნელობითი საქმიანობა მხოლოდ ბაბა თაჭერის დუბეითების თარგმნით შემოიფარგლა. მის თარგმანებში არ იგრძნობა ზედმეტი არქაიზმებით გატაცება. სიძველის რეპროდუქციისკენ მისწრაფება მაინცდამაინც არ ჩანს. სიძველის ელფერის მინიშნებას მთარგმნელი მინიმალური ენობრივი საშუალებებითაც ახერხებს. როგორც ჩანს, ამ მხრივ იგი იზიარებდა თამაზ ჩხენკელის მოსაზრებას: „ყოველი თარგმანი თანამედროვეთათვის კეთდება და იგი უპირველეს ყოვლისა თანადროულობის პოზიციას უნდა აკმაყოფილებდეს“. [ჩხენკელი. პოეზი-სიბრძნის დარგი. 1978: 172].

**ავტორი - გიორგი ხულორდავა**

# საით ფაიკ აბასიანიკი

მწერლის ნამდვილი სახელია მეჰმედ საითი. რესპუბლიკის პერიოდის ლიტერატურის პირველი და თვალსაჩინო წარმომადგენელი, დაიბადა 1906 წლის 18 ნოემბერს, ადაფაზარში, ვაჭრის ოჯახში. სწავლობდა ადაფაზარის, სტამბოლისა და ბურსის ლიცეუმებში, შემდეგ ორი წელი სტამბოლში ლიტერატურის ფაკულტეტზე ისწავლა. შემდეგ ეკონომიკის შესასწავლად შვეიცარიაში გაემგზავრა, თუმცა იქ დიდხანს არ გაჩერებულა. ბოჰემური ცხოვრებით გატაცებულმა 3 წელი საფრანგეთშიც გაატარა. თურქეთში დაბრუნების შემდეგ მასწავლებლად დაიწყო მუშაობა სომხურ ობოლთა სასწავლებელში. ერთხანს ვაჭრობასაც მიჰყო ხელი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მუშაობდა გაზეთ „ამბავში“ („Haber“). ამ პერიოდის შემდეგ გადაწყვიტა, მხოლოდ მწერლობით დაკავებულიყო და 1936 წელს გამოსცა თავისი პირველი წიგნი „სამოვარი“ („Semaver“).

საით ფაიკის აზრით, ლიტერატურულ შემოქმედებას მკითხველი უნდა მიეყვანა ახალ, ლამაზ და ბედნიერ სამყაროში, მაგრამ მის ნაწარმოებებში ბედნიერებასთან უბედურებაც თანაარსებობს. სიურრეალიზმის გამოხატვის მაგალითებსაც ვხვდებით. სიურრეალიზმი ხომ იგივე გათავისუფლებაა იმ ემოციებისგან, რომელთა გამოხატვასაც ვერიდებით საზოგადოებისთვის მიუღებლობის გამო. საზოგადოებისგან გამიჯვნის

შიში კი ადამიანს უბიძგებს სიმბოლოების საშუალებით გამოხატოს თავისი განცდები.

ს.ფ.აბასიანიკის შემოქმედება 13 ტომს ითვლის. მისი მოთხრობების ნაწილი თარგმნილია უცხო ენებზე. მისი შემოქმედება, გარდა პროზისა, მოიცავს ასევე პოეზიასაც.

ლიტერატურაში შეტანილი წვლილისთვის აშშ-ში „მარკ ტვენის საზოგადოებამ“ მწერალი 1953 წელს საპატიო წევრად აირჩია.

გარდაიცვალა საკმაოდ ახალგაზრდა, ცეროზით, თავისსავე სახლში, ბურგზადაში. მისი გარდაცვალების შემდეგ დედამისმა საით ფაიკის სახელობის ყოველწლიური ჯილდო დააარსა, რომელიც 1963 წლის მერე ერთ-ერთ ფონდს გადაეცა. 1963 წელს, როცა დედამისიც გარდაიცვალა, სახლი „საით ფაიკის მუზეუმად“ იქცა.

## იანი უსთა

თხუთმეტი წლის იყო, როდესაც გავიცანი, ოღონდ არა როგორც იანი უსთა. ის იყო ჩემთვის ერთი შავთვალა, შავფეხება, შავთმიანი, შავი ბავშვი.

მე? ... მე მასზე უფროსი ვიყავი. არ მოგატყუებთ და გეტყვით: აღარაფრის ძალ-ღონე არ მქონდა. ამ სამყაროში არავინ მყავდა. დედა მყავდა მხოლოდ და სულ ესაა. მის გარდა არავინ. იანი უსთა დღეს უკვე ოცი წლისაა. მე კი ორმოცდაათს ვუკაკუნებ. მაგრამ იანი, უნდა ვთქვა, რომ ჩემი ერთადერთი მეგობარია. ისე ოსტატურად ღებავს კედლებს, გაცეებისგან პირლიას დაგტოვებთ. მაგრამ ჩემთვის ის ისევ და ისევ თხუთმეტი წლის შავი ბავშვია. თავისუფალ დროს კინოში დადის, ფეხბურთის მატჩებს ესწრება, ყავახანაში ბანქოს თამაშობს. თუ ვახსენებდი, სადაც არ უნდა ვიყო, მიპოვის და მოვა. მაგრამ მე თვითონ თუ არ გამახსენდა, არც კი მომიკითხავს.

-შენ რატომ უნდა მოგძებნო, კი მაგრამ? - მკითხავს.

მყუდრო ლუდხანა... აქ დავდივარ ხოლმე, ჩემთვის ვჯდები და ფიქრს ვიწყებ. რა მაქვს გაკეთებული ამ სამყაროში? ან რა მაქვს ნანახი? რისთვის მოვედი ამქვეყნად? რატომ მივდივარ? და მაინც, დღემდე რისი გაკეთება შეეძელი?

როცა გარეთ თოვს, ლუდხანა სიცხისგან რომც იწვოდეს, აუტანელი სიცივე მიპყრობს. ექვს საათზე აქ უკვე ვერავის ნახავთ, დაცლილია ხალხისგან. ოფიციალტიც სხვა დარბაზშია გადასული. კედლის საათი გაღიზიანებს, გაიძულეებს, რომ სასმელს მიეძალო. ვის ველოდები? იანი უსთას?

კი მაგრამ, რომ ველოდო, მოვა? ... თუ მაშინ მოვა, როცა ლოდინს შევწყვეტ? რა ვუყო ამ იმედს? მისი მოულოდნელად გამოჩენის იმედს?!

მოვა და ჩემ წინ დაჯდება. რას ვეტყვი მე მას ან რას მეტყვის იგი მე? ხომ არაფერი გამახსენდება. მომაფიქრდება. მოვიგონებ რამეს.

ლუდხანას მუდმივი კლიენტები ჰყავს. ერთია, მოდის და ფანჯარასთან იკავებს ადგილს. ოფიციალტს მინერალური წყლის ბოთლს გაახსენებებს. რაქისაც ზედ მიაყოლებს. ერთ თეფშს საჭმელსაც მოატანინებს, თირკმლის კერძს მოამზადებინებს. ზოგჯერ ომლეტს მიირთმევს.

იანი უსთა მოდის. წარბებს შორის ხაზი გასჩენია. საცოლის მამას ხუთი ათასი ლირა მიუცია. გოგო საკმაოდ ლამაზი ყოფილა.

-იცეკვეთ, იანი!- სთხოვა გოგონას დედამ.

-მე ცეკვა არ ვიცი... რომც ვიცოდე, მაინც არ ვიცეკვებ.

ლუდხანაში იანი ლუდის დასალევად აღარ მოვა. მსგავს ადგილებში გამოჩენას ის უკვე უნდა მოერიდოს. მას ხომ ახლა ხუთი ათასი ლირა აქვს...

ეჰ, იანი, ეჰ! გუშინ საღამოს არ იყო, რომ ვამბობდი შენზე, ერთი პატარა, შავი ბიჭუნა იყო-მეთქი? ახლა შეხედეთ, დიდი კაცი გამხდარა. მე დავბერდი. ეს ლუდხანა ისევ ის ლუდხანაა. თქმული ზღაპრები ისევ იმავე ზღაპრებადაა შემორჩენილი. სამყაროა შეცვლილი, სრულიად სხვაა. შენც სხვა ადამიანი ხარ. მაგრამ მე ის ვარ, ვინც ვიყავი, იანი! შენ სამუდამოდ ჩემთვის ისეთად

დარჩები, როგორც მახსოვხარ. შავთმიან, შავთვალა, მოუსვენარ ბიჭუნად. ერთად კინოში რომ დავდიოდით, ჩემ გვერდით ყოფნისას, შენ შენს ბავშვურ სიგიჟეს არ იშლიდი. ხელებს ვერ აჩერებდი. მხრებში მირტყამდი.

როცა ბავშვებში ჩვენც ვირეოდით, უცნაური გრძნობა მეუფლებოდა, სევდა მაწვებოდა. ყოველი ბავშვის სახე საოცრად ლამაზი იყო. თითოეული მათგანი - თბილი და მოსიყვარულე.

დღეებმა თვალის დახამხამებაში გაირბინა. შენ გაიაზარდე. ისეთი დიდი ხარ, რომ უკვე ხუთი ათასი ლირა გიჭირავს ხელში. კარგი და, ის გოგო გიყვარს?

-ცოლი არ არის? მეყვარება, აბა რა!

-მართალი ხარ, იანი. ცოლი უნდა უყვარდეს კაცს. მაგრამ მე ქალებზე მეტად ბავშვები მიყვარს.

-და მე არ გიყვარვარ?

-შენ? განა ეს საკითხავია? შენ? შენ ძალიან მიყვარხარ!

-ხო, მაგრამ მე ბავშვი აღარ ვარ.

-ჩემთვის ხარ.

-თუ ისევ ბავშვს დამიძახებ, ძალიან გავბრაზდები და მეწყინება. ხმას აღარასდროს გაგცემ.

-ქორწილშიც არ დამპატიებ?

-შეხედეთ ერთი ამას! დაგპატიებ.

ცოტა ხანს ჩემსა და იანის შორის სიჩუმე ჩამოწვა. იანიმ ეს სიჩუმე დაარღვია:

-თეატრებში რომ დადიხარ, მეც წამიყვანე ერთ საღამოს.

-როცა მოისურვებ მაშინ...- ვუთხარი.

შევთანხმდით, რომ ორშაბათ საღამოს წავიდოდით. ადრე შევიარე თეატრის საღაროში და ბილეთები ვიყიდე. მოვედი. იანი უსთა გამოწყობილ ფორმაში მოვიდა. მოვიდა, მაგრამ ბილეთები ხვალინდელი საღამოსთვის იყო. ორშაბათს სპექტაკლი არ იყო.

-იანი, - ვუთხარი, ორშაბათს სპექტაკლი არ ყოფილა; ხვალინდელი ვიყიდე.

-არაუშავს. ჩემი ბილეთი მე მომეცი,- მითხრა.

ოთხი კათხა ლუდი დავლიეთ. ერთმანეთს დავემშვიდობეთ. მეორე დღეს, საღამოს ცხრის ნახევარზე თეატრში წავედი. ის ჯერაც არ მოსულა. ფარდების გახსნის ზარმა რომ დარეკა, ჩემ გვერდით უცნობმა კაცმა დაიკავა ადგილი.


იანი უსთას თავისი ბილეთი გაუყიდა.

იანი უსთამ ბოლოჯერ ჩაიდინა ბავშვური მასხარაობა. მომეწონა. თავი ცოტა უცნაურად და მარტოსულად ვიგრძენი.

ეჰ, იანი უსთა, ეჰ! რა მოხდა მერე? არ მოხვედი? არ მოხვედი. მერე რა? შენ ჩემთვის მაინც ის ბავშვი ხარ, რომელსაც ქუჩაში გადავაწყდი და რომელიც კინოში სულ ჩემ გვერდით იჯდა. მაგრამ გული... კარგი, არ მიაქციო ყურადღება. როცა დამინახავ, ღიმილი არ დაიშურო ჩემთვის. არაფერია ის, რაც თეატრში მოხდა. ამ სამყაროში ხომ მეგობრობა არსებობს! მეგობრობა, რომელიც არ მომკვდარა!

**ავტორი - ნინო დარასელია**

# ცხოველთა როლი იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანებში „ოქროს ქვიშასა“ და „ქვიდან ნაჟური სისხლში“



იბრაჰიმ ალ-ქუნი ცნობილი ლიბიელი მწერალია, აღზრდილი უდაბნოს მომთაბარე ხალხის, ტუარეგების, ტრადიციებზე, რომლებიც ცნობილნი არიან როგორც „პირბადიანი“, „ლურჯი“ კაცები (უდაბნოს კლიმატური პირობების გამო აქ კაცები იკეთებდნენ პირსაბურავებს და არა ქალები). ალ-ქუნი ამეტყველდა ამავე ხალხის ენაზე, ტამაშეკზე. არაბული ენის სწავლა 12 წლის ასაკში დაიწყო. მოგვიანებით, სწავლა განაგრძო რუსეთში. სწორედ რუსულმა განათლებამ და რუსული ლიტერატურის ღრმა ცოდნამ იბრაჰიმ ალ-ქუნის, როგორც მწერლის ინდივიდუალური ხელნაწერისა და მწერლის სტილის ჩამოყალიბებაში თავისი როლი ითამაშა და წარუშლელი კვალი დაამჩნია მას, შექმნა ე.წ. ალ-ქუნის „მაგიური რეალიზმი“ სუფიური ფაბულებით, ეგზისტენციალური კითხვებითა და რომანის პოეტიკით. რუსეთიდან იგი პოლონეთში გადადის და აგრძელებს ჯერ კიდევ მოსკოვში დაწყებულ ჟურნალისტურ

საქმიანობას. მოგვიანებით შვეიცარიაში სახლდება, სადაც ოც წელზე მეტი გაატარა. სწორედ აქ დაიწერა მისი ნაწარმოებების უმრავლესობა. დღეს კი უკვე სამხრეთ ესპანეთში ცხოვრობს და იქ ცოცხლობს მისი საჰარის უდაბნოზე მოფიქრალი მუზა. ამ მრავალფეროვანმა გარემომ ჩამოაყალიბა ამ გამორჩეული მწერლის შემოქმედება, რომელიც ერთიანად მოიცავს სუფიურ მისტიციზმს, რუსულ ეგზისტენციალიზმს, ამერიკულ ტრანსცენდენტალიზმს, ძველი მსოფლიოს მითოლოგიას, გერმანულ რომანტიზმსა და სხვა ბევრ ელემენტებს...

მცირე არაბი მკითხველისათვის ცნობილი 60-მდე წიგნის ავტორი, იბრაჰიმ ალ-ქუნი საერთაშორისო მკითხველისათვის ცნობილი გახდა არაბული ლიტერატურის მთარგმნელის, კრიტიკოსის, ლიტერატურათმცოდნე არაბისტ დოქტ. ჰართმუთ ფენდრიჰის წყალობით. მან მალევე მოიპოვა

მკითხველის ყურადღება და სიყვარული. კრიტიკოსებმა მას უდაბნოს მწერალი უწოდეს, ფრანგულმა ჟურნალმა "Lire"-მა კი იბრაჰიმ ალ-ქუნი დაასახელა ჩვენი საუკუნის 50 საუკეთესო რომანისტს შორის და მომავლის მწერალი უწოდა. იგი ლაურეატია არაერთი საერთაშორისო ლიტერატურული პრემიისა და ჯილდოსი, მათ შორისაა: შვეიცარიის პრემია, ფრანგულ-არაბული მეგობრობის კომიტეტის პრიზი. 2005 წელს მიიღო მუჰამედ ზაფესის სახელობის მაროკოს პრესტიჟული ლიტერატურული პრემია. 2008 წელს მიენიჭა არაბული სამყაროს უდიდესი შეიხ ზაიდის ლიტერატურული პრემია. 2015 წელს კი ალ-ქუნი დასახელდა ბუკერის საერთაშორისო ლიტერატურული ჯილდოს ფინალისტებს შორის, რომელიც 2016 წელს მისი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო მიღწევაა.

დღეისათვის იბრაჰიმ ალ-ქუნის ნაწარმოებები 40-მდე ენაზეა თარგმნილი. ქართულ ენაზე კი პირველადარაბულიდან ითარგმნა იზოლდა გრძელიძის მიერ ალ-ქუნის მცირე პროზა, „თითის ფალანგაზე მოკლე მოთხრობები“, რომელიც დაიბეჭდა ლიტერატურულ ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ 2014 წელს. ფართოდ, ქართველი მკითხველისათვის იბრაჰიმ ალ-ქუნი ცნობილი გახდა ქალბატონ დარეჯან გარდავამის მიერ თარგმნილი რომანით „ოქროს ქვიშა“, რომელსაც მოჰყვა მისი კიდევ ერთი თარგმანი რომანისა „ქვიდან ნაჟური სისხლი“. სწორედ ამ ორმა ნაწარმოებმა აქცია იბრაჰიმ ალ-ქუნი ქართველი აღმოსავლეთისა და უდაბნოს მოყვარული მკითხველისათვის საყვარელ მწერლად, რომელიც ამოგზაურებს

მკითხველს მისტიურ, დროში არეულ სამყაროში.

როგორც უკვე აღვნიშნე, ალ-ქუნის მშობლიური ენა არა არაბული, არამედ ტამაშეკია, აგრეთვე, ის წერს ტუარეგებზე და არა არაბებზე. ჩვენ კი ამ დროს გვიჭირს განვასხვავოთ ეს ორი ხალხი ერთმანეთისგან. იბრაჰიმ ალ-ქუნი და ჩრდილო აფრიკის სხვა არაბი ავტორები ცდილობენ მკვეთრი ხაზები გაავლონ მალრიბის არაბულ, ბერბერულ და ისლამურ კულტურასა და ტრადიციებს შორის, თუმცა, მიუხედავად ამ ტენდენციურობისა, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ ის უდიდესი კავშირი, რომელიც ალ-ქუნის ნაწარმოებებსა და უძველეს ტრადიციულ არაბულ პოეზიას, განთქმულ „მუალაკათებს“ შორის არსებობს. ალ-ქუნისათვის, ძველი არაბი პოეტების მსგავსად, უცხო არ არის ქება, ხოტბის შესხმა ცხოველისათვის და მასთან ერთად უდაბნოში მოგზაურობა... ურთიერთობა ცხოველთან, სხვა მრავალ თემასთან ერთად, არის ის, რაც ყველაზე მეტად აერთიანებს ალ-ქუნის ნაწარმოებებს კლასიკურ არაბულ პოეზიასთან, კასიდასთან. იბრაჰიმ ალ-ქუნი წერს იმაზე, რაც ყველაზე ძვირფასია მისთვის ძირძველ, ყველასათვის დავიწყებულ, ტუარეგულ კულტურაზე, მათ მითოლოგიაზე, სულიერ სიმდიდრეზე და მისი იდეა და სურვილი, ნამდვილად, არ არის არაბულ კულტურაზე წერა. თუმცა, სწორედ ის პასაჟები ალ-ქუნის შემოქმედებაში, რომლებიც, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ გამოძახილია ისლამამდელი პოეზიისა, არ გვაძლევს საშუალებას მისი შემოქმედება მხოლოდ ტუარეგთა ტომს მივაკუთნოთ დაგავმიჯნოთ არაბული კულტურისაგან.



იბრაჰიმ ალ-ქუნის ნაწარმოებები მთლიანად უდაბნოსკენაა მიმართული. თითქოს მთელი მისი ცხოვრება უდაბნოზე იყოს დამოკიდებული. იგი ერთი ჩვეულებრივი ბედუინია, მწერალი, რომლის მთელი შინაგანი სამყარო უდაბნოს ქვიშებისადმი მიილტვის... ამიტომაც, გასაკვირი არ არის, ფაქტობრივად, მის ყველა ნაწარმოებში დომინირებს უდაბნო, ბედუინი და უდაბნოში განმარტოებული ადამიანის განუყრელი, ლხინისა და ვარამის გამზიარებელი ცხოველი. თუ ქართულ ლიტერატურაში ვაჟა-ფშაველაა, რომელიც აქტიურად იყენებს გაპროვინების ხერხს, ახერხებს ცხოველში პიროვნების დანახვას, მისი გრძნობების და შეგრძნებების მიტანას მკითხველამდე, თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში ასეთი სწორედ იბრაჰიმ ალ-ქუნია. იგი სრულად გრძნობს ბუნების წიაღს, მის თითოეულ ნაწილთან გრძნობს სულიერ კავშირს.

იბრაჰიმ ალ-ქუნის შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქართველი მკითხველისათვის ცნობილ მის რომანებში „ოქროს ქვიშასა“ და „ქვიდან ნაჟურ სისხლში“ განსაკუთრებით სამი ცხოველი ფიგურირებს, პირველი - აქლემი, რაც გასაკვირი ნამდვილად არ არის, მეორე - ქურციკი და ბოლოს ჯიხვი. ეს სამი ცხოველი ამ ორივე ნაწარმოებში ჩნდება სხვადასხვა სიმძაფრით. მაგალითად, თუ „ოქროს ქვიშაში“, წინა ფლანგზე გამოდის აქლემი და ფაქტობრივად მთელი ნაწარმოები აქლემს აქვს დათმობილი, ჯიხვი კი მხოლოდ და მხოლოდ ბოლო თავში ჩნდება, „ქვიდან ნაჟური სისხლი“ მთლიანად ჯიხვს აქვს დათმობილი. თუმცა, რაღა თქმა უნდა, ვერც ამ ნაწარმოებში გაურბის ავტორი

აქლემის ფენომენს და საკმაოდ დიდ მონაკვეთს უთმობს აქლემის გარეგნულსილამაზესთან ერთად, მის შინაგან სამყაროსა და ადამიანთან ურთიერთობას. რაც შეეხება ქურციკს, ეს ცხოველი ამ ორივე რომანში თანაბრად ჩნდება და ორივეგან მკვეთრად უსვამს ხაზს ალ-ქუნი ქურციკის საკრალურობას, მშვენიერებას, მის შინაგან გრძნობებს. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ იბრაჰიმ ალ-ქუნი ნამდვილად ესთეტი, სილამაზის მოტრფიალე მწერალია. ამიტომ პირველი რაც ამ სამ ცხოველს ერთმანეთთან აკავშირებთ სწორედ სილამაზეა.

უდაბნოდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ უმთავრესი ცხოველი ამ ბედუინი მწერლის შემოქმედებაში, და ზოგადად, მის ცნობიერებაში აქლემია - სილამაზისა და სრულყოფილების სიმბოლო. არაბულ ენაზე აქლემი (ჯამალუნ) და სილამაზე(ჯამილუნ) ერთი ძირისაა და შეიძლება ითქვას განურჩეველიც კი. ამიტომაც, პრაქტიკულად, არ არსებობს ნაწარმოები სადაც იბრაჰიმ ალ-ქუნს ნახსენები არ ჰყავდეს აქლემი. უდაბნოს მწერლის ურთიერთობა აქლემთან და ზოგადად ცხოველთან, ჩემი აზრით, ყველაზე კარგად გამოვლინდება „ოქროს ქვიშაში“. ამ რომანის მთავარი გმირი უდაბნოსთან და მოხეტიალე ბედუინთან ერთად მაჰრული ამლაყი აქლემია. მთავარი გმირის, უხაიადისა და აქლემის ურთიერთობა სცდება უბრალოდ ადამიანისა და ცხოველის ურთიერთობას. უხაიადისათვის ის ცხოველზე მეტია, მისი სულის ნაწილია, მისგან ღებულობს იმ სულიერებას, რაც ადამიანებისგან დაკარგა და ცხოვრობენ ერთად საერთო ტკივილითა და განცდებით უკიდევანო უდაბნოში... ადამიანის და ცხოველის მეგობრობა, სიყვარული,

ურთიერთგაგება, თავგანწირვა ლიტერატურაში უცხო არ არის, მაგრამ ის რაც უხაიადსა და მაჰრულ ამლაყ აქლემს შორის ყალიბდება რაღაც უფრო მისტიურია, უფრო ფაქიზი, თითქოს ამ სამყაროსთვის წარმოდგენილი, ზეციური ტრფიალის მსგავსი... აქლემი ამ რომანში არ არის უბრალოდ ცხოველი, ის რაღაც უფრო მეტია. „...ამ ქვეყნად არ არსებობს არსება, რომელიც აქლემს ფიზიკური ტკივილის მოთმენაში გაეჯიბრება, მაგრამ ამასთანვე არ არსებობს ამ ქვეყნად არსება აქლემზე სუსტი და გულჩვილი ტკივილის გულით ტარებაში.“ რომ არა აქლემი, უხაიადი დაკარგავდა თავის ფასეულობებს, მრწამსს, შინაგან მეს და სულიერებას, რომელიც ასეთი ძვირფასია. აქლემი ამ ნაწარმოებში გვევლინება შუამავლად, ღმერთის, ალაჰის გზად...

როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, ალ-ქუნისთან აქლემი, მართლაც, აღიქმება ადამიანის განუყრელ მეგობრად, ზეციური სილამაზის ქმნილებად, მაგრამ ჯიხვი უფრო ამაღლებულია, ზეციური, ღვთიური არსებაა. ღმერთს სამყოფელიც გამორჩეული და განსაკუთრებული უბოძებია მისსავე სიახლოვეს, მთის ყველაზე მიუწვდომელ რთულ უბნებში. მაშ, თუ ჯიხვი თავად ღვთიური არსებაა, აქლემი კი ზეციური სილამაზის ქმნილება, საინტერესოა რა ადგილი უკავია ქურციკს. ისიც უდავოდ სილამაზის ქმნილებაა, მაგრამ აქლემისაგან განსხვავებით იგი ამქვეყნიური სილამაზისაა, რომელიც მიისწრაფვის ზეციურობისაკენ და ჯიხვის ადგილის დაკავებასაც კი ცდილობს მაღალ მთებში, ახლოს ზეციურ სამყაროსთან.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იბრაჰიმ ალ-ქუნის „ქვიდან ნაჟურ სისხლში“

პირველსავე აბზაცში თხები შემოჰყავს, და არა ჯიხვები, რაც ისევ და ისევ შემდგომში ჯიხვის განდიდებას ემსახურება. „...ემმაკი შეუჩნდა თხებს“ - თხები ასუფს, ნაწარმოების მთავარ გმირს, ლოცვის შესრულებაში უშლიან ხელს. ისინი ვერც ხვდებიან ღმერთის, ალაჰის არსს, მათი გრძნობები და ქმედებები მხოლოდ და მხოლოდ ცხოველურია, ჩხუბი მაცდუნებელი დედალი თხებისათვის. ჯიხვი კი ბევრად მაღლა დგას. თხებისაგან განსხვავებით, ის თავისუფალია, მისი ერთადერთი პატრონი მაღალი ღმერთია. თხებმა კი ეს თავისუფლება დათმეს... ალ-ქუნის ცნობიერებაში ჯიხვში ღვთაებრივი სულის არსებობა მყარადაა გამჯდარი, რასაც კიდევ უფრო აშკარას ხდის საჰარის საკულტო ნაგებობა, მუხანდუმის კლდეების ნახატები და სუფიურ ორდენტა გადმოცემები.

საშიში და ამოუცნობი ცხოველია ჯიხვი. მასში დიდი საიდუმლო სახლობს, რომლის მსგავსიც არაა არც ჯადოსნურ ქურციკში და არც სხვა რომელიმე ცხოველში. ალ-ქუნისეული ჯიხვი არა უბრალოდ მაღალი ფასეულობების მატარებელი არსებაა, იგი სიძლიერის, გმირობისა და გონიერების სიმბოლოდაც კი ჩნდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ჯიხვის რქისადმი: „არაფერი მინახავს ჯიხვის რქაზე უფრო ძლიერი!“ ამ ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, ალ-ქუნისეულ ჯიხვს უთანასწორო ბრძოლაში, ადამიანის ხელით სიკვდილს თავის მოკვლაურჩევნია.

იბრაჰიმ ალ-ქუნი ყველაფერს, თითოეულ დეტალს საოცარი სიცხადით გადმოსცემს, მათ შორის გამორჩეულია ჯიხვის მზერა და თვალები. მაგალითად, ასე აღწერს თვითმკვლეელი ჯიხვის მზერას:

„ტანჯვის, სიძულვილის და უმწეობის ნაზავი“. ეს სამი სიტყვა ყველაფერს ამბობს ჯიხვის იმჟამინდელ მდგომარეობაზე. ახლა კი ჯიხვში ჩასახლების ფენომენს შევხვით, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „ქვიდან ნაჟურ სისხლში“, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო ცხადი ხდება სუფი დერვიშების ხილვებით და ცინის მოძღვრებით: „ადამიანის სწრაფვა ღვთაებრივი საფეხურის მიღწევისა, მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, თუ კაცი ცხოველის მდგომარეობას გაივლის...“

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჩემი აზრით, არსად არაა ჯიხვი ისეთი დიადი და გულწრფელი „ქვიდან ნაჟური სისხლის“ არცერ მონაკვეთში, როგორც „ოქროს ქვიშის“ დასასრულს, მესიად მოვლენილი უხაიადის გადასარჩენად. იგი არსაიდან, უცაბედად ჩნდება, მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა. ჯიხვის გამოჩენა გადაატანინებთ ყურადღებას უხაიადის მადევართ... ჯიხვი არ მისცემს საშუალებას კლდეებს შორის დამალული უხაიადის ჩრდილიც კი შესამჩნევი გახდეს მათთვის. აურევს და გააქრობს უხაიადის ნაფეხურებს და მის ნავალს სათავისოდ მონიშნავს. ეს ღვთაებრივი, მოაზროვნე ჯიხვი შესწირავს თავს უხაიადის სიცოცხლეს. ამ დროს, კი ჩნდება მაჰრული ამლაცი აქლემი, რომელსაც მხოლოდ სილამაზე აქვს ზეციური, გულით აზროვნებს და ამ წრფელი, სიყვარულით სავსე გულით გადადგმული ნაბიჯი გაწირავს მისი და მისი პატრონის უხაიადის სიცოცხლეს... და ისევ მზერა, საოცრად ლამაზად, დეტალებში აღწერს ალ-ქუნი უხაიადისა და ჯიხვის შეყრას, სწორედ ამ დროს შეიცნობს მის ღვთაებრიობას, ზეციურობას.

ალ-ქუნისათვის აქლემი თუ გზაა, ღმერთის, ალლაჰის გზის მანიშნებელი, ჯიხვი ღმერთთან მიახლოებას, სულის განწმენდასთან ასოცირდება, ამიტომაცაა მისი სამყოფელი ყველაზე ახლოს ღმერთთან. ჯადოსნური ქურციკი კი ამქვეყნიური მშვენიერებაა, მასში რაღაც საიდუმლო აქვს უფალს დავანებული, საიდუმლო მარცვალი აქვს ჩანერგილი.

ამ ყველაფრის მერე, როცა იცი, რომ ეს მწერლობა იქმნება შორს ჯადოსნური უდაბნოებისგან, ჩნდება ერთი ლოგიკური კითხვა, როგორ შეუძლია ამ გენიალურ მწერალს გააგრძელოს წერა უდაბნოსა და ამ ცხოველებზე ასეთი სიცხადით ცივი ალპების ხედებიდან?! ლოგიკურია და ამავე დროს ისევ და ისევ უდაბნოს სიყვარულით სავსე მისი პასუხი ამ კითხვაზე. ის ამბობს, რომ მისი მისია არ არის უბრალოდ უდაბნოზე საუბარი, ის ვარდება ბავშვობისდროინდელ სამოთხეში, გადაეშვება მოგონებებში... მაგრამ, თავად მოციქულიც რომ ყოფილიყო ვერ შეძლებდა დაეწერა სამოცი წიგნი ბავშვობის მოგონებებიდან... ამისთვის ის იყენებს სხვაგვარ მეხსიერებას, რაც სუფიებთან ისლამურ მისტიციზმშია, გაუთვინციობიერებლად მოიხმობს მთელს შინაგან მეხსიერებას, ამ მიზეზით უდაბნო, რომელიც მის გულში სახლობს, არ არის მის გულგარეთ არსებული უდაბნოს მსგავსი... ის ბევრად მისტიურია, სავსე შეგრძნებებით, სიყვარულით, ერთგულებით...

ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ ალ-ქუნის ბავშვობაშივე მოუხდა მშობლიური უდაბნოს დატოვება, მისმა რუსულმა განათლებამ და მრავალწლიანმა ევროპაში სახლობამ არ დაავიწყა პირველსაწყისი, ბედუინობა და არათუ დააკარგვინა მშობლიური

მიწისადმი სიყვარული და სწრაფვა, არამედ გაუმძაფრა კიდევ. ჩემი აზით, სწორედ ამ მონატრების წყალობით ახერხებს ეს გენიალური მწერალი საოცარი სიცხადით გამოხატოს სათქმელი და სული შთაბეროს უდაბნოს ცხოველთ.

## ავტორი - გიგა გიგაური

# აქადურ-არაბული ლექსიკური პარალელები გილგამეშის ეპოსის ასურული ვერსიის მიხედვით

აქადური ენა, ისევე, როგორც არაბული, სემიტურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება. აქადური, განსხვავებით არაბულისგან, მკვდარი ენაა, იგი ცნობილია ჩვ.წ.-მდე XXIV-XXI საუკუნეების ლურსმული დამწერლობის ძეგლებით. ხოლო, არაბული მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენაა. რადგანაც აქადური და არაბული ერთ სემიტურ ენათა ოჯახს განეკუთვნება, მათ შორის ლექსიკური მსგავსების არსებობა აშკარაა.

სანამ, უმალოდ ლექსიკურ პარალელებზე გადავიდოდე, აუცილებელია გილგამეშის ეპოსის შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნა. იგი გახლავთ ძველბაბილონური ეპოსი, რომელიც პირველ ეთიკურ-ფილოსოფიურ ეპოსადაა მიჩნეული მსოფლიოში. მასში შესულია არაერთი შუმერულ-აქადური რელიგიური თუ ლიტერატურული ტექსტი.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ლეგენდა გილგამეშზე ვითარდებოდა ძალიან დიდხანს. ეპიკური სიმღერები,

რომლებიც გილგამეშს ეძღვნებოდა, ერთმანეთისგან 1500 წლითაა დაშორებული. შუმერული სიმღერები გილგამეშზე ეკუთვნის ძვ.წ. III ათასწლეულის I ნახევრის დასასრულს, თუმცა ჩვენამდე მოღწეული ჩანაწერები 800 წლით ახალგაზრდაა. ამავე პერიოდისაა პოემის პირველი აქადური ჩანაწერები, რომლებიც ეკუთვნის ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო მესამედს. II ათასწლეულს განეკუთვნება პალესტინიდან და მცირე აზიიდან მოღწეული ნაწილები აქადური პოემისა, ე.წ. „პერიფერიული“ ვერსია, ასევე ფრაგმენტები მისი ხეთურ-ხურიტული თარგმანებისა. II ათასწლეულის დასასრულს და, ასევე, ძვ.წ. VIII-VII სს.დან ჩვენამდე მოაღწია ტექსტის საბოლოო რედაქციამ ე.წ. „ნინევიური“ ვერსიით, რომელიც აშურბანიფალის ბიბლიოთეკაში იყო დაცული.

ეპოსი ძირითადად უნდა შექმნილიყო ძვ.წ. XXIII-XX სს.ში, რადგანაც პოემაში არც ერთხელ არ მოიხსენიება მარდუქი, რომელიც ძვ.წ. XVIII საუკუნიდან გამოცხადდა უზენაეს ღმერთად. ასევე,

არ ჩანს ენლილის უპირველესი როლიც, რომელიც ურის III დინასტიის დროიდან (ძვ.წ. XXI ს.) აგრეთვე უზენაესი ღვთაებაა შუმერულ პანთეონში. ურუქში კი აქადური ენა გავრცელდა სარგონ აქადელის, ე.ი. ძვ.წ. XXIV-XXIII სს-ის შემდეგ.

პოემას აქადურ ენაზე სამი ვერსია აქვს: ყველაზე ძველია ე.წ. „ადრებაბილონური“. ეს ვერსია თარიღდება ძვ.წ. XXIII სს. პოემის მეორე ვერსიაა „პერიფერიული“ - ნაპოვნი ბოლაზ ქოიში. „პერიფერიულ“ ვერსიას შეიძლება მივაკუთვნოთ პოემის ხეთური და ხურიტული თარგმანები, რომელიც მიეკუთვნება ძვ.წ. XIV საუკუნეს. პოემის ძირითადი გამოცემა დამყარებულია მესამე ვერსიაზე, რომელსაც ეწოდება „ნინევიური“, პოვნის ადგილის მიხედვით, ასევე „ასურული“.

აშურბანიფალის ბიბლიოთეკის კატალოგი გვაუწყებს, რომ პოემა ჩაწერილია ვინმე სინლიკიუნინის მიერ. ეს სახელი ძალიან იშვიათი იყო და, შესაძლებელია, ეკუთვნოდეს ძვ.წ. II ათასწლეულზე უფრო ადრეულ ხანას. ძვ.წ. I ათასწლეულის II ნახევრამდე ვინმე სილიკიუნინი ითვლებოდა ურუქის ერთ-ერთი უძლიერესი ოჯახის წინაპრად.

რა საკვირველია, ის არ შეიძლება მივიჩნიოთ პოემის ავტორად. როგორც ჩანს, მან გადაამუშავა პოემა, რაც შეეხება პოემის XII, უკანასკნელ დაფას, იგი დამატებულია ძვ.წ. VIII საუკუნის ქურუმის, ვინმე ნაბუზუკუპკენუს მიერ, რომელიც სალიტერატურო და რელიგიური ტექსტების ცნობილი გადამწერი იყო. ამრიგად, პოემის ავტორი დღესაც არაა ცნობილი.

ქვემოთ განხილულია ლექსიკური პარალელები გილგამეშის ეპოსის ასურული ვერსიის მიხედვით.

I დაფის ასურული ვერსია იწყება შემდეგნაირად:

„ვინც სიღრმე იხილა“, Naqbu- „სიღრმე“, ან როგორც მკვლევართა უმეტესობა თარგმნის, „ყოველი“. მაგრამ ამ კონტექსტში უმჯობესია ეს სიტყვა პირველი მნიშვნელობით იქნას გაგებული, რადგან მომდევნო სტრიქონებში „ყოველი“ რამდენჯერმე სხვა სიტყვებითაა გადმოცემული: kalama, kullatu, საიდანაც kalama მივუსადაგოთ არაბულ სიტყვას كَلِّ (kullu) რაც მთელ, ყოველს ნიშნავს, ხოლო كَلِّمًا ...كَلِّمًا (kullama...kullama) ”რაც უფრო მეტი“, “მით უფრო მეტის” მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება naqbu -ს, იგი არის აგრეთვე ის წყარო, საიდანაც დასაბამს იღებს სიბრძნე, სიუხვე და სიკეთენი. სადაც ეპოსის მიხედვით, განმაჰაბუკებელი ბალახი იზრდება. ამ მხრივ გასათვალისწინებელია აქადური სიტყვა naqbum, რაც ნიშნავს „ყლორტს“, „სათავეს“. არაბული ძირი نَكَب (nakaba) განგმირვას, დაცემას, დამარცხებას, ჩაწვდომას, მიხვდომას ნიშნავს. نَكَبُ الدَّاهِر (nakabahu d-dahru) – „მან გამოსცადა ბედის დარტყმები“. ასევე იგი ნიშნავს „გზიდან ააცდინა“ – عَن نَاوِيلَاكِي (en na'wila'aki) თვითონ არსებითი სახელი კი უბედურებას ნიშნავს - نَكَبٌ (nakb).

მეთვრამეტე სტრიქონი: „განა მისი აგური გამომწვარი არ არის?“ - აგური აქადურად ასურულ ვერსიაში არის agurru, რაც ითარგმნება როგორც „გამომწვარი აგური“. ამ მხრივ საინტერესოა ქართულში შემოსული სიტყვა აგური, რომელსაც დღესაც ვიყენებთ. ტერმინი „აგური“ X საუკუნიდან გვხვდება მანამდე იგი

ალიზის სახელწოდებით იყო ცნობილი. შდრ. არაბულად *أجر* (ağurru).

II სვეტის მეათე სტრიქონში ვკითხულობთ:

„დოლის ხმაზე მხედრდება [მისი] სამწყსო“ - აქ ნახსენებია *pukku*. ამ სიტყვას თარგმნიან როგორც „დოლს“ ან „ბადეს“. იგი შესაძლოა ასევე იყოს ხის ბეჭედი ან ბურთი, რომელიც *mikku*-თან ერთად გამოიყენებოდა თამაშში. სწორედ XII დაფაშია იგი ნახსენებია *mikku*-სთან ერთად, რომელიც სარტყამი ჩხირებია. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, *pukku* ჩასაბერი ინსტრუმენტი უნდა იყოს. შესაძლებელია მას უკავშირდებოდეს არაბული *قب* (*būk*) საიდანაც მოდის ქართული „ბუკი“.

მეთოთხმეტე სტრიქონი: „გალავნიანი ურუქის [მწყემსია გილგამეში?] - აქ *rē'u* - „მწყემსი“, შევადაროთ არაბული *عرا* (*rā'*) რასაც იდენტური მნიშვნელობა აქვს.

ოცდამეხუთე სტრიქონი: „ადგა გილგამეში სიზმრის ასახსნელად, ეუბნება დედამისს“ - *šunata ipaššar* „სიზმრის განსამარტავად“. *Paššaru* ტექნიკური ტერმინია სიზმრის „ახსნის, ინტერპრეტაციისათვის“. აქედურ *pašaru* -ს (ჩვენს პასაჟში იგი შეიძლება ნიშნავდეს აგრეთვე სიზმრის „მოთხრობის გადაცემას“) აქვს ნიუანსი - „დახსნა, განთავისუფლება“. თუკი ამ პასაჟში სიზმრის „მოთხრობის გადაცემას“ ვიგულისხმებთ, უნდა გავითვალისწინოთ არაბული ზმნა *بسر* (*basara*), რაც ნიშნავს „ამბის მოყოლას ნაადრევად“. *šutta pašaru* ასევე შეიძლება გულისხმობდეს როგორც სიზმრის ინტერპრეტაციას, ასევე განთავისუფლებას იმ შეუცნობელისგან, რომელიც სიზმარში იმალება და ვიდრე ფარულია,

ადამიანისთვის ზიანის მოტანა ძალუმს. არაბულად *فشار* (*fašara*) ნიშნავს იტრაბახა, მოიტყუა. ამ მხრივ საინტერესოა სიზმრის ღვთაება ზაქიქუ, რომელიც შუმერულ მითოლოგიაში მატყუარას ნიშნავდა. კერძოდ კი, *ziiq/qu* ნიშნავს ქარს, ბრიზს. ბაბილონურ პერიოდში კი „მოჩვენებას“, იგი იყო სიზმრების ღმერთი.

ოცდამეათეექვსმეტე და ოცდამეჩვიდმეტე სტრიქონები:

„მოდი, წაგიყვანო გალავნიანი ურუქში“ ბრწყინვალე სახლში, ანუსა და იშთარის ბინად“.

*Ana bīti elim* „ბრწყინვალე (ან ღვთაებრივ) სახლში“. *Bītu* აქ იგულისხმება, როგორც ტაძარი, თუმცა მსგავსება არაბულ *بيت* (*bait*)-თან აშკარად ჩანს, რაც ასევე „სახლს“ ნიშნავს. შეადარეთ არაბულ *بيت الله* (*baītu allah*), რაც სიტყვა-სიტყვით „ღმერთის სახლს“ ნიშნავს; იგი ალ ჰარამის მეჩეთის ეპითეტია.

ორმოცდამეშვიდე სტრიქონი: „როგორც ცოლს, ისე რომ მოეფერე მას“ - *tahpup* „მოეფერე“ არ არის ზუსტი თარგმანი. აშკარაა ამ სიტყვის სექსუალური მნიშვნელობა. ეს სიტყვა ძირეულად და სემანტიკურად უახლოვდება ებრ. *Habab* „მოფერება“. მისი მნიშვნელობაც გადმოიტანეს აქედური *hapapu*-ს ქართულად თარგმნისას. შდრ. არაბულად *حب* (*habbaba*) ნიშნავს „შეყვარა“, ხოლო *حبيب* (*habīb*) - „საყვარელი“, „შეყვარებული“. *تحب* (*thahabbaba*), რაც ქართულად ნიშნავს „სიყვარულის გამოვლინებას“, „სიყვარულის მიღწევას“.

II დაფის ასურული ვერსიის ოცდამეთხუთმეტე სტრიქონში ვკითხულობთ: „...გალავნიანი ურუქის ქუჩაში“ - *sūqu* „ქუჩა“. ქართულში ეს

სიტყვა „შუკას“ სახით უძველესია, რომელიც ჩვენს დღევანდელ ენაშიც ცოცხლობს. შეადარეთ: არაბული سوق (Sūḳ) – „ბაზარი“, شقّ الطریق (šakka atṭārīḳ) – „გზის გაჭრა“, شاقّ (šakka) – „დევნიდა, აჩქარებდა, ატარებდა, მიჰყავდა, გააგზავნა სადღაც“.

IV სვეტი - მეცამეტე სტრიქონი: „შამხათ, მოიყვანე კაცი! რატომ მოდის აქეთ?“

Šamkat როსკიპის სახელია, ხოლო uk-ki-ši ფრო ნიშნავს „გააგდე“, „განდევნე“, ვიდრე „მოიყვანე“, მაგრამ ტექსტში მას საწინააღმდეგო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ანუ „გამოაგდე (ჩემსკენ)“. Akašu კი აქედურად ნიშნავს „სვლას ან წასვლას“. შეადარეთ არაბულად كش (kašša), „გაგდებას“ ნიშნავს.

III დაფის IV სვეტი, ოცდამესამე სტრიქონი: „ღმერთებმა აიყვანეს იგი [...]“, მიუხედავად ბუნდოვანებისა, შეიძლება u-rab-b[a(?)-a(?)] ითარგმნოს:

„ზრდიდნენ [ტადარში]“. ამ იდეას ამყარებს არაბული ზმნა راب (rabba), რაც „აღზრდას“ ნიშნავს.

IV სვეტის მეხუთე სტრიქონი: „ვინ ამალღდება, მეგობარო, სიკვდილზე?“

მხოლოდ ღმერთი ზის მარადიულად შამაშთან ერთად“.

Šamaš არის მზის ღმერთი შამაში, აქედურ მითოლოგიაში, მისი შუმერული ანალოგია მზის ღმერთი უთუ. Šamē აქედურად არის ცა, ეს სიტყვა მიესადაგება არაბულ سماء – (samā) - „ცა“, ხოლო „მზე“ – شمس (šams).

III დაფის ნეობაბილონური ფრაგმენტიდან მეორე სტრიქონი:

„აღდგნენ დიდი მრჩევლები [ურუქისა]“. თუკი ძველბაბილონურ და ასურულ ვერსიებში „უხუცესთა“ გვხვდება, ნეობაბილონურ ფრაგმენტში

გვხვდება MA.LIK.MEŠ, რაც ნიშნავს „მრჩევლებს“. ისინი არსებითად იგივე უხუცესები არიან, რომელთაც აქვთ უფლება და ვალდებულება თავიანთი აზრი გაუზიარონ მეფეს. აქედურად māliku ნიშნავს მრჩეველს, ხოლო malikūtu – „მმართველობას, წესს“. არაბულად ملك (malik), მრ.რ. ملوك (mulūk)) ნიშნავს მეფეს, მონარქს. ملك ძირითადი დაკავშირებულია მმართველობასთან, ფლობასთან. საინტერესოა, უკავშირდება იგი, თუ არა უხუცესთა თანამდებობას, იყო თუ არა ეს თანამდებობა აქედურ ან მანამდე პერიოდში იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც მისი არაბული მნიშვნელობაა.

IV დაფის V სვეტის მეორმოცე სტრიქონი: „ტყის პირს მიადგა ორი, შეწყდა მათი სიტყვები, ისინი შეჩერდნენ“. Parku ნათარგმნია პირობითად, როგორც „ტყის პირი“, „შემოკავებული ადგილი“, „აქედან ბალი“. შეადარეთ ინდოევროპული წარმოშობის სიტყვას „park“, რომელიც მომდინარეობს ლათინური „parricus“, რაც ასევე ნიშნავს ქართულად „პარკს“. შესაძლებელია სტრიქონის სხვაგვარი აღდგენაც “[wa-a]r-qi” „მწვანე მთა“. არაბულად قرأ (ḡarak) - ერთ-ერთი მნიშვნელობით ნიშნავს ფოთოლს, ხოლო ზმნა قرأ (ḡaraka) - ფოთლებით დაფარვას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ იგულისხმება რაიმე ბალის მსგავსი, თუნდაც ტყის პირი.

მეხუთე დაფის მესამე სვეტის მეოთხე სტრიქონი:

„ძილი, ღამის ღვარი, დაეცა მას“ – šittum riḫāt nišē, როგორც ჩანს, ძილი თხევად სუბსტანციად არის მიჩნეული. ზმნა riḫū და მისგან მომდინარე სახელები დაკავშირებულია ძილთან. არაბულში ზმნა راحا (rahā) ნიშნავს წყალში არევას.

V დაფის ძველბაბილონური ფრაგმენტი ტელ ჰარმალიდან, 9 სტრიქონი: „... მასვა წყალი თავის მათარიდან“ - პირველ სიტყვას რამდენაირადმე კითხულობენ: ú-ba-?? Qi-il (მნიშვნელობა გაუგებარია), ú-ša-ki-il “აჭამა“ - მისი წაიკითხვის ერთ-ერთი ვერსიას, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია არაბული ძირი ʾakala, რაც ჭამას ნიშნავს. თუკი აღმოვაჩინოთ მსგავსებას ამ ორ სიტყვას შორის, მაშინ სტრიქონში აზრობრივი კავშირი არ გაწყდება.

მეთერთმეტე სტრიქონი: „არ არის ხარი, ყველაფერი შეცვლილია“ - nukkuru „სხვად გადაქცევა, შეცვლა“. იხმარება სიზმრების ინტერპრეტაციაში. შესაძლოა იგი გამოიყენებოდეს „სიმბოლური, შეცვლილი მნიშვნელობის“ აზრით, როგორსაც საგნები სიზმარში იღებენ, ასევე ბოლაზ-ქოის ფრაგმენტშიც. არაბულად نكرا (nakira) “არ ცნობას”, “არ ცოდნას”, “აუღიარებლობას“ ნიშნავს. نكرا (nakkara) II თემაში კი ნიშნავს „სხვად გადაქცევას“, „დაფარვას“, „შენიღბვას“, ხოლო არსებითი სახელი კი უარყოფას.

VI დაფის მერვესტრიქონი: „ნაყოფი შენი ძღვნად მომიძღვენი მე!“

Inbu „ნაყოფი“, „ყვავილი“, „სექსუალური მიმართვა“. იგივე სიტყვა ძველბაბილონურ სატრფიალო დიალოგში მიუთითებს ქალისა და მამაკაცის სიმწიფეზე. იგი ასევე ნაყოფის მნიშვნელობითაა გამოყენებული „ქებათა ქებაშიც“. Inbu მიღებულია შუმერული სიტყვა bilga-დან, რაც აღნიშნავდა ნაყოფს, ხილს. არაბულ ენაში نابت (nabāt) ნიშნავს მცენარეს.

„მოდი ჩამოგიტვლი შენს საყვარლებს“ - ħarmu “საყვარელი, კურო“. იგივე სიტყვაა, მხოლოდ მამრ. სქესში, რაც

ħaimtu „როსკიპი ქალი“ ან „ჰიეროდულა“. შეადარეთ არაბულად حريم (harīm) „ცოლი“.

სამოცდამეშვიდე სტრიქონი: „თვალი დაადგი შეგიყვარდა“ ta-tal-qiš-šu ვთარგმნით R. Campbell Thompson - ის მიხედვით, რომელიც ამ ზმნას აკავშირებს არაბულ ზმნასთან اعلق (‘alika), تعلق (ta‘alaka) „შეყვარება“, თუმცა დაკავშირება შორეული და საეჭვოა, ამ კონტექსტისათვის შეუფერებელი მაინც არ არის.

სამოცდამეცხრე სტრიქონი: „გამოიყოს შენი ხელი, შეეხე ჩვენს სარცხვინელს“ - ħardat -ni “სარცხვინველი ჩვენი“. R. Campbell Thompson აკავშირებს არაბულ حاردا (Ĥarida), რაც ნიშნავს „უმწიკვლობას, მოკრძალებას, ხოლო حاردا (ħarid) – „ქალწული“.

ას სამოცდამეცხრე სტრიქონი: „ხარს მარჯვენა“ ამოჰგლიჯა და მისკენ (იშთარისკენ) გადააგდო“.

Imittu „მარჯვენა“ იგულისხმება „მხარი, ბეჭი“. ხშირად იხსენიება რიტუალურ ტექსტებში მსვერპლშეწირვასთან დაკავშირებით და ცხოველის სხვა ნაწილებთან ერთად გარკვეულ როლს ასრულებს. ზოგიერთ მკვლევარს imittu გამოჰყავს imnu-დან „მარჯვენა“, არამედ emēdu-დან „დგომა, დაყრდნობა“. არაბულად يمين (īamīn) - „მარჯვენას“ ნიშნავს.

ას სამოცდამეცხვიდმეტე და ას სამოცდამეტვრამეტე სტრიქონები: „გზას დაადგენ და წამოვიდნენ, ურუქის ქუჩებში შევიდნენ“ -

ფლექსიური რითმა - iṣṣabtūnimma illakūni Suqa ša Uruk rakbūni

Rakābu ნიშნავს „მგზავრობას (ამხედრებას) ცხენზე, ეტლზე, ხომალდზე“ და სხვ. თუმცა ეპოსში არსად არ არის ნახსენები, რომ გმირები



ოდესმე შემსხდარიყვნენ ეტლზე ან ცხენზე. აქ მაინც გამოყენებულია ეს ზმნა. ეპოსი იმ ეპოქას შეეხება, როდესაც მესოპოტამიაში ცხენი და საერთოდ სახედარი მომინაურებული არ იყო. გილგამეში და ენქიდუ მხოლოდ და მხოლოდ ქვეითად მებრძოლი გმირები არიან. ამიტომ rakbuni -ის ობიექტია šuqu „ქუჩა“ და არა ეტლი, როგორც სალონენი თარგმნის: „ისინი გაუდგნენ ურუქის ქუჩას“. თუმცა ამავე დაფაში პოეტის მიერ დაშვებულია ანაქრონიზმი, როდესაც ახსენებს ეტლსა და „ომში დიდებულ ცხენს“, რაც გვიანი პერიოდის დანამატი უნდა იყოს. შევადაროთ არაბულ ზმნას ركب (rakiba), რაც ნიშნავს „შეჯდა“, „დაჯდა“.

ასურული ვერსიის VII დაფის III სვეტის მეშვიდე სტრიქონი:

„Šulum palēia liqtabi an dūri dāri“

„ჩემი მმართველობის სიმშვიდე ბრძანოს უკუნითი უკუნისამდე“.

Šulum შევადაროთ არაბულად سلام (salām) – „მშვიდობა“.

VII დაფის IV სვეტის ფრაგმენტი მეგიდოდან (უაკანა მხარე) მესამე სტრიქონი:

„დაავლე, გილგამემ, [ხელი ნა]ჯა[ხს(?)]. „ნაჯახს“ უკიდურესი ვარაუდით აღადგენენ [ha-az] zi -[na], რამდენადაც სტრიქონის თავშია ahuz „აილე, ხელი დაავლე“. არაბულად أخذ (ahada) ერთ-ერთი მნიშვნელობით „აღებას“ ნიშნავს.

მეცხრე სტრიქონი: „და მესამე დღეა საწოლზე მას“ - šalša ūma ma „მესამე დღეს“. შევადაროთ: არაბულად „მესამე“ – ثالث, ხოლო „დღე“ يوم (iaum).

VII დაფის I სვეტის მეოთხე სტრიქონი:

„[დაგტ]ირიან მდინარე ულას წყლები, რომლის ნაპირებზე [დავდიოდით]!“

nār u-la-a - ში ვგულისხმობთ მდინარე ულას, რომელის ჩაუვლის ელამის ქალაქ სუზას და უერთდება ტიგროსს. Nār დეტერმინატივი აღმნიშვნელია მდინარისა, რაც არაბულად არის نهر [nahr] - ე.ი. „მდინარე“.

VIII დაფის V სვეტის ფრაგმენტი სულთან-თეფედან, წინა მხარე, მეცხრე სტრიქონი:

„გიტიროს დათვმა, აფ[თარმა, ჯიქმა]“.

Nimru – „ჯიქი“, „ფოცხვერი“, „ვეფხვი“. საზოგადოდ ვეფხვის ოჯახის მტაცებელი ცხოველი. არაბულად: نمر (namir) ნიშნავს „ვეფხვს“.

IX დაფის III სვეტის მესამე სტრიქონი: „უთნაფიშთისკენ [მივდივარ], ჩემი წინაპრისაკენ“ – „მამა“ abū გამოყენებულია „წინაპრის“ მნიშვნელობით. أب (ab) არაბულად „მამას“ ნიშნავს.

X დაფის ასურული ვერსიის I სვეტის მეოთხე სტრიქონი:

„საბურველი ბურავს, [.....]“.

kutummi kuttumat. არაბულად كتم (katama) ნიშნავს „დაფარვას, დამალვას“.

XI დაფის ას მეთერთმეტე სტრიქონი: „არავინ იხილა ძმა თვისი“ - ul immar ahū ahāšu.

ahū აქადურად ნიშნავს ძმას და ასრულებს ნაცვალსახელის ფუნქციას, არაბულში „სხვა, მეორე“. არაბულად أخ [ah] – „ძმა“, أخرى [uħra] – „სხვა“, „დანარჩენი“.

ას მეთხუთმეტე სტრიქონი:

„ღმერთს შეაჩვევ (მსხვერპლს), ძალღვივით დაგიწყებს დევნას“.

როგორც ჩანს, ამგვარი შედარება ღმერთების წინმაშე დიდ მკრეხელობად არ ითვლებოდა. “Ila tulam-masuma kī kalbi ittanalak” (აქადურად). შევადართ არაბულად **كلب** (kalb) „ძაღლს“ ნიშნავს. ხოლო **kī kalbi** ნიშნავს „ძაღლივით“. შეადარეთ არაბულად **كالكل** (ka kalb) ქართულად ნიშნავს „ძაღლივით“.

X დაფის II სვეტი:


„და შუაში სიკვდილის წყლებია, რომლებიც კეტავენ მის მისადგომს“

„სიკვდილის წყლები“ – **mē muti**. წყალი არაბულად არის **ماء** (mā') ხოლო სიკვდილი **موت** (maūt).

ამრიგად, რადგანაც არაბული და აქადური ერთ სემიტურ ენათა ოჯახს განეკუთვნება, მათ შორის ლექსიკური პარალელების დადგენა ნამდვილად შესაძლებელია. ვფიქრობთ, რომ რომელიმე აქადური ტექსტის გარჩევასა თუ თარგმანისას, აუცილებელია სხვა რომელიმე სემიტური ენის დახმარებაც, რადგანაც ამ უკანასკნელმა შესაძლოა თარგმანს მეტი სიღრმე, მრავალფეროვნება და შინაარსი შესძინოს.

**ავტორი - ალისა არჩვაძე**

# რელიგია



# საიქიოს მარადიული გააზრება ოსირისისა და ისიდას სიყვარულის მიხედვით

ძველი აღმოსავლეთის სამყარო ითვლება მსოფლიო ცივილიზაციის კერად. ეს არის კაცობრიობის ისტორიის უძველესი ეტაპი, რომლის მრავალფეროვანმა კულტურამ შვა მრავალი ერი. ძველი აღმოსავლური სამყაროს სახელმწიფოები განსხვავდებოდნენ ეთნოსით, ყოფით, კულტურით, აზროვნებითა და მითოლოგიით. მათ შორის უნდა გამოვარჩიოთ ეგვიპტე, რომელიც ამ სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო.

ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით, ყველა მოვლენის მიზეზს წარმოადგენდა არამატერიალური ცნობიერებისათვის მიუწვდომელი სულიერი საწყისი. უძველესი ჰელიოპოლისის კოსმოგონიის მიხედვით პირველყოფილი ქაოსიდან ( ნუნი ) წარმოიშვა შემოქმედი - ატომი, რომელმაც შექმნა შუ ( ჰაერი ) და ტეფნუთი ( სისველე ). მათ, თავის მხრივ, შექმნეს გები ( მიწა ) და ნუტი ( ზეცა ), ხოლო ამ ღმერთების წყვილმა დასაბამი მისცა შემდეგი თაობის ღმერთებს - ოსირისსა და ისიდას, სეტხსა და ნეფთიტას - ეგვიპტური პანთეონის უმნიშვნელოვანესს ღვთაებებს. ეგვიპტისთვის რელიგია იყო ყოველდღიური ცხოვრების ახსნა, მათი ცხოვრებისა და ყოფის ამოსავალი წერტილი, პოსტულატი. მათთვის ყოველი მოვლენა დაკავშირებული იყო ზეციურ ღვთაებებთან. ჩვენ, როგორც ვიცით, მითოლოგიური ღმერთები ადამიანებს ასწავლიდნენ სამეურნეო-კულტურულ საქმიანობას, ამიტომაც ეს ღმერთები ითვლებოდნენ კულტურულ გამრეზად. ადამიანებს მათ მიმართ გააჩნდათ კრძალვა, რადგანაც ისინი

ჩვეულებრივი ხალხისთვის იყვნენ მარადიულობის სიმბოლოები. ეგვიპტური მითოლოგია წარმოადგენს ერთგვარ წინაპირობას შემდგომში ჩამოყალიბებული ელინისტური ხანისა და ისლამური რწმენისათვის. ამ მხრივ, აღსანიშნავია მითი სამყაროს შექმნის შესახებ.

ეგვიპტურ პანთეონი გამოირჩევა მრავალფეროვნებით. ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენენ ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში კარგად ცნობილი ღმერთები- ოსირისი და ისიდა. ეგვიპტური მითოლოგიის თანახმად, ოსირისი მითოლოგიური დრამის ცენტრალური პერსონაჟი იყო, რომელიც გადმოსცემს მის სიკვდილს, აღდგომას და შემდეგ მკვდართა ქვეყანაში გამეფებას. მისი იმქვეყნიური მდგომარეობის შესახებ თავისებური წარმოდგენა გააჩნდათ ძველ ეგვიპტელებს. ეგვიპტელთა წარმოდგენით, ყოველი ფარაონი სიკვდილის შემდეგ ოსირისი ხდება. ოსირისი იყო პირველი ადამიანი, რომელიც ადამიანის სხეულით ცნობიერების პირველ საფეხურზე არსებობდა. შემდეგ ის მოკლეს და მისი სხეული დაანაწილეს. მისი ნაწილების კვლავ შეერთების შემდეგ ოსირისი უკვდავების საფეხურზე გადავიდა. მან ცნობიერების სამი საფეხური გაიარა: პირველი - ერთიანობის, მეორე - საკუთარი თავისგან განცალკევების, რის შემდეგაც, მესამე საფეხურზე, მოხდა ყველა კომპონენტის კვლავ შეკრება. ამ პროცესმა აღადგინა მისი ერთიანობა და უკვდავებამდე მიიყვანა, რის შემდეგაც აღარ გარდაცვლილა. ყველა საფეხურის გავლის შემდეგ, ოსირისი დაბრუნდა უკან.

ჰელიოპოლისის კოსმოგონიური სისტემის თანახმად, ოსირისი (გების და ნუტის ერთ-ერთი შვილი) ღმერთების მესამე თაობას მიეკუთვნებოდა. ამავე სისტემის მიხედვით, მის და-ძმებს შორის გამოირჩეოდნენ: სეტხი, ნეფტიდი და ისიდა. ეს უკანასკნელი, იმავდროულად, ოსირისის ცოლი იყო. ოსირისი კულტის განვითარების ადრეული საფეხურები ბუნდოვანია. სავარაუდოდ, უძველესი დროიდან იყო ნილოსის აღმოსავლეთ დელტის ლოკალური ხტონიური ღვთაება, ასოცირებული სოფლის მეურნეობასთან და ბუნების ყოველწლიურ ციკლთან. მისი მკვდრეთით აღდგომის პერიოდი ემთხვევა ნილოსის ადიდებას, რაც დაკავშირებულია მოსავლიანობასთან. პირველად, ოსირისის ასოცირება მიცვალებულთა კულტთან მეხუთე დინასტიის უკანასკნელი პერიოდის დიდგვაროვანი მოხელეების სამარხების წარწერებში ხდება. ეგვიპტელებს სწამდათ, რომ დასავლეთის კარიბჭესთან, მაღალ ტახტზე იჯდა ოსირისი. სიკვდილის ღმერთს მასთან გარდაცვლილები მიჰყავდა, რომლებიც შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამდნენ:

„მე ხალხისთვის ბოროტება არ მომიტანია“,

„არ მიქურდავს“,

„არ მიყაჩაღია“,

„არ მომიკლავს და მოკვლა არ მიბრძანებია“,

„არავისთვის ტანჯვა-წამება არ მიმიყენებია“,

„სუსტი არ დამიჩაგრავს“.

მეექვსე დინასტიის საწყის პერიოდში, ის უკვე მტკიცედ იმკვიდრებს ადგილს მიცვალებულთა ლოცვებში.

თავდაპირველად, ოსირისს მოიხსენიებდნენ, როგორც “ბუსირისის ბატონს”. ცოტა მოგვიანებით, ის შეერწყა აბიდოსის მიცვალებულთა ღმერთს ხენტიმენტიუს და მიიღო მისი ეპითეტები. “აბიდოსის ბატონი” და “დასავლეთის პატრონი”. ამის შემდეგ, ოსირისი უფრო დიდ ღვთაებად გარდაიქმნება. ის ხდება საიქიოს სამყაროს ერთპიროვნული მმართველი და იკავებს ანუბისის ადგილს. პირველი გარდამავალი პერიოდის შემდეგ, როცა მიცვალებულთა კულტთან დაკავშირებულმა წარმოდგენებმა სერიოზული დემოკრატიზაცია განიცადა, ოსირისთან წარჩინებული ეგვიპტელების გაიგივებაც ხდებოდა, რომ არაფერი ვთქვათ ფარაონებზე. ღმერთები, რომლებიც ოსირისთან ერთად ოჯახს ჰქმნიდნენ, იყვნენ სეტხი, ისიდა, ნეფტიდა და ხორი. ამ ჯგუფთან დაკავშირებული იყო მითი ძალაუფლების მემკვიდრეობითობაზე, მაგრამ განსხვავებით თავისი წინაპრებისაგან, მას ჰყავდა ძმა და მეტოქე სეტხი. როგორც ცნობილია, სეტხმა შურის გამო მოკლა თავისი ძმა და დაიკავა მისი ადგილი. ოსირისის სიკვდილთან დაკავშირებით ცნობილია ორი მითი: პირველი, რომლის თანახმად, სეტხმა კიდობანში ჩასვა ოსირისი და ნილოსს გაატანა. იგი ისიდამ იპოვა ნილოსის ნაპირზე და საციცოხლი ძალა ჩაუნერგა მას, რათა შური ეძიათ სეტხზე. ხოლო, მეორე მოსაზრების თანახმად, სეტხმა 14 ნაწილად დაანაწევრა ოსირისის სხეული და მიმოფანტა ეგვიპტეში. ისიდამ და მისმა დამ, ნეფტიდამ, დიდი ხნის ძებნის შემდეგ შეაგროვეს ოსირისის სხეულის ყველა ნაწილი და აბიდოსში მიწას მიაბარეს. ამის შემდეგ, აბიდოსი მკვდართა ქალაქად მოიხსენიებოდა. შემდეგ იშვა ხორი,

რომელმაც შური იძია სეტხზე და სიცოცხლის ძალა დაუბრუნა ოსირისს, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი თქვა სააქაოზე და მარადიულ სამყოფელში გადავიდა. მარადიული არსებობა გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტეში ადამიანის სულიერ საწყისთან იყო დაკავშირებული. თანდათან ჩამოყალიბდა წარმოდგენა, რომ მარადიული ნეტარება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მათთვის, ვინც ცხოვრებას მორალური ნორმების შესაბამისად გაატარებდა. ასეთმა წარმოდგენებმა წარმოშვეს "განმსჯელის" საჭიროება, რომელიც გარდაცვლილთა სულის განსჯას უხელმძღვანელებდა. განსჯის დარბაზში დაშვებამდე მას (გარდაცვლილს) უნდა გაეცა პასუხები შეკითხვებზე, რომლებიც ავლენდა, თუ რამდენად გააზრებული ჰქონდა მას საკუთარი ადგილსამყოფელის შესახებ. ამ დარბაზს ეგვიპტელები "ორივე მათის დარბაზს" ეძახდნენ. განსჯის დარბაზში ოსირისი თავის ტახტზე იყო დაბრძანებული. მის გარშემო იყო 42 მოსამართლე. ეს რიცხვი, სავარაუდოდ, ეგვიპტის 42 ნომს შეესაბამებოდა. ოსირისის წინ იდგა სასწორი, რომელზეც გარდაცვლილის გული უნდა აეწონათ. სასწორის მეორე თეფშზე იყო ბუმბული, რომელსაც წონა საერთოდ არ ჰქონდა. იმავდროულად, ბუმბული სიმართლის ქალღმერთის მათის სიმბოლოც იყო. უცოდველი და მართალი გული ეგვიპტელის წარმოდგენით, ბუმბულზე მსუბუქი უნდა ყოფილიყო. სასწორის მეთვალყურე იყო თოტი. ოსირისთან გამოცხადებული გარდაცვლილი ცოდვებისაგან განცხადებულად ითვლებოდა. ოსირისის მარადიულობას თავისი მიზეზები გააჩნდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო იმ დიდი

სიყვარულით, რაც მას გააჩნდა ისიდას მიმართ. სწორედ ისიდა იყო ოსირისის მარადიულობის უშრეტე წყარო, რაც მათ შორის დიდი სიყვარულით გამოიხატებოდა. ისიდა (ძველ ეგვიპტურად „ისეტ“ ან „ასეტ“) — ძველი ეგვიპტის უზენაესი ღვთაება, ოსირისის და და ცოლი იყო. სწორედ ოსირისთან არის დაკავშირებული მისი გასაოცარი აღზვევება. იგი მოხსენიებულია, როგორც მოყვარული დედა და ერთგული მეუღლე. ამასთანავე გამოირჩეოდა დიდი ჯადოქრობით. ამ თვალსაზრისით, იგი თრდოთთან არის გაიგივებული. ისიდა იყო ნაყოფიერების, დედობის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ქალღმერთი. მისი წარმომავლობა ბუნდოვანია. ისიდას შესახებ ცნობებში ნათქვამია, რომ "ისიდა უფრო ჰკვიანია, ვიდრე მილიონი ღმერთი". იგი იყო მოყვარული დედა, ერთგული მეუღლე და დიდი ჯადოქარი, რომელსაც შეეძლო შვება მოუტენა სნეულისთვის. ისიდა პოპულარული გახდა არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ მთელ ძველ სამყაროში. ელინისტურ ეგვიპტეში მას ბერძნებაც ეთაყვანებოდნენ. აპოლონის "ოქროს ვირში" ერთ-ერთი პერსონაჟი მიმართავს ისიდას "შენ ხარ წმინდა და ადამიანთა მოდგმის მარადიული მშველელი". ჩვ.წ.-მდე 50 წელს, როცა გადაწყდა რომში ისიდას ტაძრის დანგრევა, ვერ მოიძებნა საკმაო რაოდენობის ადამიანი ამ სამუშაოს შესასრულებლად. ბერძნულ-რომაულ ეპოქაში ისიდას ტაძარში კუნძულ ფილეზე არ წყდებოდა მომლოცველების ნაკადი, რომელთა შორის იყვნენ: ეგვიპტელები, ბერძნები და რომაელები. ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ პერიოდშიც არ შემწყდარა ისიდას თაყვანისცემა.

ოსირისისა და ისიდას ფუნქციები სამყაროს მიმართ, შეიძლება ითქვას, რომ ერთი შეხედვით ურთიერთსაწინააღმდეგოა, მაგრამ მეორე მხრივ, ისინი ავსებენ ერთმანეთს. ერთი არის საიქიოს მბრძანებელი, ხოლო მეორე ადამიანთა მოდგმის „მშველელი“. ისიდას მისწრაფება კვლავ ადადგინოს გარდაცვლილი ოსირისი და მიანიჭოს მას მარადიული უკდავება, სამყაროს მარადიულობაზე მიუთითებს. მათი ოჯახი იყო ერთგვარი მიკროსამყარო, სადაც ხდებოდა ამქვეყნიური და, ამასთანავე, გარდაცვლილთა სამყაროს მარადიულობის გააზრება. ეგვიპტურ მრავალრიცხოვან ტექსტებთან და პლუტარქესა და ჰეროდოტეს ნაწერებთან ერთად, ოსირისის და სხვა ეგვიპტური ღმერთების შესახებ კიდევ ერთი წყარო არსებობს. მისი ავტორია დიოდორე სიცილიელი (90-21 წწ ჩვენს წელთაღრიცხვამდე), იულიუს კეისრის თანამედროვე და სიცილიის ბერძენი მოქალაქე. მის წიგნში „ეგვიპტის სიძველეები“, დიოდორე სიცილიელი პირველად აცხადებს, რომ ოსირისი მზეა და ისიდა მთვარეა: „როცა უძველესმა მადლით აღსავსე ეგვიპტელებმა ცას ახედეს, მიხვდნენ, რომ ორი ღმერთი: მზე და მთვარე, იყვნენ პირველყოფილნი და მარადიულნი; და დაარქვეს პირველს ოსირისი და მეორეს ისიდა... (Siculus, 1990:14). დიოდორე სიცილიელმა სწორად შენიშნა მზისა და მთვარის გაიგივება ოსირისთან და ისიდასთან, როგორც მარადიულობის ორ სიმბოლოსთან, რომლებიც მზისა და მთვარის მსგავსად ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებენ.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ეგვიპტური მითოლოგია იყო ერთგვარი

შთაგონების წყარო სხვადასხვა რელიგიებისათვის. ოსირისისა და ისიდას პერსონაჟების გაიგივება შესაძლებელია შუმერულ მითოლოგიასთან, ასევე ქრისტიანულ სარწმუნოებასთან. შუმერულ მითოლოგიაში არიან დუმუზი და ინანა. დუმუზი იყო ღვთაებრივი მწყემსი, ნაყოფიერების ღმერთი შუმერულ პანთეონში, ინანას (აქად. იშთარი) საყვარელი და ქმარი. დუმუზი მწუხარებას მიეცემა ინანას დაღუპვის გამო, მაგრამ მიწისქვეშეთიდან ინანას დაბრუნების შემდეგ, ქალღმერთი, თავის სანაცვლოდ, დემონებს დუმუზის წაყვანის ნებას რთავს. მოგვიანებით, ინანა ნანობს საკუთარ გადაწყვეტილებას და ბრძანებს, რომ დუმუზი მიწისქვეშეთში ნახევარ წელს გაატარებს, ხოლო წლის მეორე ნახევარს სააქაოში. ხოლო, რაც შეეხება ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ოსირისის გაიგივების საკითხს, იესოც ოსირისის მსგავსად იყო ხორცშესხმული ღმერთი და მოიაზრებოდა ადამიანთა მხსნელად. ოსირისს ადამიანური ჰიპოსტასი ჰქონდა. „ის ღმერთია სამოთხესა და ჯოჯოხეთში, მაგრამ დედამიწაზე გამოჩნდა, როგორც ადამიანი...“.

**ავტორები - ბაჩანა რუხაია და ბექარ ბაინდურაშვილი**

# ბაალიზმი ქანაანურ რელიგიაში და მისი კავშირი ძველ აღთქმასთან

ქანაანი, ბიბლიის მიხედვით, ებრაელთათვის ღმერთის მიერ აღთქმული მიწა, იყო სახელწოდება იმ ტერიტორიისა, რომელიც მოიცავს თანამედროვე სირიას, ლიბანს, ისრაელსა და პალესტინას. იგი თითქმის მთლიანად იყო დასახლებული სემიტი ხალხით.

ქანაანელთა ცხოვრებასა და რელიგიაზე რამდენიმე წყარო მოგვითხრობს, მათ შორისაა ძველი აღთქმა, ძველი ბერძენი ისტორიკოსების წერილები (ფილონ ბიბლოსელი) და რას-შამრას ფირფიტები, რომლებიც აღმოჩენილ იქნა 1928 წელს უგართში, ჩრდილოეთ სირიაში. ქანაანური მითები და ლეგენდები, რომლებიც გადმოცემულია ამ ფირფიტებში, ძირითადად იყოფა სამ ნაწილად. ყველაზე დიდი ჯგუფი მოიცავს ბაალის თავგადასავლებსა და მის ურთიერთობას სხვა ქანაანური პანთეონის ღმერთებთან.

რაც შეეხება ძველ აღთქმას, აქ ბაალის შესახებ დაახლოებით 89 ცნობა გაქვს, უფრო მეტიც, ძველი აღთქმა ასევე გვაძლევს ცნობებს სხვა ქანაანურ ღვთაებებზე. ამ პასაჟების მოკლე მიმოხილვაში წარმოჩენილია ისრაელის მისწრაფება მისი თავყანისცემისა (რიცხვნი 22:41) და ბაალის კულტის პრაქტიკისკენ (მსაჯულნი 2:11;3:7;8:33;10:6,10) .

ქანაანელების რწმენით, როგორც ამას არქეოლოგების მიერ დამკვიდრებული აზრი გვიჩვენებს, ღვთის სახლი ადამიანის მიერ აგებული ტაძარი კი არ არის, როგორც ეს მესოპოტამიელებს სწამდათ, არამედ მთა, ამ მთას კი ეწოდებოდა „საფონი“. ითვლება, რომ ეს

მთა იყო ბაალის სახლი, ღმერთის, რომელიც ძალიან დიდ როლს ასრულებს ტექსტებში. პარალელი რომ გავავლოთ ბერძნულ მითოლოგიასთან, ეს იყო ოლიმპოს მთა. საფონი იყო არა მარტო საცხოვრებელი, არამედ ღმერთების შეკრების ადგილიც. ეს იდეა განმეორებულ იქნა ძველ აღთქმაში, სადაც სიონის მთა არის ადგილი „ჩრდილოეთის მხარეს“ .

სიტყვა „ბაალი“ ( ებრ. 𐤁𐤏𐤁 ) რამდენიმე მნიშვნელობით არის წარმოდგენილი ძველ აღთქმაში : მფლობელი (გამოსვლა 21:29 ; ისაია 1:3), ქმარი (დაბადება 20:3), მოქალაქე (ჯოშუა 24:11; რიცხვები 21:28), მმართველი (ისაია 16:8).

ქანაანური პანთეონის უმაღლესი ღმერთი იყო ელი, რომელსაც ეწოდებოდა ღმერთებისა და ადამიანების მეფე და მამა. თუმცა უფრო მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნებოდა ღმერთ ბაალს, ღმერთი ბუნების ძალთა და სიმაღლეთა, ნაყოფიერებისა და ამინდის, მათა და ღრუბელთა ღვთაება, „ღრუბლებზე ამხედრებული“, „უზენაესი მბრძანებელი ხმელეთისა“, ხორბლეულის მოსავლის ღმერთ დაგონის ძე. თავდაპირველად, ლოკალური ღმერთების ზოგადი სახელი უნდა ყოფილიყო, რომლის მიხედვითაც ადგილობრივ ღმერთებს თუ დემონებს ამავე ადგილის სახელები ერქვათ : ბაალ-ჰადადი, ბაალ-შამიმი, ბაალ-ჰერმონი და ა.შ. ბაალთან არის დაკავშირებული ზოგიერთი ფინიკიური საკუთარი სახელი : ჰანიბალ, ჰასდურბალ და სხვ.

ფირფიტები, რომლებიც ბაალისა და მოთის (სიკვდილის ღმერთი) შესახებ



მოგვითხრობს, ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ამ მითის მიხედვით, ბაალმა მაცნეები გაგზავნა მოთთან და უარი შეუთვალა მას ხარკის გადახდაზე. მაცნეები მუქარის მესიჯით დაბრუნდნენ მოთისგან, რამაც ბაალი შიშით მოიცვა და თავმდაბალი წერილი გაუგზავნა შემდეგი სიტყვებით : „ იყავი მოწყალე, ო, ღვთიურო მოთ. მე ვარ მონა შენი ,მე ვარ ყმა შენი სამუდამოდ“. მოთმა გაიხარა და ჩათვალა, რომ ბაალი საბოლოოდ დაამცირა და დაამარცხა. შემდეგ წარწერები რასაც გვეუბნება არის ის, რომ მაცნეები ბრუნდებიან ელ-ის სამფლობელოში და ატყობინებენ მას, რომ ბაალის სიკვდილი იხილეს. ამ სიახლის გაგების შემდეგ ელი ტახტიდან ჩამოდის და მიწაზე ჯდება, თავზე ნაცარს იყრის, ჯვალოს იცვამს და სახეს ქვებით იხოკავს. მწარედ დასტირის ბაალს. ანათი (ბაალის და და ცოლი) მიდის ძმის მოსამებნად და მის სხეულს პოულობს შაფაშის (მთის ქალღმერთი) დახმარებით, აჰყავს საფონის მთაზე, მარხავს იქ და დიდ ცერემონიალს მართავს მის საპატივსაცემოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ბაალის არყოფნა მიწაზე შვიდ წელიწადს გაგრძელდა, ეს იყო გვალვისა და შიმშილობის შვიდი წელი. შემდგომში ანათი შეიპყრობს მოთს და ნაკუწებად აქცევს მის სხეულს და ასე იბრუნებს მეუღლის სხეულს. ბაალის მიწისქვეშეთში ყოფნის დროს კითხვა დაისვა ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. აშერამ (ელის მეუღლე) წინ წამოსწია საკუთარი ვაჟის - აშთარის კანდიდატურა. აშთარი ადის ტახტზე, მაგრამ მისი ფეხები ვერ აღწევენ ფეხის დასადებ პატარა სკამამდე, ვერც მისი თავი სწვდება ტახტის სიმაღლეს. იგი ჩამოდის ტახტიდან და აცხადებს, რომ არ შეუძლია მართოს საფონის უმაღლესი მთა. ბაალ-ბოთის ეპოსის

დასასრულს ბაალი ახლიდან იღებს პასუხისმგებლობას ტახტზე და ახლდება ბრძოლა მათ შორის. ამ მხრივ, პარალელი შეგვიძლია გავავლოთ ბერძნულ მითოლოგიასთან, სადაც ადონისზე შეყვარებული იყო ორი ქალღმერთი : აფროდიტე - სიყვარულის ღმერთი და პერსეფონე - მიწისქვეშეთის ღმერთი. როდესაც ამ უკანასკნელმა არ მისცა ნება სიმპათიურ ყმაწვილს წასულიყო, აფროდიტე ჩაეშვა მკვდართა სამყაროში, რომ გაენთავისუფლებინა იგი. ელ-ისგან განსხვავებით, ზევსი ჩაერია განხეთქილებაში და გადაწყვიტა, რომ ადონისს ნახევარი წელი მონაცვლეობით უნდა გაეტარებინა ორივე მათგანთან.

სხვა მითი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გადაწყვიტა იამმა თავისთვის სასახლის აშენება, ხაზს უსვამდა რა ამით თავის სურვილს, რომ პირველობა მოეპოვებინა ღმერთებს შორის. ყველა მცირე ღმერთმა, რომელთაც „ელის ძეები“ ეწოდებათ, გადაწყვიტა დაეთმო იამისთვის, მაგრამ აღდგა ბაალი, ამხილა ისინი სიმხდალეში და იამი ბრძოლაში გამოიწვია. ბრძოლის არბიტრი იყო დიდი ღმერთი ელი, რომელიც აფრთხილებდა იამს, რომ მისი მოწინააღმდეგე იყო ძლიერი ღმერთი და მფარველად ჰყავდა ორი ქალღმერთი: ანათი და ასტარტე. ხელობათა ღმერთმა კუსორმა ბაალს ორი ჩაქუჩი დაუმზადა, რომელთა დახმარებითაც ბაალმა გაიმარჯვა წყლის ურჩხულზე. მისი პირველობა აღიარებულ იქნა ღმერთთა შორის. უკუაგდო რა პრეტენზიები ზღვის ღმერთისა, სიკვდილის და უწესრიგობის ბატონისა, ბაალი გამოდის, როგორც გმირი-ქველმოქმედი და იხსნის მსოფლიოს ქაოსში დაბრუნებისგან. ამ მითის სხვა

ეპიზოდები უფრო ფართოდ მოგვითხრობს, თუ როგორ ახორციელებს ბაალი ცხოვრების ამ ძლევამოსილ პრინციპს უგართის ხალხთა შორის. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ეპიზოდი არის მოყვანილი ძველ აღთქმაში.

ის, რომ მითში ბაალის პირველობა სირთულეების გარეშე დასტურდება, ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ბაალის თაყვანისცემა უგართში გაცილებით გვიან გაჩნდა. მართლაც, ბაალი არ არის „ძე ელისა“. მას ეწოდება „ძე დაგონისა“, რითაც ხაზი ესმება მის კავშირს მოსახლეობის იმ ფენასთან, რომლებიც ამორეველებს ენათესავებოდა. ბაალის ციკლის ეს ნაწილი დაკავშირებულია ნაყოფიერების წესთან. ბაალი არის ბატონი წვიმისა და ქუხილისა, რომლებსაც იგი აგზავნის გაზაფხულის სეზონის დასაწყისში. ბაალის მიწიერი ტაძრები სხვა არაფერია, თუ არა მისი ზეციური საცხოვრისის ანარეკლი და არიან „ზეციური სარკმლები“, რომლებიც მოავლენენ წვიმას დედამიწაზე. ბაალი ტოვებს ზეციურ საცხოვრისს, ჩამოდის მიწაზე, რომ დაარწყულოს იგი, რომელიც გამომშრალია სასტიკი სირიული ზაფხულით. სირიული ზაფხული არის სამეფო მოთისა. შიწისქვეშა სამყარო ზეციდან იღებს წყალს დედამიწის

ხელახლა აყვავებისთვის, მაგრამ მას მუდმივად ვერ ინარჩუნებს. მოთი ვალდებულია დათმოს და დააბრუნოს ბაალის სხეული, რომლითაც იგი იკვებებოდა. შაფაში და ანათი აბრუნებენ ბაალს დედამიწიდან ზეცაში. პირველი ამ შემთხვევაში მზის ენერგიას წარმოადგენს, რომელიც აორთქლებს წყლებს, მეორე კი გამოსახავს წყაროებს, რომლებიც ტენს აგროვებენ. ერთ-ერთი განმარტებით „ანათი“ „წყაროს“ ნიშნავს“. შემოდგომის ღრუბლები - ნიშანი ახალი წლის სიცოცხლის იმედისა - სიმბოლურად გამოხატავს ასვლას საფონის მთაზე, რომელიც თავისებური უგართული ოლიმპო იყო და რომელსაც ამ მითის მსმენელნი, შესაძლოა, აიგივებდნენ რას-შამრეს რეგიონში უმაღლეს მთასთან, სახელწოდებით ჯაბალ ალ-აკრა, ადრინდელი სახელწოდებით - კასიო. ასეთი ტიპისა შეიძლება ყოფილიყო ტექსტები ყოველწლიური ღვთისმსახურებისა, რომლებიც ეძღვნებოდა წვიმის დაბრუნებას და ნაყოფიერებას და რაც არსებითი ელემენტი იყო ყველა მიწათმოქმედი ცივილიზაციის რელიგიაში. უგართული მითები ასახავენ აღმოსავლელი გლეხის ტიპურ საზრუნავს. გვალვები, რომლებიც საკმაოდ ხშირი იყო, უკავშირდებოდა ბაალის ბრძოლას მოთის წინააღმდეგ.

**ავტორი - ნინო სულხანიშვილი**



## სამხედროთა დათხოვნა და მათი დაუსაქმებლობა, როგორც ერთ-ერთი შემავსებელი ფაქტორი ISIS-ის ტერორისტთა რიგებისა ერაყში

ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევაა ცივილიზირებული სამყაროსთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ტერორიზმი არ ცნობს ისეთ მაღალ ღირებულებებს, როგორცაა ადამიანის სიცოცხლის შეუვალობის უფლება თუ ადამიანთა თანასწორობა, თანაბარუფლებიანობა.

ტერორიზმის მასტიმულირებელი ფაქტორები მრავლადაა და მათ შორის მოიაზრება ყველაფერი, დაწყებული სრულყოფილი და ჩამოყალიბებული იდეოლოგიებით, დამთავრებული კონკრეტული სუბიექტის სურვილით მოექცეს ყურადღების ცენტრში. შესაბამისად ტერორიზმი, ტერორისტული აქტი, დაშინების მიზანი, შესაძლოა იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური. სწორედ, ორგანიზებული ტერორისტული დაჯგუფებები და ორგანიზაციები წარმოადგენენ მსოფლიოსთვის დიდ გამოწვევასა და საფრთხეს. ამ ორგანიზაციებს აქვთ იდეოლოგიები, ჰყავთ ლიდერები, გააჩნიათ იერარქიული სტრუქტურა და ქმნიან ლოკალურ ჯგუფებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. შესაბამისად, ეს ჯგუფები ეწევიან თავიანთი იდეოლოგიის გავრცელებას მსოფლიოში და პროპაგანდის მეშვეობით იზიდავენ ადამიანებს, რომლებიც შემდგომში იქცევიან ტერორისტებად.

ტერორისტად გახდომის მრავალი მოტივაცია არსებობს დაწყებული სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზებით, დამთავრებული პირადი შურისძიების მოტივით. ტერორიზმის

ანალიტიკოსები ვილიამ მაკკანტი და კლინტ ვოტსი აღნიშნავენ, რომ: „ნებისმიერი შეიძლება თანაუგრძნობდეს ტერორისტულ ორგანიზაციებს თუ კი არსებობს სათანადოპირობები“. ყველაზე ხშირად, ტერორისტული ორგანიზაციები ისეთ ადვილად მოწყვლად ადამიანებს ირჩევენ, რომლებსაც არ აქვთ სრულყოფილი განათლება მიღებული; არიან ფსიქოლოგიურად არამყარნი (რაც გამოიხატება იმაში, რომ არიან ადვილად დაყოლიებადი, განიცდიან ჩაგვრას არსებულ სოციალურ-სოციალურ გარემოში, ვერ დაიმკვიდრეს თავი საზოგადოებაში, შეპყრობილნი არიან წარუმატებლობის განცდით, არ აქვთ კონკრეტული სწრაფვა და მიზანი), განიცდიან ჩაგვრას (ფსიქოლოგიური-სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით), აქვთ პირადი მოტივაცია (შურისძიება, მატერიალური ინტერესი, განდიდების მანია) და სხვა. უფრო ხშირად კი ტერორისტად გახდომის მიზეზები კომპლექსურია, რომელსაც როგორც წესი, საბოლოო, გადაწყვეტ მოტივთან ერთად, გრაკვეული წინასწარი განწყობაც აქვს.

ტერორისტად ქცევის ერთ-ერთ მიზეზად თანამედროვე მსოფლიოში, მიიჩნევა დაუსაქმებლობა/სამსახურიდან დათხოვნა, რომელიც თავის თავში შესაძლოა აერთიანებდეს რამდენიმე ფაქტორს/მოტივს: ეკონომიკურს (მატერიალურს), სოციალურს (უსარგებლობის განცდა საზოგადოებაში და საზოგადოების

განწყობა), ფსიქოლოგიურს (სამსახურის დაკარგვით გამოწვეული დეპრესია, უიმედობის განცდა), პირადულს (შურისძიების მოტივი). დაუსაქმებლობა, სამსახურიდან დათხოვნა, კიდევ უფრო მძაფრად აღქმადი ხდება განვითარებად ან ღარიბ ქვეყნებში, სადაც ახალი სამსახურის დაწყების ალბათობა ძალზე მცირეა და არსებულის დაკარგვა, სუბიექტში იწვევს უიმედობისა და უპერსპექტივობის განცდას. კიდევ უფრო რთული სიტუაციაა, როდესაც საქმე სამხედრო სამსახურს და სამხედროთა დათხოვნას ეხება. უპირველესად, ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ჯარში მომსახურეთა უმეტესობას არ აქვს საშუალო სკოლაზე მაღალი განათლება მიღებული და ამასთან ადრეული ასაკიდან იწყებენ სამხედრო სამსახურს. შესაბამისად, მათი საქმიანობის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ სამსახურთანაა დაკავშირებული, მისი დაკარგვის შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ სხვა საქმიანობა არ იციან.

2003 წლის ერაყის ომის დროს, ერაყის არმია შედგებოდა სულ მცირე 400 000 ჯარისკაცისგან. უკანონო ოკუპაციის შემდგომ, კოალიციის დროებითი მთავრობის ბრძანება #2-ის მიხედვით კი, 2003 წლის 23 მაისს დათხოვნილი იქნა ერაყის არმიის სრული შემადგენლობა და მასთან ერთად 50 000 სამოქალაქო პირიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით ყურის პირველი ომისგან, სადაც ქუვეითის განმათავისუფლებელ კოალიციურ ძალებს 80 000 ერაყელი ჩაბარდა ტყვედ, ერაყის 2003 წლის ომის დროს დაახლოებით 7000-მდე ერაყის არმიის ჯარისკაცი ჩაბარდა ტყვედ. ჯარისკაცთა უმეტესობამ, ჯერ კიდევ არმიის დაშლამდე, გადაიცვა სამოქალაქო ფორმა და ტყვედ

ჩავარდნას მიმალვა არჩია. შედეგად, ერაყის ნახევარ მილიონამდე მიქალაქე აღმოჩნდა სამსახურის გარეშე. მათ შორის, უმეტესობას არ გააჩნდა სხვა პერსპექტივა გარდა სამხედრო სამსახურისა. ყველაფერთან ერთად, ამ აქტმა გამოიწვია ის, რომ გააჩინა საერთო ინტერესი ტერორისტულ ჯგუფებს, ყოფილ ბაასისტებსა და სამხედროებს შორის - საერთო წინააღმდეგობა საოკუპაციო ძალებისადმი, რომელიც კიდევ უფრო აქტიური გახდა 2010 წლიდან. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალი იდეის სახით ISIS-ის ხელში აღმოჩნდა იდეოლოგია: პატრიოტული მიზანი და „უსამართლოდ დაჩაგრულ“ ერაყელთათვის შურისძიება, სამართლიანობის აღდგენა. ეს უპირველესად გამოიხატებოდა თავდასხმებით საოკუპაციო ჯარების სამხედროებზე და სამოქალაქო პირებზე, ასევე ერაყის მთავრობის წევრებსა და მათ მხარდამჭერებზე ტერორისტული აქტების საშუალებით, რაშიც ჩართული აღმოჩნდნენ ერაყის სამხედრო ძალების ყოფილი სამხედროებიც. მნიშვნელოვანია ერთი ფაქტიც, მსოფლიო ბანკის კვლევების მონაცემებით ერაყში ყოველწლიურად 800 000 მოქალაქე ხდება შრომისუუნარო - გადის პენსიაზე, ხოლო სახელმწიფომ ყოველწლიურად უნდა შექმნას 300 000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი, იმისათვის, რომ შეინარჩუნოს დაუსაქმებელთა სტაბილური რაოდენობა, ეს კი გამოწვეულია მოსახლეობის მკვეთრი ზრდით. 2003 წელს კი მოხდა ისე, რომ 300 000-ის ნაცვლად 700 000 ადამიანი აღმოჩნდა დასასაქმებელი, რაც იმდროინდელი (და შემდგომი წლების) ერაყის ეკონომიკის პირობებში განუხორციელებადი იყო.

ISIS-ის ტერორისტთა გააქტიურებას ხელი შეუწყო საოკუპაციო ჯარების გასვლამ ერაყიდან, რა დროსაც ერაყი ფაქტობრივად დაუცველი აღმოჩნდა ISIS-ის არმიის წინაშე. ერაყის არმიის ბრიგადის ყოფილი გენერალი ჰასან დულაიმი 2015 წლის აპრილში „ვაშინგტონ პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა: „ISIL-ის სამხედრო ოპერაციათა მეთაურები იყვნენ საუკეთესო ოფიცრები ერაყის არმიისა და სწორედ ესაა მიზეზი, თუ რატომ გვამარცხებს ISIL როგორც დაზვერვის საქმეში, ასევე ბრძოლის ველზე“. აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ ერაყის ახალი არმიის საბოლოოდ ფორმირების შემდეგ (2008), ერაყმა შეისყიდა თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობა, ნაწილი კი მიიღო საჩუქრად. აქედან კი ISIS-ის ხელშიც საკმაოდ დიდი რაოდენობის სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა აღმოჩნდა, მათ შორის იყო 2300-ზე მეტი ამერიკული წარმოების HMMWV-ის მსუბუქი ჯავშანმანქანა, ასევე ათეულობით ქვეითთა საბრძოლო მანქანა სხვადასხვა ქვეყნების წარმოების, M-16 და M4 ტიპის შაშხარები, ყუმბარმტყორცნები (მათ შორის ჰაერსაწინააღმდეგო Stinger-ები) და ნაღმტყორცნები (მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო). შესაბამისად, საფიქრებელია, რომ სწორედ ერაყის არმიის ყოფილი სამხედროები უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვინც მათ მართვას, გამოყენებას და სხვებისთვის სწავლებას შეძლებდნენ.

რაც შეეხებათ კონკრეტულ სამხედრო პირებს ყოფილი ერაყის არმიიდან, ზოგიერთი მონაცემით, ISIS-ის მეთაურობის 40 პირიდან 25 ერაყის არმიის ყოფილი სამხედრო იყო, მათ შორის მაღალი რანგის ოფიცრებიც. ასეთები იყვნენ მაგალითად:

- აბუ უმარ ალ-ბაღდადი ერაყის არმიის ყოფილი ოფიცერი, რომელიც 2010 წლამდე იყო ISIS-ის მეთაური;
- აბუ მუსლიმ ალ-აფარი ალ-თურქმანი, ერაყის რესპუბლიკური გვარდიის სამხედრო ძალების ყოფილი პოლკოვნიკი. მოგვიანებით კი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მოადგილე ერაყში.
- აბუ ალი ალ-ანბარი ერაყის არმიის ყოფილი გენერალ-მაიორი, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის მოადგილე სირიის ისლამურ სახელმწიფოში.
- აბუ აიმან ალ-ირაქი ერაყის საჰაერო ძალების ყოფილი პოლკოვნიკი, ISIS-ის ერთ-ერთი სამხედრო მეთაური და სამხედრო სათათბირო საბჭოს წევრი.
- აბუ აჰმად ალ-ალვანი სადამ ჰუსეინის არმიის ყოფილი ჯარისკაცი და ISIS-ის სამხედრო სათათბირო საბჭოს წევრი.
- აბდულლაჰ აჰმად ალ-მიმჰადანი ერაყის არმიის ყოფილი ოფიცერი და ISIS-ის უცხოელ მებრძოლთა და თვითმკვლელ ტერორისტთა მეთაური.
- ჰაჯი ბაქრი ერაყის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის ხალიფად არჩევის ხელშემწყობი და მისი უახლოესი მრჩეველი.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამხედროთა დათხოვნა და მათი შემდგომი დაუსაქმებლობა ერაყში, 2003 წლის შემდგომ, იყო რეალური და მნიშვნელოვანი ფაქტორი ISIS-ის ტერორისტთა რიგების შევსებისა ერაყში და ყოფილი სამხედროები მოგვევლინენ არა მხოლოდ როგორც უბრალო მებრძოლები, არამედ ISIS-ის მეთაურების სახითაც.

**ავტორი - ომიკო ეჯიბია**

# ქურთისტანის სახელმწიფოს ჩამოყალიბების მცდელობები

ქურთების განსახლების არეალი დღესდღეობით მოიცავს ირანის, ერაყის, სირიისა და თურქეთის ტერიტორიებს, მათი რაოდენობა კი 30 მილიონ ადამიანს აღემატება. მიუხედავად ამ ეთნოსის რიცხოვნებისა, ქურთებს ჯერაც არ ჰქონიათ ერთიანი სახელმწიფო და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. დღეს უნდა განვიხილოთ ქურთების ისტორია უძველესი პერიოდიდან, მათი მცდელობები, შეექმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფო და თანამედროვე პერიოდში არსებული ვითარება.

ჯერ კიდევ ძვ.წ. მესამე ათასწლეულით დათარიღებულ შუმერულ თიხის წარწერებში იკითხება „ქარდების მიწა“, რომელიც დასახლებული იყო შუს ხალხებით ვანის ტბის სამხრეთით არსებულ ტერიტორიაზე. ეს ქარდები მიიჩნევიან ქურთების წინაპრებად.

აღსანიშნავია, რომ არსებობს მოსაზრება ქურთების მიდიური წარმომავლობის შესახებ. ქურთების ჰიმნშიც არის ამაზე აქცენტი გაკეთებული: „ჩვენ ვართ მიდიელთა შვილები და კიაკსარის მემკვიდრენი“.

შუა საუკუნეებში, ქურთები ჯერ ბიზანტიისა და სასანიდური ირანის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, მოგვიანებით, არაბთა სახალიფოში, თურქ-სელჩუკთა სასულთნოში, ოსმალთა იმპერიასა და ყიზილბაშურ ირანში. ამ პერიოდის მანძილზე, ქურთებს საკუთარი სახელმწიფოს შესაქმნელად დიდი ინტერესი არ გამოუჩენიათ და, შესაბამისად, მათ

ახლო აღმოსავლეთში ყველა ძლიერი სახელმწიფო იმორჩილებდა.



ქურთების განსახლების არეალი

ვითარება შეიცვალა XX ს-ში. ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, როგორც ვიცით, 1920 წელს დაიდო „სევრის ხელშეკრულება“, რომელიც ითვალისწინებდა ქურთების სახელმწიფოს შექმნას, მაგრამ ეს არ მოხდა. პირიქით, 1923 წელს ზემოთ ხსენებული ხელშეკრულება შეიცვალა და დაიდო „ლოზანის საზავო ხელშეკრულება“, რომელმაც ქურთების სახელმწიფოსა თუ ავტონომიის შესაძლო არსებობა იმსხვერპლა.

1927 წელს ქურთები აუჯანყდნენ თურქებს და იჰსან ნური ფაშას წინამძღოლობით დააარსეს თვითგამოცხადებული არარატის რესპუბლიკა, რომელიც თანამედროვე თურქეთის აღმოსავლეთ რეგიონში მდებარეობდა.

თურქებმა მხოლოდ 1930 წელს მოახერხეს, რომ მიეღწიათ წარმატებისთვის. 1931 წელს ქურთების

რესპუბლიკა დამარცხდა, მათი ტერიტორია თურქეთის ხელისუფლებამ დაიმორჩილა.

1930 წწ-ში თურქეთიდან გაქცეული ქურთები დასახლდნენ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე. საბჭოთა კავშირის მმართველ ვლადიმერ ლენინს სურდა, შეექმნა „საბჭოთა ქურთისტანი“, გაჩნდა ქურთული თვითმმართველობაც, მაგრამ იოსებ სტალინმა ეს ავტონომია გააუქმა და ქურთები 1930-იან და 1940-იან წწ-ში იძულებით გადაასახლა ყაზახეთსა და ციმბირში.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს, 1941 წელს საბჭოთა კავშირის არმიამ ირანის ჩრდილოეთ რეგიონი დაიკავა. მათ დაიწყეს ადგილობრივ ქურთებში ნაციონალიზმის გავრცელება. დაარსდა მაჰაბადის რესპუბლიკა, რომელმაც 1946 წლის 22 იანვრიდან იმავე წლის 15 დეკემბრამდე იარსება. მის დაარსებაში ირანელმა ქურთმა ქაზი მუჰამადმა ითამაშა დიდი როლი. 1946 წლის დეკემბერში ირანის არმიამ დაიკავა ქურთების ეს ტერიტორია, გაანადგურა ქურთების წიგნები. 1947 წელს ქაზი მუჰამადი სიკვდილით დასაჯეს ღალატის გამო.



მაჰაბადის რესპუბლიკა (ყვითლად)

1958 წელს ერაყში მონარქიის პერიოდი დასრულდა, დაამხეს ჰაშიმიანები. 1968 წელს კი ხელისუფლების სათავეში

მოვიდა ბაასისტური პარტია. საბოლოოდ, 1974 წელს ქურთებს მიენიჭათ ავტონომია. 1979-2003 წწ-ში ერაყს განაგებდა სადამ ჰუსეინი, რომელმაც მსოფლიოს თავი ქუვეითში შეჭრით და ირანთან ომით დაამახსოვრა. სწორედ ქუვეითთან ომში დამარცხების შემდეგ, ქურთებმა აჯანყება წამოიწყეს და წარმატებასაც მიაღწიეს, მაგრამ სადამ ჰუსეინმა კონტრშეტევაზე გადასვლა მოახერხა. რეგიონი მილიონზე მეტმა ქურთმა დატოვა. შექმნილი ვითარების გამო, გაერომ 1991 წლის 5 აპრილს ერაყის ქურთისტანი “უსაფრთხოების ზონად” გამოაცხადა. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ულტიმატუმის შემდეგ, სადამ ჰუსეინი იძულებული გახდა, რეგიონიდან ჯარები გაეყვანა. საბოლოოდ, შეიქმნა დე ფაქტო დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფო, რომლის სტატუსი დაზუსტებას მოითხოვდა. შემდგომი 12 წლის განმავლობაში მას ერაყთან თითქმის არაფერი აკავშირებდა.



ერაყის ქურთისტანი

საბოლოოდ, ბაასისტური ერაყის დაშლისა და სირიის ტერიტორიაზე შექმნილი ქაოსის ფონზე ქურთებმა 2012–2016 წლებში სირიის ქურთისტანში თავიანთი სახელმწიფო - როჟავა (ქურთ. დასავლეთი) შექმნეს.



როჭავის შეიარაღებული ძალები, აშშ-ის მხარდაჭერით, სირიის დემოკრატიულ ძალებთან ალიანსში შევიდნენ და ისლამისტებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. საბოლოოდ, როგორც თანამედროვე ვითარებამ დაგვანახა, ამანაც ვერ გამოიტანა განსაკუთრებული შედეგი და ქურთები დამოკიდებულნი გახდნენ სირიაზე. აშშ-სა და რუსეთის ხელისუფლებაც ქურთების ბრძოლას დუმილით შეხვდნენ.

როგორც ვხედავთ, ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა სახელმწიფოებში დაფანტული ქურთები ცდილობენ შექმნან სახელმწიფო, მაგრამ ეს მცდელობები ლოკალურ ხასიათს არ სცდება. 1970-იან წწ-ში თურქეთში მცხოვრებ ქურთებს მარქსიზმ-ტროცკიზმის იდეა აერთიანებდათ, მაგრამ ამ იდეოლოგიამ რადიკალური სახე მიიღო. მოლაპარაკებისა და მშვიდობიანი გზით პრობლემების გადაჭრის ნაცვლად, მათ არჩიეს შეიარაღებული დაპირისპირება თურქეთთან. პარტიზანული ომები კი მარცხით დამთავრდა.

სხვადასხვა სახელმწიფოებში მცხოვრები ქურთები დაიყვნენ იდეოლოგიურად, მათი ერთი ნაწილი ცდილობს წარმატებას მიაღწიოს საბრძოლო ქმედებით, მეორე ნაწილი კი იბრძვის ლეგიტიმაციის ამალგებისა და მშვიდობიანი გზით სახელმწიფოს შექმნისთვის.

დღესდღეობით, ქურთებს აერთიანებთ მხოლოდ დამოუკიდებლობაზე ფიქრი, თუმცა ამ ოცნებასაც განსხვავებულად აღიქვამენ. XXI საუკუნეში მზარდი ნაციონალისტური იდეები თუკი გავრცელდება ქურთულ ეთნოსში, შეიძლება შეიქმნას კიდევ განსხვავებული სურათი რეგიონში. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ქურთები 4 სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ეს პროცესი ბევრ პრობლემასთან იქნება დაკავშირებული. შესაბამისად, ჯერჯერობით ძალიან რთულია რაიმე წინასწარი პროგნოზის გაკეთება.

**ავტორი - მიხეილ მარკელია**

# სულეიმან დემირელის თბილისში ვიზიტის მნიშვნელობა 1992 წელს

1991 წლის 16 დეკემბერს თურქეთის რესპუბლიკამ სცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რაც ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ თურქეთის რესპუბლიკა 1952 წლიდან იყო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი (NATO). ეს პერიოდი საქართველოსთვის ნამდვილად მძიმე გახლდათ, რადგან 6 დღის შემდეგ 22 დეკემბერს იწყება სამოქალაქო ომი, რომელმაც უზარმაზარი მსხვერპლი მოუტანა ქვეყანას, მართალია, ომი უშუალოდ 22 დეკემბერს დაიწყო, თუმცა წინაპირობა ბევრად უფრო ადრე, დაახლოებით, 6 თვის მანძილზე იქმნებოდა. საბოლოოდ, სამოქალაქო ომმა გამოიწვია საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა, რომელსაც ზვიად გამსახურდია მეთაურობდა. 1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო. ის გადავიდა ჯერ სომხეთში, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. მარტის თვეში ამბოხებულებმა მოსკოვიდან მოიწვიეს ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს ყოფილი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და შემდგომში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი. ძალაუფლება სამხედრო საბჭომ გადასცა სახელმწიფო საბჭოს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ედუარდ შევარდნაძე, იგი კარგად ხვდებოდა, რომ მისი ხელისუფლება არ იყო ლეგიტიმური, ამიტომ ის ყველანაირად ცდილობდა

დიპლომატიური კავშირების დამყარებას იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან, ასევე, რეგიონის ლიდერებთან. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სულეიმან დემირელის (იმდროინდელი თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის) ვიზიტს თბილისში 1992 წლის ივლისში. სწორედ მისი ვიზიტის მნიშვნელობაზე წარმოადგენის შექმნას ისახავს, ჩვენი მოკრძალებული ნაშრომი.



სანამ უშუალოდ პრემიერ-მინისტრის ვიზიტზე გადავიდოდეთ, უნდა ვთქვათ, რომ 1992 წლის 21 მაისს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ თურქეთის რესპუბლიკა აშშ-თან ერთად წარმოადგენს საქართველოს მთავარ მოკავშირე და პარტნიორ ქვეყანას, რაც აისახება, როგორც სამხედრო და პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში. ეს დაადასტურა იმანაც, რომ სანამ ოფიციალურად გაფორმდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლა, მანამდე 9 დღით ადრე თურქეთმა საქართველოს

დამოუკიდებლობა სცნო. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 2 თვეში, 1992 წლის 30 ივლისს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია თურქეთის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა, სანამ უშუალოდ ესტუმრებოდა თბილისს: „ძვირფასი მეგობრის, ედუარდ შევარდნაძის მოწვევით, თბილისს ვესტუმრებით. ვიზიტისას, ბატონ შევარდნაძესთან ერთად განვიხილავთ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის მოვლენებს, ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას და გავრცობას. ამის ფარგლებში, ჩემი ვიზიტი, ხაზს უსვამს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის, სუვერენიტეტის და პოლიტიკური სიმტკიცის მხარდაჭერას. თურქეთი და საქართველო გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე იზიარებენ საერთო ბედს. ამ ვიზიტით, აგრეთვე, განვიხილავთ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის მნიშვნელობას რეგიონში სიმტკიცის შესანარჩუნებლად.“ პირველ რიგში, ნამდვილად სასიამოვნოა, თურქეთის პირველი პირის ასეთი დამოუკიდებულება ახალგაზრდა სახელმწიფოსადმი, საყურადღებოა ის მხარდაჭერა, რომელსაც უცხადებს თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, გარდა ამისა, სულეიმან დემირელს საკუთარ სიტყვაში ყურადღება გამახვილებული აქვს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე, რომელიც საქართველოსთვის შესანიშნავი ეკონომიკური შესაძლებლობა იყო, რაც

შემდგომში დაამტკიცა მოვლენების არსებულმა განვითარებამაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1992 წლის 30 ივლისს ოფიციალური ვიზიტით საქართველოში ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი, რომელსაც უმასპინძლა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძემ. იმის ხაზგასასმელად, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული საზოგადოება ამ ვიზიტს, კარგად ჩანს პრესის განხილვის შედეგად. 1992 წლის 31 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ (N143) პირველი გვერდი ეთმობოდა სწორედ დემირელის ვიზიტს. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მოვიყვანოთ სათაური, რათა უკეთესად წარმოჩინდეს ქართული საზოგადოებრივი აზრის დამოუკიდებულება ამ საკითხისადმი: „თბილისში სათავე დაუდო ქართულ-თურქულ ურთიერთობათა ახალ ერას, ახალს თავისი განწყობითა და ხასიათით, ახალს ამ ურთიერთობის შინაარსის თვალსაზრისით. ხელმოწერილია ფუნდამენტური ხელშეკრულება ორი ქვეყნის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ, მნიშვნელოვანი შეთანხმებების მთელი პაკეტი“. თუ გავითვალისწინებთ გაზეთის ტირაჟს, რომელიც იყო 5000 ცალი და იგი ყოველდღიურად გამოდიოდა, ეს მოწმობს იმაზე, რომ საზოგადოების უმრავლესობა ინფორმირებული იყო ამ ვიზიტის შესახებ, ხოლო სათაური ხაზს უსვამს, რომ მასზე ქართული საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებდა. პრესა ნამდვილად იყო საზოგადოებრივი აზრის განმსაზღვრელი.



საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ გამართა სადილი თურქეთის პრემიერ-მინისტრის სულეიმან დემირელის პატივსაცემად. სადილის დროს ორივე ქვეყნის პირველმა პირმა წარმოსთქვა სადღეგრძელო. გარკვეული ადგილების მოხმობა ვფიქრობთ, რომ ნათელ წარმოდგენას შექმნის ვიზიტის მნიშვნელობაზე. ინტერესის სფეროა შევარდნაძის შემდგომი სიტყვები: „ჩვენი ქვეყნების ათასწლოვანი მეზობლობის განმავლობაში ამ მიწაზე თქვენს მრავალ თანამემამულეს დაუდგამს ფეხი, მაგრამ, თქვენ ალბათ, პირველი ბრძანდებით მათგან, ვინც ქართველს უთხრა „თქვენი სამშობლო ჩვენთვის მოძმე ქვეყანააო“. ეს ნამდვილად მოწმობს იმას, რომ ეს იყო თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ახალი ერის დასაწყისი. ისტორიას რომ თვალი გადავაავლოთ, არასდროს არ ყოფილა თურქეთსა და საქართველოს შორის ასეთი თბილი დამოკიდებულება. ეს კი ქმნიდა იმის წინაპირობას, რომ თურქეთი გახდებოდა საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე, რაც დაადასტურა შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა. ედუარდ შევარდნაძის სიტყვაში, საუბარია თურქეთის მიერ საქართველოსადმი გაწეულ

ჰუმანიტარულ დახმარებაზეც. თურქეთი ცდილობდა თავისი სიტყვების პრაქტიკაში რეალიზაცია მოეხდინა, ხოლო იმდროინდელ საქართველოს ეკონომიკური დახმარება ნამდვილად ესაჭიროებოდა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიც გახდლათ. ასევე საუბარი იყო, რომ თურქი ეკონომისტები დაეხმარებოდნენ რჩევებითა და საქმით საქართველოს ახლად ჩასახულ საბაზრო ეკონომიკას. მოგეხსენებათ ის ფაქტი, რომ თურქეთმა ეკონომიკაში XX-ის 80-იან წლებში პრემიერ-მინისტრ თურგეთ ოზალის რეფორმების შედეგად, არნახულ წინსვლას მიაღწია, ხოლო ასეთი ქვეყნის ეკონომისტების დახმარება ახალგაზრდა სახელმწიფოს ნამდვილად ესაჭიროებოდა. საუბარი იყო ასევე შავ ზღვაზეც. მათი აზრით, სტამბოლში უნდა დაფუძნებულიყო შავიზღვისპირეთის ქვეყნების შტაბ-ბინა. ასევე, კონფილიქტების აცილების რეგიონალური ცენტრი. ორივე მხარე დაინტერესებული იყო რეგიონის მშვიდობიანი განვითარებით. საინტერესოა, რომ შევარდნაძე ცდილობდა სულეიმან დემირელის ვიზიტის გამოყენებას საქართველოს პოლიტიკური მიზნებისთვისაც. მას სურდა მსოფლიო თანამეგობრობას გაეგო იმ მძიმე ვითარების შესახებ, რომელიც საქართველოში იყო იმ დროს, მაგალითად, იგი ამბობს: „საქართველოში არ არის არაქართული მიწები და ეს ყველამ უნდა შეიგნოს“. შევარდნაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. დემირელისა და შევარდნაძეს შორის რომ ნამდვილად კარგი ურთიერთობა იყო კარგად ჩანს იქაც, რომ 1997 წლის 15 ივლისს, დემირელი უკვე პრეზიდენტის რანგში კიდევ ერთხელ ეწვია თბილისს.



გარდა უშუალო საუბრისა, აუცილებლად უნდა შევხვით იმ დოკუმენტებს, რომლებსაც ხელი მოეწერა ამ ვიზიტის დროს. მხარეებმა პირველ რიგში დაადასტურეს ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული და სოციალური ურთიერთობების განვითარებისა და გაღრმავების სურვილი და აღნიშნეს ამ მიმართულებით სწრაფი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა. შეხვედრებზე მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ არსებობს მყარი ნიადაგი საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობების განვითარებისთვის, რისთვისაც დაიდება საჭირო ხელშეკრულებები. ამ ხელშეკრულებებიდან უმთავრესი გახდება „ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების თაობაზე“. ასევე დაიდო „სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება“; „ხელშეკრულება ინვესტიციების დაცვისა და წახალისების თაობაზე“; „ხელშეკრულებები საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო

ტრანსპორტზე“; „ხელშეკრულება კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის თაობაზე“; მხარეები შეთანხმდნენ, რომ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობის განვითარებასა და გაფართოებაში კერძო სექტორის წახალისების მიზნით „თურქეთის ექსიმბანკი“ განსაკუთრებული ფინანსური დახმარების სახით აპირებს საქართველოს გამოუყოს კრედიტი 50 მილიონი დოლარის რაოდენობით. კრედიტის პირობების განხილვის მიზნით ბანკის დელეგაცია უნდა ჩამოსულიყო თბილისში. გარდა უშუალო ხელშეკრულებებისა, მხარეებმა შემფოთებით აღნიშნეს „ყარაბაღის კონფლიქტის“ გაფართოების საშიშროება, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონის ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას და დაადასტურეს სასწრაფო ზომების მიღების აუცილებლობა კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრისთვის საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვით, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაზე უარის თქმით და ეროვნული უმცირესობების კულტურული უფლებების აღიარებით. ჩვენთვის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მხარეებმა გამოთქვეს სურვილი ერთობლივად ითანამშრომლონ რუსეთის ფედერაციასთან, სხვა მეზობელ ქვეყნებთან და შუა აზიის ქვეყნებთან, ორივე მხარისთვის სასარგებლო საწყისებზე, ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების განვითარების მიზნით. მხარეები შეთანხმდნენ გამართონ მუდმივი კონსულტაციები მიმდინარე რეგიონალურ და საერთაშორისო პრობლემებზე, ასევე, საუბარი შეეხო მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, კერძოდ, იუგოსლავიის მოვლენებს.

სულეიმან დემირელმა ოფიციალური ვიზიტით თურქეთში მიიწვია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. სულეიმან დემირელმა მოინახულა საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები, ხოლო, ამის შემდეგ, იგი სამშობლოში გაემგზავრა. თბილისის აეროპორტში იგი გააცილეს ედუარდ შევარდნაძემ, თენგიზ სიგუამ, ჯაბა იოსელიანმა, თენგიზ კიტოვანმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სულეიმან დემირელის ჩამობრძანება თბილისში 1992 წლის ივლისში იყო საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მოვლენა.

ამ მოვლენას ჰქონდა უდიდესი მორალური მნიშვნელობა ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის, რადგან მათ დაინახეს, რომ ისინი მარტო არ იყვნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ თურქეთის სახელმწიფო მეთაური იყო პირველი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით სტუმრობდა თბილისს. როგორც ისტორიამ აჩვენა, 1992 წელს გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა, საქართველოს საშუალება მისცა გაუმჯობესებინა ცხოვრების დონე. რა თქმა უნდა, ამ მოვლენასაც აქვს უარყოფითი მხარე, თუნდაც რუსეთის ფედერაციის გაღიზიანება, თუმცა მიღებული შედეგების დადებითი მხარეები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია.

## ავტორები - ფუად მუსაევი და ლაშა მგელაძე

# მითები და რეალობა „ყარსის ხელშეკრულების“ შესახებ

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მუდმივად ვრცელდება კონსპირაციული თეორიები „თურქულ ოკუპაციასთან“ დაკავშირებით, რისი მიზანიც ქვეყანაში ანტითურქული განწყობის გავრცელებაა. ამ კონტექსტში ხშირად მოიხსენიებენ „ყარსის ხელშეკრულებას“, რომელსაც 2021 წელს ხელმოწერიდან 100 წელი უსრულდება და რომლის გარშემოც შეიქმნა და ქართულ მედიაში პერიოდულად ვრცელდება მრავალი მითი. მოცემულ სტატიაში მიმოვიხილავ რეალურ ფაქტებს გავრცელებულ დეზინფორმაციებთან მიმართებაში.

ისტორიულად, „ყარსის ხელშეკრულება“ გახლავთ დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოეწერა 1921 წლის 13 ოქტომბერს ქ. ყარსში, ვალის რეზიდენციაში, ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებსა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და მეორე მხრივ თურქეთს (ანგორის მთავრობა) შორის ბოლშევიკური რუსეთის ჩართულობით (დამკვირვებლის სტატუსით). ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა 1922 წლის 11 სექტემბერს ერევანში. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებას არ ჰქონია საიდუმლო მუხლები და ის ხუთ ენაზე - ქართულ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გაფორმდა. ხელშეკრულების პირველი მუხლის მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადდა ყველა ხელშეკრულება, რომელიც ამიერკავკასიას ეხებოდა. თუმცა, ეს არ ეხებოდა რუსეთ-თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს დადებულ ხელშეკრულებას, რომლის

მიხედვით, თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ახალი საზღვარი დადგინდა. პრაქტიკულად, „ყარსის ხელშეკრულების“ პირობებიც „მოსკოვის ხელშეკრულების“ პრინციპების გაგრძელება იყო. ყარსის შეთანხმების თანახმად, თურქეთმა აჭარის დიდი ნაწილი და ქალაქი გიუმრი საბჭოთა კავშირს გადასცა, სანაცვლოდ კი ყარსი, ართვინი და არტაანი მიიღო. თურქეთისთვის ყარსის ხელშეკრულებას, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მან მოხსნა ომის საშიშროება კავკასიაში და უზრუნველყო თურქეთის ჩრდილო აღმოსავლეთის საზღვრების ხელუხლებლობა.



„ყარსის ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებით ბოლო პერიოდში გავრცელებულ მითებს შორის აღსანიშნავია, რომ: „ყარსის ხელშეკრულებას“ ვადა 2021 წელს გასდის, რის შემდეგაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმება სათუო ხდება.“

ყარსის ხელშეკრულება 20 მუხლისგან და 3 დამატებისგან შედგება. ხელშეკრულების დოკუმენტი ონლაინ არის ხელმისაწვდომი და ის არ შეიცავს ფარულ მუხლებს. ხელშეკრულების არცერთ მუხლში საუბარი არ არის მოქმედების დროსთან და ვადის

გასვლასთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ დოკუმენტს რატიფიცირებიდან 100 წლის გასვლასთან დაკავშირებით ვადა არ გასდის.

მითია ისიც, რომ „ყარსის ხელშეკრულება“ მუსლიმებისთვის რეფერენდუმის უფლებას ითვალისწინებს“.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყარსის ხელშეკრულებაში არ არსებობს მუხლი, რომლის მიხედვითაც აჭარაში რეფერენდუმის ჩატარება იქნება შესაძლებელი. ხელშეკრულების ერთადერთი მუხლი, სადაც აჭარის სტატუსზეა საუბარი არის მე-6 მუხლი, რომლის მიხედვითაც თურქეთმა დათმო ბათუმი და მისი პორტი, აგრეთვე მთელი აჭარა, ფართო ადგილობრივი ავტონომიის სტატუსის გარანტიით. ყარსის მე-6 მუხლში ნათქვამია:

"თურქეთი თანახმაა დაუთმოს თავისი სიუზერენიტეტი საქართველოს ბათუმის პორტზე, ქალაქსა და იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მოცემული საზღვრის ჩრდილოეთით მდებარეობს, იმ პირობით, რომ:

1) ამ ადგილების მოსახლეობა ფართო ავტონომიით ისარგებლებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული თემის სარწმუნოებრივ-კულტურულ უფლებებს და მიიღებს ისეთ საადგილმამულო კანონს, რომელიც მათ სურვილებს ეთანხმება;

2) თურქეთს მიეცემა ბათუმის პორტით სხვადასხვა საქონლის თავისუფალი ტრანზიტის უფლება, უბაჟოდ და დაბრკოლებების გარეშე, ხარჯების დაუბეგრავად".

მე-10 მუხლში კი ნათქვამია, რომ მხარეები ერთმანეთთან თანხმდებიან,

რომ არ დაუშვან საკუთარ ტერიტორიებზე ისეთი ორგანიზაციების ან ჯგუფების არსებობა, რომლებსაც პრეტენზია ექნებათ მეორე სახელმწიფოს ხელისუფლებაზე ან ტერიტორიის ნაწილზე. ასევე, არ მოიძებნება მუხლი, სადაც რომელიმე აღმსარებლობის მიერ რეფერენდუმის ჩატარებაზეა საუბარი. რაც შეეხება ზოგადად რეფერენდუმს, მასში მონაწილეობის უფლება საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისათვის 18 წლის ასაკიდან, მათი მრწამსის მიუხედავად, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით.

მითია ისიც, რომ „ბათუმში ნატოს ბაზის განთავსების შემთხვევაში, 2021 წლიდან რუსეთი აღარ იქნება ყარსის ხელშეკრულების პირობების დაცვის გარანტორი და ბათუმი თურქეთის ხელში გადავა“.

რუსეთი არ არის ყარსის ხელშეკრულების გარანტორი, რადგან იგი არ არის ხელმომწერი მხარე. რაც შეეხება ნატო-ს ბაზების განთავსებას, ეს უკანასკნელი მხოლოდ ორგანიზაციის წევრობის შემთხვევაშია შესაძლებელი. თუმცა, ბაზების განთავსება გაწევრიანების შემდეგ ავტომატურად არ ხდება, ეს გადაწყვეტილება თავად წევრი ქვეყნის სურვილზეა დამოკიდებული.

ამრიგად, ყარსის ხელშეკრულება ისტორიული ხასიათის დოკუმენტია და დღეს მის სამართლებრივ სტატუსზე საუბარი აზრს მოკლებულია, რისი ერთი-ერთი ცხადი მიზეზი ის არის, რომ ხელმომწერი სახელმწიფოები აღნიშნული სტატუსით აღარ არსებობენ, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1992 წლის 30 ივნისს, საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება -



„საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ“. ამ ხელშეკრულებაში ნახსენებია ყარსის ხელშეკრულებაც, მხოლოდ ორი ქვეყნის საზღვრის აღიარების კონტექსტში, სადაც „მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს,

დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით“ და „მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის“. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მხოლოდ თურქეთთან აქვს სახელმწიფო საზღვარი დემარკირებული.

**ავტორი - ლია დეკანაძე**